საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
9 – 15 ივლისი, 2014
№25 (260)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## 5 ვისი მოკავშირე ვის ალიანსშია?



## გოკასა შიგან რაცა დგას... 4

მამა დავითი (ლასურაშვილი):



## საქართველოს მოსახლეობა დადგება იმ გულსაკლავი მოვლენის წინაშე, რომელსაც უცხოელის მონობა ჰქვია! 8

„ხელისუფლება ხალხის ტკივილს არად აგდებს; ყურად არ იღებს პატრიარქის შეგონებასაც, რაც სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტის შედეგია“

## უგულავას საქმე: 6 მძიმე სტარტი

## 7 რა საფრთხეს უქმნის საქართველოს მეამბოხეთა მიერ სლავიანსკის დატოვება

## «ჩვენ ჩავიბარეთ დამცირებული, ფეხქვეშ გათელილი საქართველო» 2



როდის ამბობდა სიმართლეს მიხეილ სააკაშვილი

## უკრაინელი სამხედროები დაჭრილთა ორგანოებით ვაჭრობენ 3



„აი, რა არის საჭირო, — წერს ვიებერი, — 5 COR, 12 NEP, 3 HER, 3 PAN, 1 PUL“. „მე საქმის კურსში ვარ, სერგეი ვლადიმიროვიჩ. ვცდილობთ. ჩვენ ბევრი დანაკარგი გვაქვს, აი, ბოლოს 20 ბიჭი დავკარგეთ!“

## როდემდე უნდა 14 ჯიჯგნონ ქართული მიწა?!

„საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0.14 ჰა სახნავი მიწა, 0.64 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ეს კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. სომხეთს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვს“

## ბრიტანულმა მედიამ უკრაინის არმიის 18 მოქმედება ფაშისტების მოქმედებას შეადარა

## «თითქოს აუსტერლიცი მოიგეს, ისე იზეიმეს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა» 11



„ჰოლანდიელ მხატვარ პიტერ ბრეიგელს აქვს გენიალური ფერწერული ტილო „ბრმები“, ერთმანეთზე ჩაბმულ ბრმებს ბრმა რომ მიუძღვებათ. მათ, ყველას ერთად, უფსკრულში გადაჩეხვა ელით. აი, სწორედ ეს ტილო ასახავს რეალობას — დღევანდელ ევროკავშირს და ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, მას ფეხი აუწყონ“

## 20 «ტკბილი დაავადება» მძიმე შედეგებით

პროფესორი მეტრეველი დიაბეტის შესახებ

## 24 როგორ კარგავენ მეგობრებს და იმორჩებენ მოკავშირეებს

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამას ამბობდა კაცი, რომლის შენახვაც ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფოს ყოველდღიურად 140 ათასი(!) ლარი უჯდებოდა... აი, ამ კაცმა „მსოფლიოში და დარბაზში მსხდომი პოტენციალი“, ანუ ტაშისმკვრელი ინტელიგენცია, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას და, ქვეყანაში მიმდინარე საშინელ პროცესებზე პროტესტის გამოთქმის ნაცვლად, ინდაურებსა და ორდენებს იღებდა, დაუნდობლად „ჩარეცხა“!**

# «ჩვენ ჩავიბარეთ დამცირებული, ფეხქვეშ გათელილი საქართველო», ანუ როდის ამბობდა სიმართლეს მიხეილ სააკაშვილი

**„ახალი — ეს არის კარგად დავიწყებული ძველი!“ — ალბათ, ამ ცნობილ გამონათქვამს ითვალისწინებდა პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი, 9 წლის განმავლობაში დუჟმორეული რომ ამბობდა, — „გაპარტახებული ქვეყანა ჩავიბარეო“, თუმცა საზოგადოებას არ დავიწყებია მისი გამოსვლა 1999 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ ყრილობაზე. ამ შეკრებას ესწრებოდა ახლახან გარდაცვლილი ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასა და იმ ტაშისმკვრელი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულმა სააკაშვილმა „ჩარეცხილები“ უწოდა.**



**აი, რას ამბობდა მიხეილ სააკაშვილი 1999 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ:**

„იურიდიული კურსის გამოსაშვები ჯგუფის სახელით მივესალმები საქართველოს მოქალაქეთა კავშირს!

დღეს ერთი საათის წინ ჩვენთან საბოლოოდ ამერიკიდან დაბრუნდა გია ბარამიძე, მინდა, რომ მასაც მივესალმოთ.

სწორედ ოთხი წლის წინ გიას დახმარებით, ზურაბის დახმარებით და პრეზიდენტის ხელშეწყობით, მე ჩემი არჩევანი უკვე გავაკეთე ამ დარბაზში, ამ ტრიბუნიდან. ახლა ჩვენ ყველამ უნდა გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი. რაც ხდება დღეს საქართველოში, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი არჩევნები, ეს არის ბოლო არჩევნები, რომელიც გვაძლევს საშუალებას საბოლოოდ ამოვირჩიოთ წარსულსა და მომავალს შორის, თავისუფლებას, ე.ი. ისეთ სისტემას, როდესაც ყველას შეეძლება, გააკეთოს თავისი არჩევანი. მაგრამ ბევრი რამ ვერ შესრულდა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ბოლომდე ვერ შევაფასეთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენ შეგვხვდებოდა, და მაინც ასევე კარგად ვიცით, რომ ჩვენ ბევრი რამე გავაკეთეთ, **ჩვენ ჩავიბარეთ წაგებული, დამცირებული, ფეხქვეშ გათელილი საქართველო, რომლის არსებობაც ცოტა ვინმემ თუ იცოდა გარე სამყაროში** და ისინიც ეჭვის თვალით უყურებდნენ. ჩვენ შევაჩერეთ ნგრევა, ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფო დემოკრატიული ინსტიტუტები, **ჩვენ შევქმენით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი კანონმდებლობა და ჩვენ მივეცით ხალხს ის ინსტრუმენტი, რომლითაც უნდა დაიცვას თავისი უფლებები ამ კანონმდებლობის მიხედვით, ჩვენ მივეცით ხალხს ახალი სასამართლო სისტემა.**

ჩვენ ჩავატარეთ გამოცდები, ჩვენ ავამუშავეთ ახალი სისტემა. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ გვაძახებდნენ, რომ ვერ შევინარჩუნებდით ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და ვერ შევაჩერებდით ლარის ვარდნას. დღეს ქართული ლარი არის აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი სტაბილური ვალუტა. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ნავთობსადენი ვერასოდეს გავა საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ნავთობსადენი უკვე აქ არის და ეს რეალობაა. ჩვენ კარგად გვახსოვს და თქვენც კარგად გახსოვთ, როგორ გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოს არ შეასუნინებდნენ ევროპაში, რომ უნდა დავმორჩილებოდით ბედს...“

**ანუ რა გამოდის: რასაც სააკაშვილი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხალხს უჩიჩინებდა, 1999 წელს უკვე გაკეთებული ყოფილა!**

**და კიდევ:**

„მე მქონდა ბედნიერება, პრეზიდენტთან ერთად ვმდგარიყავი ქართული დროშის აღმართვის დროს სტრასბურგში. ჩემს გულში იმ წუთას ბევრმა რამემ გაიარა, მე მახსენდებოდა დავით აღმაშენებელი, მახსენდებოდა თამარ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი და მართალი გითხართ, არ მახსენდებოდა პატიაშვილი, რაზმაძე, არ მახსენდებოდა გოგუაძე. ამ მოვლენის გახსენებისას, მართალი გითხრათ, მომავალი თაობები ვერ გაიხსენებენ ამ პიროვნებებს, ისინი დიდი ხნის დავიწყებას იქნებიან მიცემული, მაგრამ ისინი გაიხსენებენ შევარდნაძეს და მოქალაქეთა კავშირს.

მე ახლახან დავბრუნდი ბათუმიდან, ჩემი უსაყვარლესი ქალაქიდან, სადაც მქონდა ბედნიერება მეხილა პარლამენტის მომავალი ახალი თავმჯდომარე, გავიცანი უზენაესი სასამართლოს მომავალი ახალი თავმჯდომარე. ბატონი ჭაჭია უკვე გულმოდგინედ ამუშავებს ჩვენი საგარეო უწყების ახალ სტრატეგიულ მიმართულებებს და, ალბათ, ამას უნდა ჩაუდგეს სათავეში. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი შემცვლელიც გავიცანი, პირად ურთიერთობაში სუფრაზე, როგორც ამბობენ, საქართველოს ახალი პრეზიდენტიც ჰყავს სადღაც დამალული, ოღონდ მის სანახავად კიდევ ერთხელ მომიწევს ჩასვლა. ერთი სიტყვით, ყველა ამ ადამიანს დასჭირდება სერიოზული მკურნალობა, რადგან ჯანმრთელობას შევეხე, მე ისიც მინდა გითხრათ, რომ ზაფხულია, არ ვიცით, რას ვჭამთ და რას ვსვამთ და 30 წლამდე ახალგაზრდებს არ ესმებათ პატიაშვილის, ჭაჭიას და გოგუაძის ნაზავი კამპოტი. რადგან ისეთ სერიოზულ ჯანმრთელობის პრობლემასთანაა დაკავშირებული ეს კამპოტი, რომ დღეში რამდენიმე ვიაგრაც რომ დავლიოთ, ვერ გვიშველის ვერაფერი.

**ჩვენ შევაჩერეთ ნგრევა, ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფო დემოკრატიული ინსტიტუტები, ჩვენ შევქმენით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი კანონმდებლობა და ჩვენ მივეცით ხალხს ის ინსტრუმენტი, რომლითაც უნდა დაიცვას თავისი უფლებები ამ კანონმდებლობის მიხედვით, ჩვენ მივეცით ხალხს ახალი სასამართლო სისტემა**

ჩვენს ოპონენტებს მინდა, ვუთხრა: ამ არჩევნებს ვერ მოვიგებთ ზუსტად ისე, როგორც ვერ ჩავატარეთ სასამართლო რეფორმა, როგორც ვერ გავიყვანეთ ნავთობსადენი, როგორც ვერ მივაღწიეთ ლარის სტაბილურობის შენარჩუნებას, ერთი სიტყვით, ჩვენ ამ არჩევნებს მოვიგებთ. მოვიგებთ საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ. ჩვენ ამ დღეებში დავიწყეთ სერიოზული მუშაობა საზღვრებთან მიმართებაში, რომელიც ჩვენმა ოპონენტებმა მონათლეს ეკონომიკურ ბლოკადად. **ეს მართლაც არის ბლოკადა იმ ადამიანების ჯიბეების, რომლებიც ძარცვავდნენ საქართველოს ეკონომიკას, ეს ბლოკადა გაგრძელდება და გაძლიერდება, როგორც წყალგაუმტარი ჯებირები. ეს არის მცირე ბიზნესის განვითარება** და მცირე ბიზნესის შემაფერხებელია კლანების განვითარება, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების გარკვეულ რგოლებს, ამ კლანების გაჩერების გარეშე თითოეულ თქვენგანს არ აქვს მომავალი. კლანების „კრიშების“ მოსპობის გარეშე საქართველოს არ აქვს მომავალი და ესეც არის ჩვენი მომავალი გეგმა: **უნდა განვითარდეს განათლება, მეცნიერება, მედიცინა და ჩვენ ამის პოტენციალი გვყავს მთელ მსოფლიოში და ამ დარბაზში, თქვენ შორის, ამ პოტენციალის ამოქმედება ჩვენი ოთხწლიანი გეგმის ნაწილია.** ჩვენ შევინარჩუნეთ საგარეო ურთიერთობები, მაგრამ ახლა მთელი ძალით უნდა მოვბრუნდეთ საქართველოს შიდა პრობლემებისკენ.

მეც კარგად ვიცი და თქვენც კარგად იცით, რომ ჰოლანდია არის ერთერთი წარმატებული ქვეყანა. ღმერთმა შექმნა ჰოლანდია და ღმერთმა შექმნა ასევე საქართველო, ჩვენი ამოცანა ბევრად უფრო ადვილია, ბევრად უფრო მარტივია, მაგრამ რთულია, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ძლიერი საქართველო, რომლითაც იამაყებენ მომავალი თაობები და ის თაობები შეძლებენ რაღაცის დათმობას. და მე თეთრი შურით მშურს მათი. და ის საქართველო, რომლითაც ისინი იამაყებენ, იქნება ჩვენი თაობის შექმნილი, აი, ჩვენი ხელით შექმნილი. დიდი მადლობა!“.

**ამას ამბობდა კაცი, რომლის შენახვაც ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფოს ყოველდღიურად 140 ათასი(!) ლარი უჯდებოდა, აღარაფერს ვამბობთ, მის გართობა-დროსტარებაზე, მოგზაურობებზე, უაზრო კონცერტებსა და მასაჟებზე დახარჯულ მილიონებზე. ამას ამბობდა კაცი, რომლის მმართველობის პერიოდშიც განადგურდა განათლების სისტემა, მეცნიერება და სოფლის მეურნეობა. ამას ამბობდა კაცი, რომლის გუნდის წევრებიც ატერორებდნენ ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს, მათი ქონების მითვისებით კი მილიონერები გახდნენ. აი, ამ კაცმა „მსოფლიოში და დარბაზში მსხდომი პოტენციალი“, ანუ ტაშისმკვრელი ინტელიგენცია, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას და, ქვეყანაში მიმდინარე საშინელ პროცესებზე პროტესტის გამოთქმის ნაცვლად, ინდაურებსა და ორდენებს იღებდა, დაუნდობლად „ჩარეცხა“!**

**საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც პოლიტიკური ამნეზია არ სჭირს, ედუარდ შევარდნაძისადმი სააკაშვილის მიერ სხვა დროს ნათქვამი სახოტბო სიტყვებიც ახსოვს:**

„ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს შევარდნაძე ასრულებს. **იგი ისევე არის დამფუძნებელი ახალი ქართული სახელმწიფოსი, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისთვის და ათა-თურქი — თურქეთისთვის.** პოლიტიკოსთა დღევანდელ თაობას ბედმა გაუღიმა, რომ სახელმწიფოს დაფუძნების პერიოდში მუშაობს“. **მაგრამ შემდეგ მოვლენები შეიცვალა და შევარდნაძის ლანძღვა გახდა საჭირო — მხოლოდ ასე თუ გაიკვალავდა სააკაშვილი პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზას.** „საქართველო არშემდგარი, დეზინტეგრირებული, ღირსებაშელახული და სრულიად დემორალიზებული სახელმწიფო იყო. ეს იყო ქვეყანა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი, **ბატონობდა კორუფცია, დაუსჯელობა და უკანონობა, სადაც რიგით მოქალაქეებს ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ და ფულს სძალავდნენ.** იყო ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდა ბიუჯეტი და არ სრულდებოდა მოქალაქეთა წინაშე აღებული არც ერთი სოციალური ვალდებულება, ქვეყანა, რომელშიც ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელებოდა. საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც საერთაშორისო ავტორიტეტი — შელახული, ორიენტირი კი დაკარგული ჰქონდა, არ გააჩნდა ეროვნული იდეოლოგია და პატივს აღარავინ სცემდა; **ეს იყო ქვეყანა, რომელიც ღირსეულ შვილებს ყოველდღიურად კარგავდა და რომლის მოქალაქეთა მთავარი ოცნება სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გაქცევა და თავის შეფარება გახდა“, — ამას ამბობდა სააკაშვილი, რომლის რეჟიმმაც იმსხვერპლა სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი და ასობით ახალგაზრდა; რომლის მმართველობის პერიოდშიც ათიათასობით უდანაშაულო ადამიანი გამოამწყვდიეს საპყრობილეში და სასტიკად აწამეს; რომლის მმართველობის პერიოდშიც ასეულათასობით ადამიანმა დატოვა ქვეყანა, რის გამოც ქართველი ერი გადაშენების პირასაა (იხ. გაეროს მიერ ჩატარებული დემოგრაფიული კვლევის მონაცემები, რომლებიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია გამოქვეყნებული)!**

აი, ამაზე იტყვიან, „ენას ძვალი არ აქვსო...“

**ნიკა მაისურაძე**

ქვეყანაში საკმაოდ მაღალია შობადობის ინდექსი (ეს მაჩვენებელი, ქართველი სპეციალისტების აზრით, მაღალია არაქართველი მოსახლეობის წყალობით), თუმცა მოსახლეობის 22% სიღატაკეში ცხოვრობს. შედეგად, საქართველოდან მასობრივად გადიან ადამიანები, ძირითადად, ახალგაზრდები. საქართველოში ეკონომიკური პრობლემის გაღრმავების გამო, დემოგრაფიული ვითარება ყოველ წელს გაუარესდება.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინელი სამხედროები დაჭრილთა ორგანოებით ვაჭრობენ


Информационное Агентство Молот Правды Антимайдан
Оль, ты тут не была, не видишь, КАК все происходит, а условия становятся все сложнее.
26.05.2014 17:29
Сергій Власенко
У нас возникли проблемы с последней партией!!! Пришло много некачественного товара, наши заказчики недовольны! Вам все нужно делать оперативно! Ускорайтесь, птому что если вы не укладываетесь в 14 часов с момента изъятия- мы получаем только 30% от стоимости! А значит вы не получаете вашу экипировку, понимаешь?

**სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა იულია ტიმოშენკოს ადვოკატ სერგეი ვლასენკოს მიმოწერა „გერმანელ ქირურგ" ოლგა ვიებერსა და ბატალიონ „დონბასის" მეთაურ სემიონ სემენჩენკოსთან. ინტერნეტმიმოწერაში, რომელიც ჰაკერებმა ჩაიგდეს ხელთ, საუბარია უკრაინის არმიის დაღუპული და დაჭრილი მებრძოლების ორგანოებით ვაჭრობაზე.**

ორი ადრესატის — **სერგეი ვლასენკოსა** და **ოლგა ვიებერის** მიმოწერა 2014 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა, მიმოწერაში საკვანძო მომენტი არის შემოკლებები: **Cor** — გული; **nep** — თირკმელი; **her** — ღვიძლი; **pan** — კუჭქვეშა ჯირკვალი; **pul** — ფილტვები.

**„საღამო მშვიდობისა, ოლგა. საკითხი, რომელზეც ჩვენ ვალდკირხში ვმსჯელობდით, მალე უნდა გადაწყდეს, ჩემთან ყველაფერი რიგზეა. შენი კლიენტები როგორ არიან?"** — წერს **ვლასენკო** 22 თებერვალს.

დიალოგიდან ჩანს, რომ **ვიებერი** შუამავლის როლს თამაშობს, ვლასენკო კი „მასალის" მიწოდებას უზრუნველყოფს. **„მასალა"** დახასიათებულია, როგორც მალფუჭებადი. გარდა ამისა, მიმწოდებელი ხაზს უსვამს, რომ „მასალა", უმჯობესია, პარტიებით გადაიგზავნოს.

„აი, რა არის საჭირო, — წერს **ვიებერი, — 5 Cor, 12 nep, 3 her, 3 pan, 1 pul"**.

ვლასენკოს პასუხი: **„გასაგებია. ჩვენ მეტიც შეგვიძლია, შენ, საერთოდ, ახალ ამბებს უყურებ? იფიქრე, მოძებნე ვიღაც — გაზარდე პარტია!"**

26 მაისს ვლასენკო უკმაყოფილებას გამოთქვამს შემსრულებლის მიმართ: **„ბოლო პარტიაზე პრობლემები შეგვექმნა! ბევრი უხარისხო საქონელი მოვიდა, ჩვენი დამკვეთები უკმაყოფილონი არიან! იჩქარეთ, რადგან, თუკი თქვენ ამოღების მომენტიდან 14 საათში ვერ ჩაეტევით, ჩვენ ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტს მივიღებთ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ ვერ მიიღებთ თქვენს ეკიპირებას, გასაგებია?"**

**სემენჩენკო** თავს იმართლებს: **„მე საქმის კურსში ვარ, სერგეი ვლადიმიროვიჩ. ვცდ-**



**ილობთ. ჩვენ ბევრი დანაკარგი გვაქვს, აი, ბოლოს 20 ბიჭი დავკარგეთ!"**

ტიმოშენკოს ადვოკატი შეკვეთის შესასრულებლად ახალი ადამიანების მოძებნას ითხოვს, მაგრამ სემენჩენკო უარს ეუბნება: **„ისინი ძალიან ცოტანი დარჩნენ, ამ საქმეს კი შემთხვევით ადამიანებს ვერ მივანდობ, რადგან დიდია ინფორმაციის გაჟონვის რისკი!"**.

აღსანიშნავია, რომ უკრაინულ მედიაში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობისას დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობის პრობლემების შესახებ. ვრცელდება ცნობები უკრაინის არმიის მიერ „გაწმენდილ" დასახლებულ პუნქტებში დასახიჩრებული ცხედრების შესახებაც. **16 ივნისს სახალხო ლაშქრის ერთ-ერთმა წევრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სტანიცა ლუგანსკაიაში ნაპოვნ ბევრ ცხედარს არ ჰქონდა შინაგანი ორგანოები. ეს პიროვნება ვარაუდობს, რომ ანტიტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელობა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობს „შავ ბაზარზე"**.

informburo.dn.ua



# ედუარდ შევარდნაძეს კრწანისის რეზიდენციის ეზოში დაკრძალავენ

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, 86 წლის ედუარდ შევარდნაძე 7 ივლისს გარდაიცვალა.**

ედუარდ შევარდნაძე 1928 წლის 25 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში დაიბადა.

1959 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1972-1985 წლებში იყო საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი, 1985-1990 წლებში — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში — საქართველოს პრეზიდენტი. თანამდებობიდან ის „ვარდების რევოლუციის" შედეგად გადადგა. ედუარდ შევარდნაძეზე სამჯერ განხორციელდა თავდასხმა, მათ შორის 1992 წელს — აფხაზეთში, 1995 წელს — საქართველოს პარლამენტის შენობის ეზოში, 1998 წელს კი — რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზე.

საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, შეიქმნა ედუარდ შევარდნაძის დამკრძალავი სახელმწიფო კომისია. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

**ედუარდ შევარდნაძეს 13 ივლისს, 15:00 საათზე, სამების საკათედრო ტაძრიდან გამოასვენებენ და კრწანისის რეზიდენციის ეზოში დაკრძალავენ.**

# საქართველო იმ 5 ქვეყნის ჩამონათვალში მოხვდა, რომელთა მოსახლეობასაც გაქრობა ემუქრება

**გაეროს სპეციალისტების პროგნოზის მიხედვით, 2050 წელს დედამიწის მოსახლეობა 27 პროცენტით მოიმატებს და 9,5 მლრდ კაცს მიაღწევს, თუმცა კარგი დემოგრაფიული პერსპექტივა ყველა ქვეყანას როდი ელოდება — რამდენიმე სახელმწიფოში მოსახლეობა შემაშფოთებელი სისწრაფით მცირდება და ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. 2050 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული დინამიკის პროგნოზი გაეროსთვის მოამზადა კვლევითმა კომპანია Population Reference Bureau-მ. ერების ხუთეულში, რომლებსაც არასახარბიელო დემოგრაფიული პერსპექტივა ელით, მოხვდა ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა — უკრაინა და საქართველო, აგრეთვე, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი და იაპონია.**




## 1. იაპონია

**მოსახლეობა ამჟამად: 126.981.000**

**პროგნოზი 2050 წლისთვის: 95.152.000**

**რამდენით შემცირდება: 25%**

**65 წელს ზემოთ ადამიანების რაოდენობა: 23%**

**შობადობის ინდექსი: 1,4**

**მიგრაციის ინდექსი: 1.**

იაპონიის მოსახლეობის დაბერების თემა მრავალ მონოგრაფიას დაედო საფუძვლად. 1970 წლიდან დღემდე ხანდაზმულთა პროცენტი გასამმაგდა. დაბალი შობადობისა და ქვეყნიდან მოსახლეობის გასვლის გამო, რაც დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, იაპონიის სარეკორდო დეპოპულაცია შორს აღარ არის.

## 2. უკრაინა

**მოსახლეობა 2014 წლის დასაწყისისთვის: 45.864.000**

**პროგნოზი 2050 წლისთვის: 25.273.000**

**რამდენით შემცირდება: 23%**

**65 წელს ზემოთ ადამიანების რაოდენობა: 16%**

**შობადობის ინდექსი: 1,5**

**მიგრაციის ინდექსი: 0.**

Population Reference Bureau-მ უკრაინის დემოგრაფიული დინამიკის პროგნოზი გააკეთა 2014 წლიდან, როცა ყირიმი უკრაინის ნაწილი იყო. თუმცა ამ მონაცემებითაც კი ქვეყნის დემოგრაფიული პერსპექტივა ოპტიმისტური არ არის, ყირიმის მიერთებამ რუსეთთან კი კიდევ უფრო გააუარესა. გარდა ამისა, უკრაინის დემოგრაფიულ ვითარებას თავის დაღს დაასვამს სამოქალაქო ომი, რომელიც ამჟამად ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მიმდინარეობს.

## 3. ბოსნია-ჰერცოგოვინა

**მოსახლეობა ამჟამად: 3.826.000**

**პროგნოზი 2050 წლისთვის: 3.075.000**

**რამდენით შემცირდება: 19,6%**

**65 წელს ზემოთ ადამიანების რაოდენობა: 14%**

**შობადობის ინდექსი: 1,2**

**მიგრაციის ინდექსი: 0.**

ბოსნია-ჰერცოგოვინაში ამჟამად შობადობის ყველაზე დაბალი ინდექსია — ის სიკვდილიანობის ინდექსს უტოლდება და ამ ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების პერსპექტივა ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა.

## 4. ბულგარეთი

**მოსახლეობა ამჟამად: 7.210.000**

**პროგნოზი 2050 წლისთვის: 5.894.000**

**რამდენით შემცირდება: 18,2%**

**65 წელს ზემოთ ადამიანების რაოდენობა: 18%**

**შობადობის ინდექსი: 1,6**

**მიგრაციის ინდექსი: 2.**

მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთის დემოგრაფიაში არის პოზიტიური ტენდენციები (შობადობის ინდექსი ამჟამად იმაზე მაღალია, ვიდრე 1993 წელს იყო), მოსახლეობის რაოდენობა მცირდება ქვეყნიდან ადამიანების გასვლის გამო. იმიგრანტების ნახევარი 20-დან 39 წლამდე ადამიანები არიან. გარდა ამისა, ბულგარეთი დღეს მსოფლიოში ლიდერთა შორისაა ხანდაზმული ადამიანების რაოდენობით.

## 5. საქართველო

**მოსახლეობა ამჟამად: 4.340.000**

**პროგნოზი 2050 წლისთვის: 3.591.000**

**რამდენით შემცირდება: 17,2%**

**65 წელს ზემოთ ადამიანების რაოდენობა: 14%**

**შობადობის ინდექსი: 1,7**

**მიგრაციის ინდექსი: 2.**

ქვეყანაში საკმაოდ მაღალია შობადობის ინდექსი (**ეს მაჩვენებელი, ქართველი სპეციალისტების აზრით, მაღალია არაქართველი მოსახლეობის წყალობით — რედ**.), თუმცა მოსახლეობის 22% სიღატაკეში ცხოვრობს. შედეგად, საქართველოდან მასობრივად გადიან ადამიანები, ძირითადად, ახალგაზრდები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყოველთვის მაღალი იყო ხანდაზმულთა პროცენტი, ხოლო სიკვდილიანობის ინდექსი 1000-ზე მხოლოდ 10 კაცს შეადგენს, ეკონომიკური პრობლემის გაღრმავების გამო, დემოგრაფიული ვითარება ყოველ წელს გაუარესდება.

*** შობადობის ინდექსი — შობადობის დონის მონაცემი, რომელიც განისაზღვრება დაბადებული ჩვილების რაოდენობის შეფარდებით მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.**

*** მიგრაციის ინდექსი — მიგრანტების რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან.**



ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოროტი ენები ამბობენ, რომ კოტე გაბაშვილი გერმანიაში ელჩობის პარალელურად ძეხვეულის საქართველოში იმპორტით იყო დაკავებული, ხოლო დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ყავას უდუღებდა და ბიზნესში ეხმარებოდა.**

# გოკასა შიგან რაცა დგას...

**„მამააა!“ — ჰაერი გააპო უმამოდ დარჩენილი გოკას ხავილმა.**
**„მამააა!“ — ეს ენით უთქმელი შიშითა და სასოწარკვეთით ამოხავილი „ხევისბერი გოჩასი“ თუ არა, „მატეო ფალკონეს“ (ევროასოციაცია მაინც სულ სხვაა!) ტრაგიზმით იყო აღბეჭდილი, ოღონდ — ერთი დათქმით: მამა-კოტეს თავის დროზე მოკვლით არა, მაგრამ, თავში წათაქებით მაინც რომ ესწავლებინა ჭკუა საკუთარი პირმშოსთვის, საქართველოც ასცდებოდა ბევრ უბედურებას და მამა-შვილი გაბაშვილიც!**



**მამა-კოტეს თავის დროზე მოკვლით არა, მაგრამ, თავში წათაქებით მაინც რომ ესწავლებინა ჭკუა საკუთარი პირმშოსთვის, საქართველოც ასცდებოდა ბევრ უბედურებას და მამა-შვილი გაბაშვილიც!**

არ წამოუთაქებია, პირიქით — გზაც გაუკვალა, გზაზეც დააყენა და მერე გზაზე დამყენებლის წინააღმდეგ ბრძოლაში ისე ჩაება, თითქოს მისი დანიშნული არ ყოფილიყო ელჩად გერმანიაში, იმ გერმანიაში, რომელშიც შვილი — გოკა უმაღლეს განათლებას იღებდა, როცა მისი ტოლები სისხლს ღვრიდნენ სამშობლოსთვის.

კოტე გაბაშვილი აშკარად დისკვალიფიკაციას განიცდის: **ადრე თუ შევარდნაძის გვერდით იდგა, მერე კი სააკაშვილის, ახლა გოჩა დარჯანიას, დავით გოგოხიას, ლაშა ჭიღლაძის, ალექსანდრე ბედოიძის, ხვიჩა სუხიშვილის, ლაშა რუხაიასა და ირაკლი ჩხვირკიას კამპანიაში აღმოჩნდა.** ვინ არიან ეს სუბიექტები, გარდა იმისა, რომ „ნაციონალების“ ინტერესებს იცავენ საქალაქო სასამართლოს ეზოში, უცნობია. ჩხვირკია შედარებით ცნობადია თავისი აგრესიული გამოხდომებით, მაგრამ ჯერჯერობით გამოუცდელია და არ იცის, რომ დაჭერით არ უნდა დაემუქროს მათ, ვინც დღეს ხელისუფლებაში არიან, თუკი, რა თქმა უნდა, მართლაც აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას. მრავალ ხელისუფლებაზე გადამხტარ კოტე გაბაშვილს კი ეს ესმის და 100-ლარიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ აცხადებს: „ვხმაურობდი, ვილანძღებოდი, ემოციურად ვლაპარაკობდი, მაგრამ აბსოლუტურად არ ვეთანხმები წინააღმდეგობის გაწევაში. არავისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია, არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია“.

სასამართლოს შენობასთან ხმის ამოღება რომ არ შეიძლება, ეს მამა-შვილი გაბაშვილების „კუმირმა“ სააკაშვილმა დიდი ხნის წინ დააკანონა, მაგრამ მაშინ ესენი ხელისუფლებაში იყვნენ და სულ არ ადარდებდათ კანონის სიმკაცრე. ახლა ჯერ კიდევ კუბლაშვილის დიქტატის ქვეშ მყოფმა სასამართლომ ძველ პატრონებს 100 ლარის გადახდა აკმარა, თითქოს მილიონების გაფლანგვისთვის პატიმრობაშეფარდებული გიგი უგულავას დაცვა ასე იაფი იყოს!

მამა-შვილი გაბაშვილი წყლის ერთი წვეთივით ირეკლავს საქართველოს უახლეს ისტორიას; მამა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ თვალსაჩინო მებრძოლი იყო. პუტჩის დროს რომ გადაიკიდა ავტომატი, აფხაზეთშიც იმით წავიდა და, აფხაზეთიც წყალმა წაიღო... შევარდნაძეს უნდა უმადლოდეს ყველაფერს, რასაც მიაღწია — თბილისის მერობიდან და განათლების მინისტრობიდან დაწყებული, ელჩობით დამთავრებული. ნამუსს არ შეუწუხებია, როცა ყველაფერი წყალში გადაუყარა და მართლაც დაიჯერა, რომ ქართულ დიპლომატიასა და საჯარო პოლიტიკაში შევარდნაძის გარეშეც იოლად გავიდოდა. **ბოროტი ენები ამბობენ, რომ კოტე გაბაშვილი გერმანიაში ელჩობის პარალელურად ძეხვეულის საქართველოში იმპორტით იყო დაკავებული, ხოლო დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ყავას უდუღებდა და ბიზნესში ეხმარებოდა.**

თითქოს ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ჩვენ ისევ ამ პერსონებს ვუყურებთ ტელევიზორში. ამ თამაშში ისინი როლებს ცვლიან, ხან ერთნი არიან ოპოზიციაში, ხან მეორენი, ხალხს კი არ ესმის, რატომ არაფერი იცვლება!

**„სამართლიანობისთვის მებრძოლი“ კოტე გაბაშვილი 2006 წელს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ვანო მერაბიშვილს ქვეყნის ხერხემალს უწოდებდა და გირგვლიანის საქმეზე უტიფრად აცხადებდა: „მინისტრმა პირობა მოგვცა, საქმეს ბოლომდე გამოვიძიებთ და ყველა დამნაშავეს დავსჯით მათი დღევანდელი მდგომარეობის მიუხედავადო. ფაქტობრივად, ეს გარანტიის გაცემა იყო, რაც მისასალმებელია.**

როდესაც ადამიანს უნდა დადებითშიც უარყოფითი დაინახოს, ცხადია, მინისტრის ნათქვამს უარყოფითად აღიქვამს. ნორმალურად მოიქცა ოპოზიციის ის წარმომადგენელი, რომელიც ირონიულად ელაპარაკებოდა მინისტრს მისი ოჯახის წევრზე? ეს პოლიტიკური ბრძოლაა თუ სიბინძურე, რომელსაც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაეჩვივნენ პოლიტიკოსები?“

ვინ ჰყავდა მხედველობაში მამა-გაბაშვილს? საკუთარი თავი ხომ არა, როცა „ვარდების რევოლუციის“ წინ ცვლილებები იყნოსა და საკუთარ გამზრდელს ათასი სიბინძურე მოუჩმახა? **შევარდნაძემო ბადენ-ბადენში სასახლე იყიდა და გასაქცევად ემზადებაო, — ატირაჟებდა მის ჩაწოდებულ სიცრუეს „რუსთავი 2“. ზვიად გამსახურდია „პროვინციალი ფაშისტი“ იყო, შევარდნაძე — „კორუმპირებული, დაუძლურებული მოხუცი“, სამაგიეროდ, შევარდნაძის კალთაში გამოზრდილი სააკაშვილი იყო „ენერგიული ახალგაზრდა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს“!**

კოტე გაბაშვილი იმთავითვე გამეცადინებული იყო დემაგოგიაში: „ოპოზიციას მართლა გირგვლიანი კი არ აწუხებს, მისი ამოცანაა, დისკრედიტაცია გაუწიოს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ მთავარ ფიგურას. მათი მიზანია, დაასუსტონ შს სისტემა და ეს შეკვეთა რუსეთიდან მოდის. სამართლიანი სახელმწიფოს აშენება და წესრიგის დაცვა შს სამინისტროს ფუნქციაა. პოლიციის სიძლიერე პოლიციური სახელმწიფოს აშენებას კი არა, კანონების კარგად შემსრულებელი სისტემის შექმნას გულისხმობს. ეს უნდა გვიხაროდეს და, ვისაც არ უხარია, ამ სახელმწიფოს გულშემატკივარი არ არის. ოპოზიციის ერთ ნაწილს თავად უნდა ხელისუფლებაში მოსვლა დღევანდელი ხელისუფლების დასუსტებით. ასეთი ბრძოლა ჯანსაღი არ არის, მაგრამ პოლიტიკურად მეტნაკლებად მაინც გასაგებია ჩემთვის; მეორე ნაწილს კი ხელისუფლების დამხობის გზით საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა უნდა. ეს მარგინალური, მოღალატური გზაა და ყველაზე საშინელი ისაა, რომ ეს ხალხი ამ მიზნის განხორციელებაში ფულს იღებს. სწორედ ისინი წარმოადგენენ რუსეთის აგენტურას საქართველოში. როდესაც ადამიანები ამ ამოცანის შესასრულებლად ერთიანდებიან, ვეტყვი: ფრთხილად იყავით, ნუ შეარყევთ ქვეყნის ხერხემალს-მეთქი“.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კოტე გაბაშვილი იმავე ჩვენებას „აწვება“ და მერაბიშვილის დაპატიმრებაში „რუსეთის კვალს“ ხედავს: „ვანო მერაბიშვილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელმაც რუსეთის სპეცსამსახურებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაუშალა. მგონია, რომ მისი დაკავება რუსეთის სერიოზული მოთხოვნაა. ამას დაემთხვა „ქართულ ოცნებაში“ არსებული რევანშისტული ფრთის სურვილი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დასუსტდეს. მნიშვნელოვანია მათთვის, რომ ვანო მერაბიშვილი პარტიის ინფრასტრუქტურას ხელმძღვანელობს. რუსეთის ასეთი მოთხოვნები მიზნად ისახავს დასავლური ორიენტაციის მძლავრი ძალის მოსპობას“.

„მძლავრი ძალა“ სულ უფრო სუსტდება და „ხერხემლის“ მაგივრად, ირაკლი ჩხვირკიას, ქეთა გაბიანისა და მამა-შვილი გაბაშვილის იმედზეა. კიდევ ერთი საინტერესო დამთხვევა ის არის, რომ მამა-გაბაშვილი ძალიან ხშირად ახსენებს ფულს. მისთვის ეს, როგორც ჩანს, მთავარი საკითხია. ღალატი რომ ცუდია, ეს მხოლოდ ოპონენტებზე ვრცელდება, თანაც მაშინ, როცა ისინი „ფულს იღებენ“. ამ დროს მას გამომეტყველება ეცვლება, რაღაც უცხო იერი უჩნდება და ჟესტიკულაციაც მეტად სახასიათო აქვს: რაღაც საშუალო ქალაქის თავ ხატისოვსა და თბილისელ კინტოს შორის.

**რუსულ საფრთხეს კოტე გაბაშვილი ვერ ხედავდა, როცა მისი გაკულტურისმინისტრებული შვილის 2007 წლის 20 ივნისის ბრძანების საფუძველზე „იმელის“ შენობა ამოიღეს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლთა ნუსხიდან და 8 დღეში გაყიდეს შვეიცარიულ კომპანია „კაპიტალ-ვასტოკზე“. „ვასტოკი“ რომელი ფრანგული ან გერმანული სიტყვაა? რუსულია და რუსული კომპანია გინდ შვეიცარიაში დაარეგისტრირე, გინდ — ბაჰამებზე!**



**მამა-შვილი გაბაშვილი თბილისური ფოლკლორის ნაწილად იქცევიან. ეს პროცესი უკვე დაიწყო. ბოროტი ენები ქირქილებენ, რომ კოტიკომ «პერსტენი» გარდაცვლილი მამის ოქროს კბილებისგან გააკეთებინაო. გოკასგან განსხვავებით, კოტიკო მამას აღარ ეძახის — ყველაზე ფასეული საკუთარ თითზე ეგულება**

კულტურის მინისტრი გოკა „კულტურულად“ ეზიდებოდა ქართულ საგანძურს საზღვარგარეთ, ეროვნული მუზეუმის დირექტორ დავით ლორთქიფანიძესთან ერთად. სულ ახლახან კი საქართველოს საელჩოებიდან მუზეუმში ახალმა ხელისუფლებამ დააბრუნა ხელოვნების არაერთი ნიმუში.

— ბიჭო, მამაჩემი სად არის-მეთქი, ე! სად არი კოტიკო! მამააა! — გაჰყვირის შვილი-გაბაშვილი სასამართლოს ეზოში და აინუნშიც არ მოსდის, რომ ასეულობით შვილი და მშობელი გააუბედურა იმ რეჟიმმა, რომლის სამსახურშიც ის და მამამისი ჩადგნენ.

**ლევან ბერძენიშვილს დღესაც ახსენებენ, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემის ციკლს უძღვებოდა სახელწოდებით „მჯერა“. მაშინ სჯეროდა, რომ შევარდნაძე მხსნელი იყო, მოგვიანებით კი მხსნელად სააკაშვილი მიიჩნია და მის ბანაკში გადაბარგდა. ისევ სჯეროდა და ისევ მცირე ხნით.**

ამ ბიბლიურ პერსონაჟს არც ნორჩი გოკა გაბაშვილი ჩამოუვარდებოდა. იმავე პერიოდში მასაც ჰქონდა გადაცემათა ციკლი სახელმწიფო ტელევიზიაში, რომლის ყოველი გამოშვება მთავრდებოდა ფრაზით: „იბერია გაბრწყინდება“! გამოხდა ხანი და სააკაშვილის კალთაში გადამჯდარმა გოკამ ის ეპოქა „ბნელად და უკუნად“ მონათლა.

„მამააა!“ — ჰაერი გააპო უმამოდ დარჩენილი გოკას ხავილმა. მამამ კი ხერხემალი დაკარგა და ახლა მის გაგრძელებას იცავს უგულავას სახით. პროვინციელი „ნათლიმამის“ თითზე „პერსტენი“ კიაფობს. ეგ არის, რომ ამ „პერსტენს“ არავინ კოცნის, რადგან ერთადერთი ადამიანი, რომელზეც მას ამაგი აქვს, მისი შვილი გოკაა, გოკა, რომელიც ისე ბერდება, კოტიკოსი არ იყოს, სრული სახელი ვერ დაიმკვიდრა.

**მამა-შვილი გაბაშვილი თბილისური ფოლკლორის ნაწილად იქცევიან. ეს პროცესი უკვე დაიწყო. ბოროტი ენები ქირქილებენ, რომ კოტიკომ „პერსტენი“ გარდაცვლილი მამის ოქროს კბილებისგან გააკეთებინაო. გოკასგან განსხვავებით, კოტიკო მამას აღარ ეძახის — ყველაზე ფასეული საკუთარ თითზე ეგულება.**

კოტიკოს გამონათქვამები 2006 წელს წინმსწრები თვითლუსტრაციაა და ზუსტად ასახავს იმ მიზნებს, რომელთაც „ნაცმოძრაობა“ დღეს ისახავს: **„ოპოზიციის ამოცანაა, დაასუსტონ შს სისტემა... ოპოზიციის ერთ ნაწილს თავად უნდა ხელისუფლებაში მოსვლა დღევანდელი ხელისუფლების დასუსტებით...“ სწორედ ამას აკეთებს დღეს „ნაცმოძრაობა“ და, თუ ხელისუფლება ამას არ დაუპირისპირდება, მამა-შვილ გაბაშვილებს კიდევ მრავლად აღმოაჩენს საკუთარ წიაღში!**

**თამარ დავითულიანი**

**დასავლეთს, კერძოდ კი აშშ-ს, ამჟამად ყველაფერი როდი შეუძლია და ამ ეტაპზე საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ან თუნდაც შესამჩნევი განმტკიცება) არ ძალუძს, კარგი სასტარტო წერტილია იმისთვის, რომ რეალობას დავუბრუნდეთ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვისი მოკავშირე ვის ალიანსშია?

**იმედი ბოლოს კვდება, ქართველი ატლანტისტების ილუზიები კი, როგორც ჩანს, არ კვდება საერთოდ. საზოგადოების ეს ნაწილი, ასე თუ ისე, შეეგუა იმას, რომ ნატოს უელსის სამიტზე მაპს ვერ მივიღებთ, მაგრამ როგორც კი გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ აშშ-მა შეიძლება მოგვანიჭოს სტატუსი „ძირითადი მოკავშირე ნატოს ფარგლებს გარეთ", სოციალური ქსელების შესაბამის სეგმენტში დაიწყო აღტკინებული მსჯელობა, რამდენად კარგია ეს და რამდენად „უკეთესია მაპზე". აქედან გამომდინარე, ალბათ, უნდა გავარკვიოთ, რა ხდება ჩვენს თავს და რომელ მოკავშირეობაზე ვსაუბრობთ.**



**მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის თითქოს „ახალი ცივი ომი" დაიწყო, კორკერის კანონპროექტი (ობამას ადმინისტრაციის გადასახედიდან) მაინც ზედმეტად რადიკალური ჩანს და შეიძლება გამოიწვიოს აშშ-რუსეთის სრულმასშტაბიანი დაპირისპირება კარიბის კრიზისის სტილში, ამ მდგომარეობამდე მისვლა კი თეთრ სახლს არ სურს**

საქმე ისაა, რომ რესპუბლიკელმა სენატორმა ტენესიდან — ბობ კორკერმა შეიმუშავა კანონპროექტი სახელწოდებით „რუსეთის აგრესიის პრევენციის აქტი 2014" (№2277), რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, 303-ე მუხლში უკრაინისთვის, საქართველოსა და მოლდოვისთვის „ნატოს ფარგლებს გარეთ ძირითადი მოკავშირის" სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს.

ეს სტატუსი ვაშინგტონმა 1989 წლიდან (როდესაც მოხდა მისი არსის განსაზღვრა აშშ-ის კანონმდებლობაში) 15 სახელმწიფოს მიანიჭა. ესენია: ავსტრალია, ეგვიპტე, ისრაელი, იაპონია, სამხრეთ კორეა (ყველა 1989-ში), იორდანია (1996-ში), ახალი ზელანდია (1997-ში), არგენტინა (1998-ში), ბაჰრეინი (2002-ში), ფილიპინები, ტაილანდი (ორივე 2003-ში), ქუვეიტი, მაროკო, პაკისტანი (ყველა 2004-ში), ავღანეთი (2012-ში). პირველი და, ალბათ, მთავარი, რაც ამ კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ, ისაა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის ამ სტატუსის მინიჭებით აშშ საკუთარ თავზე მისი დაცვის ვალდებულებას არ იღებს. მსგავსი ვალდებულებები (მაგალითად, სამხრეთ კორეის წინაშე) სხვა შეთანხმებებშია გაწერილი. ეს სტატუსი კი აფიქსირებს მჭიდრო სტრატეგიულ თანამშრომლობას ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან — „ძირითად მოკავშირეებს" შეუძლიათ მიიღონ ამერიკული შეიარაღება თითქმის იმავე პირობებით, რომლებითაც ნატოს წევრებმა, მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ თავდაცვით ინიციატივებში, კონტრტერორისტულ ღონისძიებებში, პენტაგონის სხვადასხვა კვლევით პროექტში და ა. შ. (ბონუსების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია). ამ სტატუსის შედარება ნატოს წევრობასთან არ შეიძლება, მაგრამ მას გარკვეული პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ვინმე თავს დაესხმება (სიტყვაზე) მაროკოსა და მავრიტანიას, პირველს, განხილული სტატუსიდან გამომდინარე, ამერიკელების სერიოზული დახმარების მიღების გაცილებით დიდი შანსი ექნება.

**საქართველოსთვის ეს სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, დაუკავშირდება „არაფორმალური ემბარგოს" გაუქმებას, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ შეიარაღების მიწოდებაზე (ფაქტობრივად) დააწესა. ეს, აგრეთვე, შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ხელისუფლებას, გადაწყვიტოს პროპაგანდისტული ხასიათის პრობლემები და საზეიმოდ ამცნოს ერს, რომ დაახლოებას აშშ-თან საქართველოს უსაფრთხოებისთვის რეალური შედეგი მოაქვს.** ამავე დროს, ვაშინგტონის ეს ნაბიჯი, სავარაუდოდ, გამოიწვევს რუსეთის ძალიან მკვეთრ რეაქციას. „ძირითადი მოკავშირის" სტატუსის ხსენება ნებისმიერ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან დაკავშირებით მოსკოვს ზუსტად ისე აღიზიანებს, როგორც საუბარი მათ გაწევრიანებაზე ნატოში. ძნელი სათქმელია, გადადგამს თუ არა რუსეთი ძალისმიერ საპასუხო ნაბიჯებს, მაგრამ ამ თემაზე მსჯელობას აზრი არ აქვს — არაფერი ეს არ იქნება, რადგან აშშ, 99%-იანი ალბათობით, არ მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოსთვის (აგრეთვე, უკრაინისა და მოლდოვასთვის) „ნატო ფარგლებს გარეთ ძირითადი მოკავშირის" სტატუსის მინიჭების შესახებ; ყოველ შემთხვევაში არა ამ ეტაპზე და არა ამ კანონპროექტის საფუძველზე.

**მათ, ვინც ამ ნიადაგზე ინტერნეტ-დისკუსია გააჩაღეს და ცეცხლოვან ფანტაზიებში ლამის სტალინგრადამდე გაიჭრნენ, არ დასვეს ერთი მარტივი კითხვა: რამდენად დიდია ამ კანონის მიღების შანსი?** 1 მაისიდან კორკერის კანონპროექტი „შემოდებულია თაროზე" საგარეო ურთიერთობების კომიტეტში. თუ ობამას ადმინისტრაცია დაინტერესდებოდა ამ კანონის მიღებით ან პირიქით, მისი რესპუბლიკელი ოპონენტები ჩათვლიდნენ, რომ მისი გატანა შესაძლებელია, ჩვენ აუცილებლად ვიხილავდით პოლემიკას მედიაში მის გარშემო ან, როგორც მინიმუმი, მასზე საზოგადოების ყურადღების კონცენტრირების მცდელობას დავინახავდით. ვინაიდან კანონპროექტი უკრაინაში რუსეთის ამბიციების შეზღუდვას ეხება, ანუ საუბარია იმ მიმართულებაზე, როცა ობამას ადმინისტრაციამ ასე თუ ისე სწრაფად უნდა იმოქმედოს, თითქმის ორთვენახევრიანი მდუმარე პაუზა მიუთითებს იმაზე, რომ კანონპროექტი არ განიხილება, როგორც აშშ-ის უკრაინული (უფრო ფართოდ კი — ევრაზიული) პოლიტიკის ქვაკუთხედი. **მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის თითქოს „ახალი ცივი ომი" დაიწყო, კორკერის კანონპროექტი (ობამას ადმინისტრაციის გადასახედიდან) მაინც ზედმეტად რადიკალური ჩანს და შეიძლება გამოიწვიოს აშშ-რუსეთის სრულმასშტაბიანი დაპირისპირება კარიბის კრიზისის სტილში, ამ მდგომარეობამდე მისვლა კი თეთრ სახლს არ სურს.** „ძირითადი მოკავშირის" სტატუსი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, კანონპროექტი აშშ-ის მიერ სხვა, გაცილებით ხისტი ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს. იმის შანსი, რომ დემოკრატები ამ კანონპროექტს მხარს დაუჭერენ, თითქმის ნულის ტოლია, აგრეთვე, საეჭვოა, რომ მას მიემხროს ყველა რესპუბლიკელი კანონმდებელი წარმომადგენელთა პალატაში. კანონპროექტი შეიძლება არ დადგეს კენჭისყრაზე, თუ დემოკრატები მიზნად მის დაბლოკვას განიზრახავენ. ჩვენ, აგრეთვე, არ ვიცით, რა ტრანსფორმაციას განიცდის ის კომიტეტებსა და კომისიებში, მაგრამ, სასწაული რომც მოხდეს და კანონი დღევანდელი სახით მიიღონ, ბარაკ ობამას ექნება შესაძლებლობა, მას ვეტო დაადოს, რომლის დაძლევა კონგრესში, ძალთა ბალანსიდან გამომდინარე, პრაქტიკულად წარმოუდგენელი ჩანს, ან გააკეთოს დაახლოებით იგივე, რაც 2012 წლის აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის 1242-ე (პირობითად „ქართულ") მუხლთან დაკავშირებით გააკეთა.

**ყველაზე დიდი საფრთხე „არაფორმალურ ემბარგოს", უფრო ფართოდ კი მომავალ განმუხტვას სამკუთხედში „ვაშინგტონი-თბილისი-მოსკოვი" სწორედ მაშინ დაემუქრა.** 1242-ე მუხლის „ა" პუნქტში ნათქვამი იყო, რომ ბიუჯეტის მიღებიდან არაუგვიანეს 90 დღისა თავდაცვის მდივანმა სახელმწიფო მდივანთან შეთანხმებით უნდა შეიმუშავოს და სენატისა და კონგრესის შესაბამის კომიტეტებს წარუდგინოს „საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის ნორმალიზაციის გეგმა, თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვის ჩათვლით". „ბ" პუნქტის თანახმად, ეს გეგმა ემსახურებოდა, მათ შორის, შემდეგი მიზნების მიღწევას: „საქართველოსთვის ამერიკული თავდაცვის საშუალებებისა და მომსახურების მიყიდვის უზრუნველყოფას", „ნატოს წევრი და კანდიდატი ქვეყნების წახალისებას საქართველოსთვის თავდაცვის საშუალებებისა და მომსახურების გაყიდვის განახლებისა და გაზრდის მიზნით". ობამამ მაშინ ხელი მოაწერა თავდაცვის ბიუჯეტს, მაგრამ საგანგებო შენიშვნა დაურთო, რომელმაც შესაძლებლობა მისცა, რამდენიმე მუხლი, მათ შორის 1242-ე, „არასავალდებულოდ ჩაეთვალა". მისი არგუმენტები შემდეგი იყო: 1242-ე მუხლი ისე შეიძლება იქნას წაკითხული, რომ „მგრძნობიარე სახის დიპლომატიური კომუნიკაციისა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციის" გამჟღავნება გამოიწვიოს და, აგრეთვე, „გამოიწვიოს ჩარევა მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებაში მისცეს დირექტივები აღმასრულებელ ორგანოებს, დაიკავონ გარკვეული პოზიცია უცხო ქვეყნების მთავრობებთან მოლაპარაკებებისა და დისკუსიების დროს". ამ ბოლო არგუმენტს, დიდი ალბათობით, „კორკერის კანონის" მიღების ძნელად წარმოსადგენ შემთხვევაშიც გამოიყენებენ. თეთრი სახლი, სავარაუდოდ, ჩათვლის მას დიქტატის მცდელობად კანონმდებელთა მხრიდან და უხეშ შეჭრად მისი პასუხისმგებლობის ზონაში.

საბოლოო ჯამში, განსახილველი აქ არაფერია — კანონს, სავარაუდოდ, არ მიიღებენ. ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში გვინახავს არაერთი, რესპუბლიკელი კანონმდებლების მიერ შემუშავებული რადიკალური შინაარსის კანონპროექტი, რომლებიც, სხვა ყველაფერთან ერთად, აშშ-საქართველოს ურთიერთობის ახალ საფეხურზე აყვანას გულისხმობდა, მაგრამ ყოველივე ეს ქაღალდზე დარჩა. მიუხედავად ამისა, ეს თემა მაინც მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობას გვაძლევს, დავფიქრდეთ იმაზე, რა ტიპის ურთიერთობა გვაქვს შტატებთან და რამდენად უწყობს ის ხელს ჩვენი მთავარი პრობლემის გადაწყვეტას — ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას.

ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ქართველი და ამერიკელი კომენტატორების დიდი ნაწილის ძირითადმა არგუმენტმა ბოლო დროს დაახლოებით შემდეგი სახე მიიღო: „ამერიკას კი უნდა საქართველო ნატოში გააწევრიანოს, მაგრამ ამას ევროპელი მოკავშირეები ეწინააღმდეგებიან". ამის თქმის შემდეგ, როგორც წესი, იწყება ევროპელების კრიტიკა ან, უბრალოდ, ლანძღვა. ახლა კი, ალბათ, შემდეგი კითხვა უნდა დავსვათ: რა უშლის ხელს აშშ-ს „ნატო-ს ფარგლებს გარეთ ძირითადი მოკავშირის" სტატუსი მოგვანიჭოს? ევროპელები ამ შემთხვევაში ვერაფერს დაბლოკავენ, ამ გადაწყვეტილებას ხომ მხოლოდ აშშ-ის ხელისუფლება იღებს. თუ ძირითადი მოკავშირე არ ვართ, მაშინ ვინ ვართ? არაძირითადი მოკავშირე? მეორეხარისხოვანი? სათადარიგო? დუბლიორი თუ იუნიორი (ფეხბურთელების თქმის არ იყოს)? ყველაფერი ისეთი მარტივი როდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. რადიკალ ქართველ ატლანტისტებს ძალიან უჭირთ იმ აზრთან შეგუება, რომ ვაშინგტონმა, ფაქტობრივად, შეწყვიტა ზეწოლა ევროპელ მოკავშირეებზე საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან ან თუნდაც მაპის მინიჭებასთან დაკავშირებით (თუ ამ ზეწოლას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ადგილი საერთოდ ჰქონდა) და ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფენ. ახლა, ალბათ, კოგნიტური დისონანსი დაემართებათ, როდესაც საკუთარ თავს ვერ აუხსნიან, თუ რატომ არ გვანიჭებს აშშ „ძირითადი მოკავშირის" სტატუსს.

**სააკაშვილის რეჟიმმაც კი, რომლის საგარეოპოლიტიკური რიტორიკა აშკარად ბოდვით ხასიათს ატარებდა, ამ სტატუსზე საუბრის დაწყება ვერც ერთხელ ვერ გაბედა. რა გააჩუმებდა სააკაშვილს, თუ იარსებებდა თუნდაც თეორიული შანსი იმისა, რომ აშშ „ძირითად მოკავშირეს" გვიწოდებდა?** მაგრამ, როგორც ჩანს, მას თავიდანვე განუმარტეს, რომ ამ თემით სპეკულირებას არანაირი აზრი არ აქვს, რადგან შედეგის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელია.

ყოველივე თქმული არ წარმოადგენს ობამას ადმინისტრაციის ან, ზოგადად, აშშ-ის დადანაშაულების მცდელობას; ის თავისი ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს და ცდილობს, მაქსიმალურ შედეგს მინიმალური დანახარჯებით მიაღწიოს. აქ მთავარია სხვა რამ — რით ვხელმძღვანელობთ ჩვენ: ილუზიებით, ფანტაზიებით თუ ხილვებით და რამდენად ნორმალურია ეს? შესაძლოა, იმის აღიარება, რომ **დასავლეთს, კერძოდ კი აშშ-ს, ამჟამად ყველაფერი როდი შეუძლია და ამ ეტაპზე საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ან თუნდაც შესამჩნევი განმტკიცება) არ ძალუძს, კარგი სასტარტო წერტილია იმისთვის, რომ რეალობას დავუბრუნდეთ.** ამის გაკეთება არ არის დასავლეთის უარყოფა, როგორც სააკაშვილის მიმდევრებს ჰგონიათ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დღევანდელი, მძიმე მდგომარეობის გააზრებაა, რომელიც, უსაფრთხოების თვალსაზრისით, პრაქტიკულად ჰაერშია გამოკიდებული და ეს სიტუაცია რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უგულავას დაპატიმრება მხოლოდ ნაბიჯია რუბიკონისკენ მიმავალ გზაზე, მის გადალახვად საზოგადოების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ძებნილ მიხეილ სააკაშვილის გამოცხადებას ჩათვლის.**

# უგულავას საქმე: მძიმე სტარტი

**თბილისის ახალი მერის არჩევნების მეორე ტურის წინ ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემად გიგი უგულავას დაპატიმრება იქცა. ის უდავოდ მოახდენს გავლენას როგორც მოსახლეობის წინასაარჩევნო განწყობაზე, ისე პოლიტიკურ პროცესზე მთლიანობაში. პრემიერმინისტრმა უგულავას დაპატიმრებას მართლმსაჯულების ზეიმი უწოდა. არსებობს თუ არა საფუძველი ასეთი ხმამაღალი განცხადებებისთვის და რა შედეგს მოუტანს ყოველივე მომხდარი „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“?**



## აუტსაიდერების თამაში

ხელისუფლებამ, ტრადიციისამებრ, ისევ იხმარა ნაჯახი იქ, სადაც სკალპელი უნდა გამოეყენებინა. ეს მართალაც რაღაც ნონსენსია — **ამდენ ხანს აგროვებდე მტკიცებულებებს და ემზადებოდე პიროვნების დასაპატიმრებლად, ითვალისწინებდე საქმის პოლიტიკურ რეზონანსს და შესაძლო ნეგატიურ რეაქციას დასავლეთში, ბოლოს კი დაკავება მაინც ისე მოახდინო, რომ ოპონენტებს უკანონობაზე საუბრის საბაბი მისცე.** მართალია, უგულავას აეროპორტში დაკავება არც ერთ ასპექტში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ცალსახად უკანონო, მაგრამ, „სუფთა იურიდიული თვალსაზრისით“, სამართალდამცავების ზოგიერთი მოქმედება დამატებით განმარტებებს საჭიროებს და, რაც მთავარია, ქმნის ნიადაგს მათთვის არასასურველი ინტერპრეტაციებისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უგულავა „წინასაარჩევნო მორატორიუმის“ დასრულებამდე დააკავეს და ხელისუფლებისთვის ნეგატიურ კონტექსტში ამას ხაზი გაუსვა თითქმის ყველა უცხოელმა კომენტატორმა. მიუხედავად იმისა, რომ მორატორიუმის გამოცხადება არსებითად მხოლოდ მთავრობის კეთილი ნების დეკლარირებას წარმოადგენს და ის არანაირ იურიდიულ წინაღობას არ ქმნის. საუბრები იმაზე, რომ მთავრობამ დაპირება არ შეასრულა, მისთვის სასიამოვნო ნამდვილად არ უნდა იყოს. **არგუმენტმა „უგულავა ქვეყნიდან გარბოდა და ამიტომ დავიჭირეთ“ შეიძლება კარგად იმუშაოს საქართველოში, მაგრამ არა მის ფარგლებს გარეთ**. ეს ეპიზოდი გვაბრუნებს კითხვასთან, რომელიც არაერთგზის დაისვა და პასუხგაუცემელი დარჩა: რამდენად გონივრულია მორატორიუმის გამოცხადება საერთოდ თუ ის პროკურატურის მუშაობას პოლიტიკურ კონიუნქტურას უქვემდებარებს?

ყოველივე ჩამოთვლილის შედეგად, „ნაციონალებს“ და მათ დასავლელ გულშემატკივრებს მიეცათ შესაძლებლობა „უკანონო დაკავებაზე“ და „მორატორიუმის დარღვევაზე“ ესაუბრათ. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის რეაქცია მთლიანობაში გაცილებით ზომიერი იყო, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების დაპატიმრება-გასამართლების საწყის ეტაპზე, დასავლურ მედიაში მაინც დაფიქსირდა „ქართული ოცნებისთვის“ არასასურველი პასაჟები, სადაც ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ უგულავა ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის უფროსი გახლდათ და ის უშუალოდ არჩევნების წინ დააპატიმრეს. ეს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაუხედავი მკითხველისთვის საკმაოდ საეჭვო მომენტია. რა თქმა უნდა, ამას არ ჰქონდა რამდენადმე მასშტაბური კამპანიის ხასიათი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გიგი უგულავა ნელსონ მანდელა არ არის, თუმცა ეს პუბლიკაციები, სავარაუდოდ, მოახდენს გარკვეულ გავლენას მმართველი კოალიციის იმ ნაწილზე (თავის მხარდამჭერებიანად), რომელთათვის დასავლურ პრესაში დაბეჭდილი ერთი ფრაზა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად. შესაძლოა, ისინი კიდევ ერთხელ შეეცდებიან, დააარწმუნონ ირაკლი ღარიბაშვილი, რომ ხელისუფლებამ უნდა დაამუხრუჭოს, როგორც ეს ადრე არაერთგზის გაუკეთებიათ. არადა, **სამართალდამცავებს შეეძლოთ, გაცილებით კარგად, ასე ვთქვათ, ტექნიკურად ემოქმედათ, ბრაზილიის თუ არა, ურუგვაის და კოსტა-რიკის საფეხბურთო ნაკრებების სტილში. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, ეს საქართველოა, სადაც პროკურატურაც და საფეხბურთო ნაკრებიც საკუთარ მოედანზეც კი უნიჭოდ და უთავბოლოდ მოქმედებენ.**

შემდეგ დრამატული მოვლენების ეპიცენტრმა საქალაქო სასამართლოს შენობასთან გადაინაცვლა, სადაც უგულავას გულშემატკივრები პროტესტს ახალგაზრდა ბაბუინების ენერგიულობით გამოხატავდნენ, რის გამოც პროკურორები შენობიდან საგანგებო დაცვის თანხლებით გამოიყვანეს. როგორ მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში ცბიერი და გულღრძო ლათინოამერიკული რეჟიმი, ასე 50 წლის წინ? ის, სავარაუდოდ, პოლიციელებს რამდენიმე წუთით „დააგვიანებინებდა“, მისცემდა „ნაციონალებს“ საშუალებას, ალყაში მოექციათ პროკურორები და ხელითაც შეხებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დასჯიდა მათ არა „წვრილმანი ხულიგნობისთვის“ (როგორც ეს გასულ კვირას თბილისში მოხდა), არამედ ისეთი მძიმე ქმედებისთვის, როგორიცაა პროკურორზე თავდასხმა. თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ მსგავსი მაკიაველისტური კომბინაციებისგან თავი შეიკავა და დებოშის მომწყობთა მხოლოდ მსუბუქი, თითქმის სიმბოლური დასჯით შემოიფარგლა (სასამართლომ ზოგიერთ მათგანს ასლარიანი ჯარიმა დააკისრა). ეს ლმობიერი დამოკიდებულება, ალბათ, მაინც გამართლებული იყო, რადგან გადამეტებული სიმკაცრის გამოვლენა წინასაარჩევნოდ მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ **სამართალდამცავებმა ამ შემთხვევაშიც დაუშვეს შეცდომა — მათ დააკავეს „ნაციონალი“ დეპუტატი ლევან ბეჟაშვილი იმ სიტუაციაში, როდესაც ამის გაკეთების უფლება, სტატუსიდან გამომდინარე, არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთ ამომრჩეველს, დიდი ალბათობით, სურს, რომ ბეჟაშვილი, თანამოაზრეებთან ერთად, არათუ დააკავონ, არამედ სარზე გასვან, მისი დაკავება მაინც არ შეიძლებოდა.** აგრეთვე, იყო მცირე გაუგებრობა გიგი უგულავას სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანასთან დაკავშირებით, რომელზეც სახალხო დამცველმა მოგვითხრო. შესაბამის სახელმწიფო მოხელეებს მცირედი წინდახედულობა რომ გამოევლინათ, უგულავას ეს პრობლემური გადაყვანა საჭირო საერთოდ არ გახდებოდა.

## როდის დადგება სააკაშვილის ჯერი?

პატარა შეცდომები ხშირად დიდი, სისტემური პრობლემების არსებობაზე მიუთითებს. მერაბიშვილისა და ახალაიას პროცესების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარეს იყო როგორც საკმაოდ სერიოზული მტკიცებულებები, ისე საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა, პროკურატურა საკმაოდ მოუქნელად, ზოგიერთ ეპიზოდში კი ფრიად არადამაჯერებლად მოქმედებდა. უგულავას საქმეც ცუდად დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების სასტარტო პოზიციები, შესაძლოა, უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ვიდრე მერაბიშვილის ან ახალაიას შემთხვევაში (შემოვიფარგლებით მხოლოდ ამ ზოგადი შეფასებით, რადგან დეტალებში ჩაღრმავება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის მაღალ რისკს უკავშირდება). ამას დაემატა პოლიციის ტაქტიკური შეცდომაც ბეჟაშვილთან დაკავშირებით, რომელიც, ერთი შეხედვით, ძალზე უმნიშვნელო ეპიზოდია, მაგრამ ისიც მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ მოქმედებს იუველირული სიზუსტით, რომელიც აუცილებელია მაშინ, როდესაც საქმე სამართალდამცავებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ურთიერთობას ეხება (რამდენად ნეგატიური დამოკიდებულება უნდა გვქონდეს „ნაცმოძრაობის“ და მისი ამაზრზენი წარსულის მიმართ, ფორმალური თვალსაზრისით, ის ოპოზიციური პარტიაა).

**საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმ სტანდარტებისგან, რომელიც (მაგალითად) პერუში ყოფილი დიქტატორის — ალბერტო ფუხიმორისა და მისი ხელქვეითების გასამართლების დროს დაამკვიდრეს.** არადა, დამნაშავე მოხელეების დასჯა ყოველგვარ აზრს კარგავს, თუ პროცედურასთან დაკავშირებით ეჭვნარევი კითხვები ჩნდება. ასე იყო ტაივანში, რომლის პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი, როგორც ჩანს, მართლაც იყო ჩართული კორუფციაში და იქაური პროკურორების არგუმენტები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. მაგრამ სწორედ მსგავსი „პატარა შეცდომების“ და ორაზროვანი ეპიზოდების გამო, მთავრობამ ვერ მოახერხა სრულად გათავისუფლებულიყო ბრალდებებისგან პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით. ასეა თუ ისე, საუბარი „მართლმსაჯულების ზეიმზე“, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა ახსენა, ერთობ ნაადრევი ჩანს. ეს, ალბათ, უფრო ქართული მართლმსაჯულების ყოველდღიურობა თავისი შეცდომებითა და გადაცდომებით, აშკარა სისულელით თუ ფარული საბოტაჟით.

ხელისუფლების გააქტიურება უგულავას საქმესთან (უფრო სწორად, საქმეებთან დაკავშირებით), სავარაუდოდ, დადებითად აღიქვამენ ის ამომრჩევლები, რომლებიც აკრიტიკებდნენ მას იმის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსანთა დასჯის საქმეში არასაკმარისად მონდომებულია. ადგილობრივი არჩევნების პირველმა ტურმა ნათლად აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების ნაწილი გადადის იმ ოპოზიციური პარტიების ბანაკში, რომელნიც „ნაცმოძრაობის“ მიმართ გაცილებით რადიკალური პოლიტიკის გატარებას ემხრობიან. ეს არ არის „ამომრჩეველთა მიგრაციის“ ერთადერთი მიზეზი, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ნამდვილად არის. უგულავას დაპატიმრებამ (და სავარაუდო მოქმედებამ სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ) შეიძლება დააფიქროს ეს ამომრჩევლები, რომ „ქართული ოცნება“ მათთვის უმნიშვნელოვანეს საკითხში „მთლად უიმედო არ არის“, თუმცა არსებობს ერთი ნიუანსი, რომელიც, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ — უგულავას ეპოპეა (სხვადასხვა ეპიზოდის განხილვა საზოგადოებაში, დაკითხვები და ა. შ.) იმდენ ხანს გაგრძელდა, საზოგადოებრივი აზრი შეეგუა იმას, რომ ადრე თუ გვიან მას დააპატიმრებდნენ (თუ გაქცევას ვერ მოასწრებდა). შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების აღქმაში მისი დაპატიმრება „წინასწარ ანონსირებული“ იყო და ნამდვილად არ იყო ისეთივე (თუნდაც ნაწილობრივ) მოულოდნელი, როგორც მერაბიშვილის დაპატიმრება. რომ ხელისუფლება დამნაშავეთა დასჯის დაპირებას არ ივიწყებს, ძნელი სათქმელია, რა დაარწმუნებდა უფრო მეტად „ოცნების“ ამომრჩეველს ამაში — უგულავას დაპატიმრება თუ სააკაშვილის ძებნილად გამოცხადება, იმის გათვალისწინებით, რომ გავრცელებულია ეჭვი, ხელისუფლება ამას დასავლეთის მწვავე რეაქციის შიშით არ აკეთებს.

სააკაშვილის პრობლემა დღის წესრიგიდან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ამოვარდება. შეუძლებელია, გაასამართლო მერაბიშვილი, ახალაია და უგულავა ისე, რომ სააკაშვილი არც კი დაკითხო. ეს, უბრალოდ, არანორმალურია — ისინი ერთი სისტემის წარმომადგენლები იყვნენ, რომლის მწვერვალზეც მიხეილ სააკაშვილი იჯდა. სავარაუდოდ, სწორედ (და მხოლოდ) პროკურატურის გააქტიურება იმ საქმეებში, რომლებშიც სააკაშვილი ფიგურირებს, საბოლოოდ დაარწმუნებს „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს, რომ ხელისუფლება აღარ ხუმრობს და საკუთარი მხარდამჭერების მოტყუებას არ ცდილობს. ამ კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ **უგულავას დაპატიმრება მხოლოდ ნაბიჯია რუბიკონისკენ მიმავალ გზაზე, მის გადალახვად საზოგადოების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ძებნილ მიხეილ სააკაშვილის გამოცხადებას ჩათვლის.**

## დაიცავით დისტანცია!

გიგი უგულავას მაღალი პოსტი ეკავა, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ შიგა სამზარეულოში ის დამოუკიდებელი ფიგურა არ გახლდათ. ის ვერ ჩამოყალიბდა სრულფასოვან პოლიტიკურ მოთამაშედ; მის აზრს ითვალისწინებდნენ, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. კრიტიკული მნიშვნელობა მისმა ფიგურამ ყოფილი მმართველი პარტიისთვის საპარლამენტო არჩევნების წაგების შემდეგ შეიძინა, როდესაც თბილისის მერიაში ერთგვარი დაცული პლაცდარმის შექმნა დასჭირდათ, მაგრამ ეს ეტაპი დასრულდა და მკვეთრად დაკნინდა ის როლიც, რომელიც უგულავას შეეძლო შეესრულებინა პარტიული ყულაბის შევსების საქმეში. მისი დაპატიმრება „ნაციონალურ მოძრაობას“ კრიტიკულ ზიანს, სავარაუდოდ, არ მიაყენებს, თუ უგულავა აღიარებითი ჩვენებების მიცემას და თანაპარტიელების ჩაძირვას არ დაიწყებს. თუმცა „ნაციონალებმა“ ჩვენზე უკეთ იციან, შეიძლება ჰქონდეთ თუ არა უგულავას სიმტკიცის იმედი და, საბოლოო ჯამში, ეს მათი პრობლემაა და არა (მადლობა ღმერთს!) ჩვენი.

ხელისუფლებას ხშირად უკვირს და, შეიძლება ითქვას, იბუტება, როდესაც მას არ აქებენ უდავოდ სწორი პოლიტიკური ან ეკონომიკური გადაწყვეტილებისთვის, არ იზიარებენ მის პათოსს „მართლმსაჯულების ზეიმთან“ დაკავშირებით და ა. შ. საქმე ისაა, რომ თითქმის ყველაფერი დადებითი, რასაც ახალი მთავრობა აკეთებს, საზოგადოებას დიდი ხანი განხილული აქვს და ხშირად უკვირს, თუ რატომ მივიდა მთავრობა ასე გვიან შესაბამის გადაწყვეტილებამდე და რატომ ▶



**საქართველოს მოქალაქეებისთვის გაუგებარი არ უნდა იყოს, რომ ისლამისტური საფრთხე ცალკე, როგორც ასეთი, ან მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, ვერ იარსებებს. იგი, პირველ რიგში, საქართველოს უქმნის საფრთხეს, მაგრამ შეერთებულ შტატებს ეს, რა თქმა უნდა, არ აღელვებს. ამიტომ ისევ და ისევ ჩვენ, ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა, უნდა გავამახვილოთ ყურადღება მოცემულ საფრთხეებსა და რისკებზე.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იყო მისი ნაბიჯები არასაკმარისად თამამი. მთავრობას შეუძლია დიდხანს უხსნას აუდიტორიას, რატომ დასჭირდა ამდენი დრო, მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების პრემიების შემცირებისთვის, რომ გიგი უგულავას დაპატიმრების წინ უამრავი ნეგატიური ფაქტორის გათვალისწინება მოუხდა და, დაშვებული შეცდომების მიუხედავად, ამის გაკეთება მაინც მოახერხა, მაგრამ საზოგადოების ნაწილისგან მაინც მიიღებს კრიტიკას და არა ქებას. აქ „დამნაშავე“, ალბათ, ორივე მხარეა — ყველას როდი ესმის იმ შემაფერხებელი ბარიერების მნიშვნელობა, რომელთა დაძლევა სამართლიანობის აღდგენის პროცესში ხელისუფლებას უწევს, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებს, თავის მხრივ, არ ესმით, რომ ამ ბარიერების დაძლევა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება აღქმული საზოგადოების მიერ, როგორც გმირობა, თუნდაც მან გმირული ძალისხმევა მოითხოვს — საზოგადოების თვალში ყოველივე ეს დარჩება სახელმწიფო მანქანის ჩვეულებრივ, რუტინულ მუშაობად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნელი და არაეფექტურია. ასე რომ, ეს არ არის ზეიმი ან ბერლინის აღების ტოლფასი მოვლენა, ეს ყოველდღიური სამუშაოა, რომელიც ხელისუფლების ყველა შტომ „ისედაც“ უნდა შეასრულოს.

**ხელისუფლებისთვის სასურველია, რომ სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების დაპატიმრება-გასამართლების პროცესი მაქსიმალურად გათავისუფლდეს პოლიტიკური შოუს ელემენტებისგან, ის უნდა განიხილებოდეს არა პოლიტიკური ბრძოლის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის გამართული (თუ გაუმართავი) ფუნქციონირების კონტექსტში.** რა მოიგო ირაკლი ღარიბაშვილმა განცხადებით „მართლმსაჯულების ზეიმზე“? პრინციპში, განსაკუთრებული არაფერი. მაგრამ თუ ხელისუფლება მოახდენდა საკუთარი თავის იმგვარ პოზიციონირებას, რომ ის სამართალდამცავების და (სავარაუდო) კრიმინალების ჭიდილზე ოდნავ მაღლა დგას, უფრო მეტად დისტანცირებულია მისგან, რომ მას დიდად არ აინტერესებს ჭუჭყი, რომელიც ამ საქმეებს უკავშირდება, მის ოპონენტებს გაცილებით ნაკლები საბაბი ექნებოდათ იმისთვის, რომ ის ამ პროცესებში ერთ-ერთ მხარედ წარმოეჩინათ და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში დაედანაშაულებინათ. კრიმინალს სამართალდამცავებმა უნდა მიხედონ, მთავრობის წევრებისთვის არასასურველია, ყოველდღე დააფიქსირონ, რომ ამ პროცესით დიდად დაინტერესებულნი და მასში 100%-ით ჩართულნი არიან. სავარაუდოდ, სწორედ ეს მიდგომა მისცემს მმართველ კოალიციას შესაძლებლობას, „ნაცმოძრაობის“, საბოლოო მარგინალიზება და მისი კრიმინალურ ბანდასთან გაიგივება მოახდინოს; ანუ გააკეთოს სწორედ ის, რასაც მისგან ამომრჩევლების დიდი ნაწილი მოითხოვს; სურს თუ არა მას ამის გაკეთება, ცალკე საუბრის თემაა.

**დიმიტრი მონიავა**

# რა საფრთხეს უქმნის საქართველოს მეამბოხეთა მიერ სლავიანსკის დატოვება

**თვეების განმავლობაში ბრძოლებით გატანჯულ დონბასურ ქალაქებში — სლავიანსკსა და კრამატორსკში — კვლავ უკრაინის სახელმწიფო დროშა ფრიალებს. დონბასელმა მებრძოლებმა ეს ქალაქები უმძიმესი ბრძოლების შემდეგ დატოვეს. რას უნდა მოასწავებდეს უკრაინული ჯარის მიერ სლავიანსკისა და კრამატორსკის დაკავება? შეიძლება იმის თქმა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ომის ბედი უკვე გადაწყდა? ნუთუ რუსეთმა პოზიციები დათმო და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ნოვოროსიის მომხრეები მიატოვა? რა საფრთხეები შეიძლება გაჩნდეს საქართველოსთვის?**



მე ჩემს ვერსიას გავაცნობ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, არსებული ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე. **პირველი ფაქტი,** რომელიც იქცევს ყურადღებას: **სლავიანსკზე უკრაინული შენაერთების ტოტალურ საარტილერიო შეტევას, რომლის შემდეგაც იქნა დატოვებული ქალაქი, წინ უსწრებდა პრეზიდენტ პოროშენკოს მიერ გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტა, რომელიც ისევ პოროშენკომ გააუქმა 30 ივნისს.** მანამდე „მემარჯვენე სექტორის“ მიერ კიევში ორგანიზებულ იქნა საპროტესტო აქციები ცეცხლის შეწყვეტის გაუქმების მოთხოვნით. პოროშენკომ თავისი გადაწყვეტილება ამ აქციების შედეგად თუ არა, დროის თვალსაზრისით, მათ შემდეგ მიიღო. რაც შეეხება დონბასელი მებრძოლების მიერ სლავიანსკისა და კრამატორსკის დატოვებას, ყურადღებას იქცევს ის, რომ **ამ ქალაქებიდან ევაკუაციისას მებრძოლებს თითქმის არ ჰქონიათ ცოცხალი ძალის დანაკარგი, მათ მინიმალური ზარალი განიცადეს საბრძოლო შეიარაღების თვალსაზრისითაც.** მართალია, ამას თვითონ დონბასელები ამბობენ და რუსული მასმედია ავრცელებს, მაგრამ, სიმართლე რომ არ იყოს, უკრაინული მხარე სიამოვნებით გაავრცელებდა დახოცილი სეპარატისტების ამსახველ ფოტო-ვიდეომასალას, ეს კი არ მომხდარა.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, **ლოგიკურად ჩნდება ვერსია, რომ სლავიანსკისა და კრამატორსკის ჩაბარება შეგნებულად მოხდა.** დონბასელი მებრძოლების ლიდერი იგორ სტრელკოვი (გირკინი) აცხადებს, რომ სლავიანსკიდან და კრამატორსკიდან უკან დახევა, სამხედრო თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ძალების რაციონალური გამოყენების მიზნით. მებრძოლები **ახლა უკეთ გაამაგრებენ დონეცკსა და ლუგანსკს, გაცილებით უფრო დიდ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქებს, ვიდრე სლავიანსკი და კრამატორსკია.** მაგრამ გარდა სამხედრო მიზანშეწონილობისა, პოლიტიკური გარიგების შესაძლებლობასაც ვვარაუდობ, კერძოდ: **უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა პოროშენკომ ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდეგ მემარჯვენე ძალების მხრიდან დიდი ზემოქმედება განიცადა, ამიტომ ცდილობს, გამოვიდეს ოლიგარქის ამპლუიდან და დაიმკვიდროს ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მმართველის იმიჯი, რომელიც ქვეყანას აერთიანებს და წესრიგს ამყარებს. ამ მიზეზით, პოროშენკოს ჰაერივით სჭირდებოდა საკუთარი თავის ასოცირება სამხედრო წარმატებებთან.** სწორედ ეს მოხდა სლავიანსკში, **პოროშენკომ საკუთარ თავს მიაწერა ეს გამარჯვება — სლავიანსკში უკრაინული დროშა პოროშენკოს ბრძანებით აღიმართა და სწორედ ასე გაპიარდა მასმედიაში** (პოროშენკოს ავადმყოფური მიდრეკილება აქვს თვითრეკლამისკენ).

მაგრამ **სავარაუდოა, რომ ეს „გამარჯვება“ პოროშენკოს რუსებმა აჩუქეს და სლავიანსკიდან მეამბოხეთა გაყვანა შეთანხმებით მოხდა.** ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ პრესამ გაავრცელა ინფორმაცია მეამბოხეთათვის დერეფნის გაკეთების შესახებ. რუსეთს ეს პოლიტიკურად ხელს აძლევს, რადგან პოროშენკოს საშუალება ეძლევა, გაუძლოს მემარჯვენეების წნეხს და კვლავ შეწყვიტოს ცეცხლი სამშვიდობო პროცესის დაწყების მიზნით. **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ლავროვისა და მისი გერმანელი კოლეგის, შტაინმაიერის ერთობლივი მოწოდება, აღდგეს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, შემთხვევითი არ არის. გამოდის, რომ რუსეთმა პოროშენკოს მისცა შანსი, ღირსეულად გამოვიდეს მძიმე მდგომარეობიდან და „გამარჯვებულის“ პოზიციიდან ჩაერთოს სამშვიდობო პროცესში, ყოველ შემთხვევაში, შეწყვიტოს ცეცხლი და გაითვალისწინოს არსებული რეალობა.**

რამდენად რეალურია რუსეთის მოლოდინი, რომ პოროშენკო ამ სიგნალს მიიღებს და სწორად აღიქვამს, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, რუსები შეცდნენ და არ უნდა დაეშვათ დონბასელი მებრძოლების უკან დახევა, თუმცა ჯერჯერობით ამის მტკიცება არ შეიძლება.

ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ გააგრძელებს რუსეთის წინააღმდეგ ირიბ მოქმედებებს როგორც უკრაინაში, ისე სხვა რეგიონებში, მათ შორის, კავკასიაში. **აშშ-ის მთავარი ამოცანაა, საქართველოში არ დაუშვას რუსეთთან პოლიტიკური დაახლოების სულ უფრო მზარდი საზოგადოებრივი განწყობების რეალიზება.** აშშ ტრადიციულად არც ისლამისტების მხარდაჭერაზე იტყვის უარს, რადგან **ისლამისტები, რომლებიც ებრძვიან რუსეთს, „კარგი ისლამისტები“ არიან. ანუ, ამერიკა ლოიალურად ან, სულ ცოტა, ნეიტრალურად არის განწყობილი იმ ისლამისტების მიმართ, რომლებიც ვაშინგტონისთვის არასასურველ სახელმწიფოებსა და მთავრობებს ებრძვიან.** რასაკვირველია, ამერიკელებმა იციან, რომ ისლამისტების ნაწილი, ადრე თუ გვიან, მათაც დაუპირისპირდება, მაგრამ ამას უფრო ეგუებიან, ვიდრე მსოფლიოზე ჰეგემონობის მოჩვენებით წარმოდგენაზე უარის თქმას. შესაბამისად, **ისლამისტურ ფაქტორს აშშ პოლიტიკურ იარაღად იყენებს კავკასიის რეგიონში, რათა რუსეთის პოზიციები შეასუსტოს.**

**აშშ-ის მთავარი ამოცანაა, საქართველოში არ დაუშვას რუსეთთან პოლიტიკური დაახლოების სულ უფრო მზარდი საზოგადოებრივი განწყობების რეალიზება. აშშ ტრადიციულად არც ისლამისტების მხარდაჭერაზე იტყვის უარს, რადგან ისლამისტები, რომლებიც ებრძვიან რუსეთს, «კარგი ისლამისტები» არიან, ანუ ამერიკა ლოიალურად ან, სულ ცოტა, ნეიტრალურად არის განწყობილი იმ ისლამისტების მიმართ, რომლებიც ვაშინგტონისთვის არასასურველ სახელმწიფოებსა და მთავრობებს ებრძვიან**

წესითა და რიგით, **საქართველოს მოქალაქეებისთვის გაუგებარი არ უნდა იყოს, რომ ისლამისტური საფრთხე ცალკე, როგორც ასეთი, ან მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ვერ იარსებებს. იგი, პირველ რიგში, საქართველოს უქმნის საფრთხეს, მაგრამ შეერთებულ შტატებს ეს, რა თქმა უნდა, არ აღელვებს. ამიტომ ისევ და ისევ ჩვენ, ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა, უნდა გავამახვილოთ ყურადღება მოცემულ საფრთხეებსა და რისკებზე.** სწორედ ამ მიზნით, ევრაზიის ინსტიტუტმა 4 ივლისს, რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტთან ერთად, თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“, გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე — **„ისლამისტური იდეოლოგია და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები“.** კონფერენციის მონაწილე ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა, საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიური უმცირესობის (კერძოდ, ისლამის) წარმომადგენლებმა, ხაზგასმით აღნიშნეს ისლამის აგრესიული ვერსიის გააქტიურება რეგიონში, რომელსაც გარე ძალები კვებავენ. რუსეთის სტრატეგიული ინსტიტუტი ისლამიზმის პრობლემებს სკრუპულოზურად შეისწავლის. ამ ინსტიტუტის (რომელიც სტრუქტურულად რუსეთის პრეზიდენტს ექვემდებარება) წარმომადგენელმა ა. ატაევმა ქართველ საზოგადოებას გააცნო ჩატარებული კვლევების ნაწილი, რომელიც ისლამისტების მხრიდან სოციალურ ქსელებში გაშლილ აქტიურობებს მოიცავდა. სამწუხაროდ, **საქართველოში არათუ მსგავსი კვლევები, საერთოდ, არანაირი პოლიტოლოგიური კვლევა არ ტარდება სახელმწიფოს მხარდაჭერით, მხოლოდ ის ინსტიტუტები მუშაობენ, რომლებსაც აშშ და სხვა დასავლური სახელმწიფოები აფინანსებენ და თავიანთ ჭკუაზე ამუშავებენ კიდეც,** ამიტომ ევრაზიის ინსტიტუტი შეეცდება, რუს კოლეგებთან თანამშრომლობის გზით, ასეთი ტიპის კვლევები საქართველოშიც განახორციელოს. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ მრგვალ მაგიდაში მონაწილე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა, რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსმა, შესანიშნავმა და ღრმად განსწავლულმა სასულიერო მოღვაწემ, უსათნოესმა პიროვნებამ — მეუფე იოანემ (გამრეკელი) განაცხადა: **„დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ამგვარი პრობლემების მოგვარება ჩვენ, ქართველებს, არ გვიწევდა, ამას ჩვენს ნაცვლად აგვარებდნენ. დღეს ჩვენ, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს, საკუთარი ინტერესები გვაქვს, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვართ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე მაინც არ შეგვიძლია ცხოვრება“.**

**გულბაათ რცხილაძე,**
ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლება ხალხის ტკივილს არად აგდებს; ყურად არ იღებს პატრიარქის შეგონებასაც, რაც სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტის შედეგია“.

**მამა დავითი (ლასურაშვილი):**

# საქართველოს მოსახლეობა დადგება იმ გულსაკლავი მოვლენის წინაშე, რომელსაც უცხოელის მონობა ჰქვია!

**რამდენიმე დღის წინათ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი უცხოელებზე მიწის მიყიდვის თაობაზე. ამ ამბავმა ქვეყნის მოსახლეობა შეაშფოთა. განცხადება საქართველოს პატრიარქმაც გააკეთა. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხებზე სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი, მამა დავითი (ლასურაშვილი) გვესაუბრება.**



**— მამაო დავით, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნებში უვიზო რეჟიმის მისაღწევად საჭიროა, საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს ID პირადობის მოწმობა. ცოტა ხნის წინათ კი საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელებზე მიწის გაყიდვის მორატორიუმი გააუქმა. ამ ამბავმა ხალხი აღაშფოთა. პატრიარქმა კი სპეციალური განცხადება გააკეთა.**

— ქართველი კაცისთვის, ამ მცირემიწიანი ერისთვის, ომებში გაწამებული ქვეყნის მკვიდრთათვის, მიწა-წყალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. **დღეს ცდილობენ, გაცვეთილ ფრაზად წარმოაჩინონ, რომ მიწის ყოველი გოჯი გაპოხილია ქართული სისხლით, მაგრამ ეს რეალობაა.** უცხოეთის გავლენით სხვაგვარად მომართული ადამიანების გონება ამას ვერ ეგუება და ასეთი ფრაზები მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოების კუთვნილებად მიაჩნიათ.

მურმან ლებანიძის ლექსს გაგახსენებთ: „არავითარი სხვა სამშობლო არ გამაჩნია“... საქართველო ულამაზესია, ამ სილამაზის მიღმა არის დიდი კულტურა და მიწა-წყლის უდიდესი სიყვარული. ერები, რომლებსაც სხვა ტრადიციები აქვთ, საკუთარი ქვეყნის მთლიანობას განსაკუთრებით იცავენ, იცავენ ყოველ გოჯ მიწას. ერთი მტკაველით საზღვრის გადაწევამ, შესაძლოა, სახელმწიფოებს შორის ომის დაწყება გამოიწვიოს. ასე იყო საქართველოშიც. ქართველი საკუთარ მიწას ოფლითა და სისხლით იცავდა.

მინდა მოგითხროთ, როგორ გადავიდა თავდაპირველად მიწა სახელმწიფოს გამგებლობაში. ძველ აღთქმაში მოსე წინასწარმეტყველი ამბობს, რომ მამამთავარ იაკობის შვილი, იოსები, ეგვიპტის ფარაონის კარზე აღმოჩნდა, სადაც მეორე პირი იყო. მისი იქ ყოფნის პერიოდში პირველი შვიდი წელი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა, ხოლო შემდგომი შვიდი წლის განმავლობაში მოსავალი საერთოდ არ მოვიდა. იოსებს გონება უჭრიდა. იმ შვიდ წელიწადში, როდესაც მოსავალი უხვი იყო, აუარებელი ხორბალი მოიმარაგა და სახელმწიფო ბეღლებში დააბინავა, შემდეგ შვიდ წელიწადს კი, როდესაც მოსავალი აღარ მოვიდა და ხალხმა შიმშილი დაიწყო, იოსებმა ხორბლის გაცემა დაიწყო. ხალხი მისგან ხორბალს ჯერ ვერცხლით (ფულით) ყიდულობდა, შემდეგ — შინაური ცხოველებით, ბოლოს კი მიწაზე ცვლიდა, ანუ მოსახლეობა მიწას სახელმწიფოს გადასცემდა. სწორედ აქედან დაიწყო მიწის გადასვლა სახელმწიფოს გამგებლობაში. ამ პერიოდიდან დაკანონდა, რომ მიწით სარგებლობისთვის მოსახლეობას გადასახადი უნდა გადაეხადა. **დღეს ჩვენს ქვეყანაში გაუკუღმართებული პროცესი მიმდინარეობს. მოსახლეობას უჭირს, ფული გამოელია და ზოგიერთმა მოქალაქემ უცხოელებზეც დაიწყო მიწის მიყიდვა. სახელმწიფო კი ამ საშიშ მოვლენას ჯეროვან შეფასებას ვერ აძლევს და არ არეგულირებს.**

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ ეს საქმეო და მძიმე, კაბალურ პერსპექტივას სთავაზობს მოსახლეობას. გვეუბნებიან, ეს საფრთხეს არ შეიცავსო. პატრიარქი, რომელიც მაღალი სულიერებით გამოირჩევა და ადამიანური სიბრძნის თვალსაზრისითაც უდიდესი გამოცდილება აქვს, განსაკუთრებული და მტკივნეული საკითხების დროს თავის პოზიციას გამოხატავს. მან თავისი პოზიცია გამოხატა რეგიონული და ანტიდისკრიმინაციული კანონების მიმართ და ასევე მოიქცა ახლაც, როდესაც მიწების გასხვისებაზე მიდგა საქმე.

**«დღეს ჩვენს ქვეყანაში გაუკუღმართებული პროცესი მიმდინარეობს. მოსახლეობას უჭირს, ფული გამოელია და ზოგიერთმა მოქალაქემ უცხოელებზეც დაიწყო მიწის მიყიდვა. სახელმწიფო კი ამ საშიშ მოვლენას ჯეროვან შეფასებას ვერ აძლევს და არ არეგულირებს»**

ჩვენ ვხედავთ, რომ ვართ პატარა ნაწილი გლობალური მოვლენებისა, მაგრამ არის მომენტები ქვეყნის ცხოვრებაში, რომელთაც განსაკუთრებული პრინციპულობით უნდა მიუდგნენ ადამიანები. **პატრიარქმა ბრძანა: „თავისთავად მისასალმებელია უცხო კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რადგან ამის გარეშე ქვეყნის განვითარება შეუძლებელია, მაგრამ ეს პროცესები უმართავი არ უნდა გახდეს. მან არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მომსახურე პერსონალად გადაქცევა. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომლებსაც ეკუთვნით აქაური დოვლათი და სიკეთე, აღარ ჰქონდეთ სამეწარმეო რესურსის გამოყენების საშუალება. ვთხოვ ხელისუფალთ, ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად, შეიმუშაონ სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალდეს მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები, მით უმეტეს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა“.**

— საქართველოს პატრიარქი განცხადებებს პოლიტიკურ თემებზე იშვიათად აკეთებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლება გადაწყვეტილებას მის ჯიბრზე იღებს და არა მხოლოდ ხელისუფლება... როცა საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი, პატრიარქმა თქვა, ევროპაში ჩვენი კულტურა უნდა გავიტანოთო, მეორე დღეს კი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ჩვენი კულტურა არ აინტერესებს...

— ჩვენთვის მიწა-წყლის განცდა ინსტიქტამდეა დასული. დღეს მას დაცვა რომ სჭირდება და ამის მტკიცება გვიწევს, უკვე კატასტროფაა, თანაც **ხელისუფლება ხალხის ტკივილს არად აგდებს, ყურად არ იღებს პატრიარქის შეგონებასაც, რომელიც სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტის შედეგია. მღვდელიც ამ ქვეყნის მოქალაქეა და ჩვენც გვტკივა გული, ამიტომ ამ ქვეყნის ტრადიციებს ყოველთვის დავიცავთ.**

ჯო ბაიდენმა მართლაც თქვა, რომ მას ჩვენი კულტურა არ აინტერესებს და გეებისა და ლესბოსელების დაცვა ეროვნულ კულტურაზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

დღეს ეს თემაა უპირატესი მსოფლიოში. ასე გახრწნილი ადამიანები ვერც საკუთარ კულტურას დაიცავენ, ვერც ტრადიციებს და მათთვის ღირებული აღარაფერი იქნება. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას სასულიერო პირები ვამბოდით, რომ ამ კანონის შემდეგ ქართული და ქრისტიანული კანონები იქნება უარყოფილი, იმავეს ვიტყვით დღესაც. **საქართველოს მოსახლეობა აუცილებლად დადგება იმ კრიტიკული და გულსაკლავი მოვლენის წინაშე, რომელსაც უცხოელის მონობა ჰქვია.**

**ჩვენ ჯერ არ ვართ ევროკავშირის წევრები და ნუ ავიღებთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც წევრ ქვეყნებს ეკისრებათ, ჩვენ ვერ გავხდებით სხვა ქვეყნების იდენტური. ევროკავშირი თუ ასეთ რამეს ითხოვს ჩვენგან, ე. ი. ის არ ყოფილა პლურალისტური, პირიქით — ის წნეხის ქვეშ ამყოფებს ქვეყნებს და უფლებას არ აძლევს, რელიგიური და ეროვნულ ნიშნები წინ წამოსწიოს. ამ ყველაფერზე გული მტკივა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ერმა ხმა უნდა ამოიღოს, ეს აუცილებელია!**

**— საქართველოს ისტორიაში იყო შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მართვის სადავეები ეკლესიას ჰქონდა. შესაძლებელია თუ არა, რომ ასეთი რამ კვლავ მოხდეს?**

— ეკლესია რჯულის კანონით ხელმძღვანელობს, რომელშიც წერია, რომ სასულიერო პირებს არ აქვთ უფლება, იყვნენ ქვეყნის მმართველობაში. საქართველოში ასეთი რამ ადრე მოხდა, მაგრამ ეს კანონთან შესაბამისი არ ყოფილა, კვიპროსშიც მოხდა და იქაც არ შეიძლებოდა.

**ახლახან მიღებული კანონები ქვეყნისთვის სასიკვდილო განაჩენია, თუმცა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები ამას ასე ვერ ხედავენ. კიდევ ვიმეორებ, მათი საქციელი სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტზე მეტყველებს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჯერ არ ვიცით, 27 ივლისს ხელი რაზე მოაწერეს. ყურადღებით ვუსმენდი იმ დღის მოვლენებს, ყველა ჟურნალისტი ამბობდა, რომ ჯერ არ ვიცით, დოკუმენტში რა წერიაო. საინტერესოა, ცარიელ ფურცელზე მოვაწერეთ ხელი და შემდგომში ჩაგვიწერენ, რა უნდა ვაკეთოთ?**

ერთადერთი სიტყვა, რომელიც წინა და ახალმა ხელისუფლებამ კარგად შეითვისეს, არის „საუცხოო“, ისინი მხოლოდ უცხოების დასანახავად აკეთებენ ყველაფერს, რაც ჩვენს ქვეყანას არ გამოადგება.

გავუფრთხილდეთ ჩვენს ქონებას, რომელიც ღვთისგან ნაბოძებია. ეკლესიაში წყალი რომ შემეყვანა, უმორჩილესი თხოვნა გავუგზავნე ვიღაც უცხოელს.

ყური უგდონ ეკლესიას, რომელზეც დგას სახელმწიფოებრივი აზროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო თავზე დაგვემხობა. **სასიკვდილო გადაწყვეტილებების მიღება ღალატს ნიშნავს. ჩვენ არ გვსურს, ვინმე მოღალატედ განიხილებოდეს. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინ მთავრობას ვთხოვე, ხალხის, ეკლესიის, პატრიარქის წინააღმდეგ არ წასულიყო. ახლაც თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართავ, რომ ერისა და ეკლესიის ტკივილი გაითავისოს, ნუ გაწირავს სამშობლოს, მომავალი თაობის წინაშე ქვეყნის მტრად ნუ წარმოჩინდება.** საბერძნეთი დღესაც ტირის იმის გამო, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა, მათ შეცდომას ნუ გავიმეორებთ!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## ოჯახს, რომელსაც 8 წლის განმავლობაში შვილი არ ჰყავდა, ოთხი ტყუპისცალი გაუჩნდა

**ბათუმში ოთხი ტყუპისცალი დაიბადა. როგორც სამედიცინო ცენტრ „მედინას“ დირექტორმა ჯუმბერ უნგიაძემ განაცხადა, ბავშვები საკეისრო კვეთის გზით დაიბადნენ და როგორც ახალშობილების, ასევე, დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. მისივე განმარტებით, ოთხი ახალშობილიდან სამი გოგოა და ერთი ბიჭი.**

„ოთხი ბავშვი გუშინ დაიბადა საკეისრო კვეთის გზით. ვინაიდან დედის მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო და მის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე, ამიტომ გაკეთდა საკეისრო კვეთა. დღესდღეობით დედა ინტენსიური თერაპიის პალატაში იმყოფება, ჩვილები კი — ახალშობილთა რეანიმაციაში. ჯერჯერობით მძიმეა სიტუაცია, მაგრამ სტაბილური. ჩვილები იწონიან 600-დან 900 გრამამდე“, — აღნიშნა ჯუმბერ უნგიაძემ. მისივე განმარტებით, ჩვილები, სულ მცირე, 7 კვირის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან.

ოთხი შვილი ოტოვაძეების ოჯახს რვა წლის ლოდინის შემდეგ შეეძინა.



სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის ფინასურ მაქინაციებში ედებათ ბრალი, განა ეს მცირე დანაშაულია? მაგრამ „მასტერას“ სახელი მკვლელობებთან არის დაკავშირებული. ვერ გეტყვით, აქვს თუ არა პროკურატურას დგებუაძის წინააღმდეგ მყარი მტკიცებულებები, მაგრამ ვფიქრობ, მისი ექსტრადიცია არ უნდა გაჭირდეს“.

**ჩანს, ქვეყანაში ნანატრი სამართლიანობის აღდგენა დაიწყო — თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა დააპატიმრეს, ბაჩანა ახალაიას შანსი აღარ აქვს, 26 ივლისს ციხიდან გამოვიდეს, რადგან მას ე. წ. ჯაშუშების საქმეზე ბრალი დაუმძიმდა. „მასტერა“, იგივე გია დგებუაძე, რომლის სახელიც „ციხის ბუნტის“ საქმიდან არის ცნობილი, ჰოლანდიაში დააკავეს... პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გვპირდება, რომ პროცესი, რომელიც დაიწყო, არ შეჩერდება და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს. მიუხედავად ამისა, ბევრი ამ ამბებს სკეპტიკურად უყურებს და სოციალურ ქსელში წერს, რომ უგულავას დაპატიმრება, შესაძლოა, პოლიტიკური შეთანხმების ნაწილი იყოს, ზოგი კი ამბობს, რომ უგულავას დაპატიმრება თვითონ „ნაცების“ ინტერესებში შედიოდა. ამ საკითხებზე სასაუბროდ უფლებადამცველებს მივმართეთ.**



## გელა ნიკოლეიშვილი: ვანო მერაბიშვილი «ნაცების» კანონით რომ გაესამართლებინათ, 21 წელი უნდა მიესაჯათ!



**გელა ნიკოლეიშვილი, ადვოკატი:**

**— ბატონო გელა, „ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პროკურატურა მთავრობისგან ზემოქმედებას განიცდის, ხოლო როდესაც გიგი უგულავას ვერ აკავებდნენ, ხელისუფლება ამბობდა, პროკურატურაც და სასამართლოც ჯერ კიდევ „ნაცების“ ხელშიაო... სინამდვილეში რა ხდება? რომელი მხარეა მართალი?**

— უფრო მეტსაც გეტყვით: **როდესაც ბაჩო ახალაიას გამამტყუნებელი განაჩენი ვერ გამოჰქონდათ, „ნაცები“ ამბობდნენ, სასამართლო თავისუფალიაო, პირიქით ამბობდა „ოცნება“. ეს ყველაფერი სიტყვებით თამაშს ჰგავს. საქმე რასთან გვაქვს, მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია თქვას, რომელიც კონკრეტულ საქმეებში ჩახედულია, ასეთები კი არიან პროკურორები, გამომძიებლები და ისინი თავიანთ სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებებს.**

უგულავას საქმეს არ ვიცნობ, თუმცა მეც სხვებივით ვფიქრობ, რომ **„ნაციონალებს“ ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი, მათ შორის, გიგი უგულავასაც, ვთვლი, რომ ის ფულს ათეთრებდა...**

**— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის თემას მინდა შევეხოთ. ახლა ამბობენ, რომ კუბლაშვილზე ისეთ ინფორმაციას გავასაჯაროებთ, ყველა გადაირევაო... ამის გაკეთება აქამდე არ შეიძლებოდა?**

— **2003 წელს, როდესაც „ნაცები“ მოვიდნენ ხელისუფლებაში, სასამართლოს წმენდა დაიწყეს — მოსამართლეების უმრავლესობა დაითხოვეს, თანაც ემუქრებოდნენ. არადა, მოსამართლე ხელშეუხებელია, მათ ათწლიანი ვადით ნიშნავენ. ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სასამართლოში „ქირურგიული ჩარევა“ არ განეხორციელებინა და მოსამართლეები თანდათან შეეცვალა, ანუ ვადის გასვლის შემდეგ და ახლა ძალიან ბევრ მოსამართლეს გასდის ვადა, მათ შორის კოტე კუბლაშვილსაც, ვადა 2015 წლის თებერვალში ეწურება.** ამის შემდეგ მოსამართლეების სრული შემადგენლობით შეცვლა შესაძლებელი იქნება. მოსამართლეს ვერ გამოცვლი, ვერ მოხსნი, თუ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაიდინა.

**— „მასტერა,“ იგივე გია დგებუაძე ჰოლანდიაში დააკავეს. როგორც ყველა სხვა ძებნილზე, მასზეც ამბობენ უცხოელი ადვოკატები, რომ ის პოლიტიკური დევნის მსხვერპლია. თქვენ თუ გაქვთ ისეთი საქმე, რომელშიც „მასტერა“ ფიგურირებს?**

— ჩემს ხელთ არსებული საქმეებიდან „მასტერა“ მხოლოდ ერთ საქმეში ფიგურირებს — „ციხის ბუნტის“. ერთ-ერთ „კანონიერ ქურდს“, მალხაზ ზედელაშვილს ვიცავდი, იყო კიდევ ერთი ავტორიტეტი — პაატა მამარდაშვილი, რომელიც „მასტერასა“ და ბაჩო ახალიასთან თანამშრომლობდა. ცნობილი შეიქნა, რომ **„მასტერა“ მამარდაშვილთან შედიოდა, ემუქრებოდა, იბირებდა, პატარკაციშვილის მკვლელობას უგეგმავდა. ეს თვითონ მამარდაშვილმა ჩაიწერა მას შემდეგ, რაც დანაპირები არ შეუსრულეს.**

**— არ შეიძლება, ეს კადრები და ჩანაწერები იმ ქვეყანაში გავგზავნოთ, რომელშიც „მასტერა“ დააკავეს?**

— პროკურატურა იზრუნებს ამაზე და ყველა მასალას გაგზავნის, თანაც **იმდენი მასალაა „მასტერაზე“, რომ მისი ექსტრადიცია არ უნდა გაჭირდეს.**

**— დანაშაულში ეჭვმიტანილი და საზღვარგარეთ გაქცეული ბევრი პირის ექსტრადიცია არ უნდა ყოფილიყო პრობლემა. კეზერაშვილი გავიხსენოთ, ის ქართულმა მხარემაც გაამართლა, გიგი უგულავას კი ერთ-ერთი ბრალდება კეზერაშვილთან ერთად აქვს წაყენებული. „მასტერასა“ და ბაჩო ახალაიას საქმეებიც გადაბმულია — „ციხის ბუნტის საქმეში,“ რომელშიც „მასტერაც“ ფიგურირებს, ახალაიას ბრალი სხვა კუთხით წაუყენეს.**

— ამ საქმეების არევა არ შეიძლება. **გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილს ფინანსურ მაქინაციებში ედებათ ბრალი, განა ეს მცირე დანაშაულია? მაგრამ „მასტერას“ სახელი მკვლელობებთან არის დაკავშირებული. ვერ გეტყვით, აქვს თუ არა პროკურატურას დგებუაძის წინააღმდეგ მყარი მტკიცებულებები, მაგრამ ვფიქრობ, მისი ექსტრადიცია არ უნდა გაჭირდეს.** პრობლემები ბევრჯერ შეექმნათ, მაგრამ ამ კონკრეტულ პიროვნებაზე, მგონია რომ არ უნდა გაუჭირდეთ. თანაც, ის ისეთი ფიგურა არ არის, ვინმე მის დახსნას რომ შეეცადოს.

**— „ნაცების“ ზეობის ხანაში ადამიანებს შეკრებითობის პრინციპით ასამართლებდნენ. მახსოვს ცნობილი ამბავი: ერთი კაცი მშენებლობიდან აგურს იპარავდა ხოლმე და ყველა აგურის მოპარვა ცალ-ცალკე დაუთვალეს. ძალიან ბევრი მიუსაჯეს. მერაბიშვილი რომ დაიჭირეს, ეს პრინციპი აღარ მუშაობდა, ახლა ისევ აპირებენ ამუშავებას. შეკრებითობის პრინციპი მერაბიშვილს არ შეეხო და ისევ რიგითი მოქალაქეები დაისჯებიან.**

— **ვანო მერაბიშვილი „ნაცების“ კანონებით რომ გაესამართლებინათ, 21 წელი უნდა მიესაჯათ.** რაც შეეხება შეკრებითობის პრინციპს, ნებისმიერი ადვოკატი გეტყვით, რომ ეს კარგი არ არის, მაგრამ ახალი პრინციპი ისეთი აღარ არის, როგორიც წინა მთავრობის პერიოდში იყო. ადრე ყველაფერს აჯამებდნენ და 20-30 წელს უსჯიდნენ, ახლა სხვაგვარად იქნება. რამდენიმეწლიან მუხლებს გაანახევრებენ და ისე მიუსჯიან, ეს მოსამართლის ნებაზე იქნება დამოკიდებული. მოკლედ, სასჯელის მაქსიმუმის ნახევარს იანგარიშებენ. ასეთ შეკრებითობას გარკვეული ლოგიკა აქვს, თუმცა მე, როგორც ადვოკატს, არ მომწონს.

## ლალი აფციაური: გიგი უგულავა დამნაშავეა, ის არის კრიმინალი, წურბელა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იჯდა!



**ლალი აფციაური, ადვოკატი:**

— **სასამართლო ისევ „ნაციონალების“ ხელშია, პროკურატურაც. ამაზე, ალბათ, ვერავინ მომედავება — ჩვენ ვხედავთ მათ მუშაობასა და გადაწყვეტილებებს. ჩემი აზრით, უგულავასთვის პატიმრობის შეფარდება „ნაციონალებს“ სჭირდებოდათ.** ამით იმის თქმა მინდა, რომ უტყუარი მტკიცებულებები არ ჰქონდათ, უბრალოდ, ასე იყო საჭირო.

**— რისთვის სჭირდებოდათ უგულავას დაპატიმრება, თანაც „ნაცებს“?**

— იმისთვის, რომ უგულავა გმირად შერაცხონ და არეულობა გამოიწვიონ, ევროპული სტუქტურების ყურადღება მიიქციონ. არადა, **გიგი უგულავა დამნაშავეა, ის არის კრიმინალი, წურბელა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იჯდა. ძალიან მიკვირს, რა სჭირს ბრალდების მხარეს, რატომ არ სწავლობენ ტენდერების საქმეს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია.**

**— გიგი უგულავას დაპატიმრებამ „მასტერას“ დაკავების ამბავი გადაფარა. თქვენთან საუბარი სწორედ ამ ადამიანზე მინდოდა.**

—„მასტერა“ ფიგურირებს „ციხის ბუნტის“ საქმეში. ბაჩო ახალაიას ამ საქმეზე მისჯილი აქვს.

**— ახალაიას „ციხის ბუნტის“ მხოლოდ ორგანიზებაში ედება ბრალი, არადა, იქ ხალხი დაიღუპა.**

— დიახ, კვალიფიკაცია შესაძლოა, სწორი არ იყოს, მაგრამ ციხეში ბუნტი ახალაიას ორგანიზებული იყო. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის „მასტერას“. ძალიან ბევრ ინფორმაციას ვიღებ მისი დანაშაულების შესახებ, მაგრამ საქმეებს კარგად არ ვიცნობ და ამიტომ ჭორის დონეზე ვერ ვისაუბრებ. „მასტერას“ დასაპატიმრებლად სრულიად საკმარისია ის ჩანაწერი, რომელიც თავის დროზე გამოვაქვეყნე. როდესაც უცხო ქვეყანაში აპატიმრებენ ადამიანს, ის ქვეყანა პასუხისმგებელია პატიმარზე, შესაბამისად, მას სჭირდება უტყუარი მტკიცებულებები, რათა პასუხისმგებლობა მოიხსნან. ეს **ფანდები „მასტერასნაირებმაც“ ისწავლეს და ამიტომაც ასაღებენ თავს პოლიტდევნილებად, ასე უფრო ადვილია თავის დაძვრენა. როდესაც ასეთი სტატუსით ხარ უცხო ქვეყანაში, პროცედურები რთულდება.**

**— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენმა სასამართლომ კეზერაშვილი გაამართლა, ხოლო დათა ახალაიას დაპატიმრება დამალეს, რა გარანტიაა, რომ „მასტერა“ დაადანაშაულონ?**

—ჩვენ ისევ იქამდე მივდივართ, რომ სასამართლოცა და პროკურატურაც კვლავ წინა მთავრობის ხელშია, ანუ იმ ადამიანების ხელში, რომლებთან ერთადაც მაღალჩინოსნები დანაშაულს სჩადიოდნენ. **დღევანდელი მოსამართლეები და პროკურორები დანაშაულებრივად არიან მიბმულნი სააკაშვილის ხელისუფლებაზე და ამიტომაც ზრუნავენ „ნაციონალებზე“, მათ კარგად იციან მტკიცებულებების განადგურება და დამალვა.** 400 ათასზე მეტი პატიმრის საქმე ხელახლა გამოსაძიებელია, ახალმა მთავრობამ ამისთვის სპეციალური კომისია უნდა შექმნას. ბევრი საქმის გარშემო არსებული ფაქტის განადგურება მოახერხეს, მაგრამ არის საქმეები, რომელთა მიჩქმალვაც შეუძლებელია, ამიტომ ვამბობ, რომ კომისიამ დეტალურად უნდა იმსჯელოს თითოეულ ასეთ საკითხზე. **უდანაშაულო პირის წინასწარი განზრახვით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის სასჯელი 46-ე პრიმა მუხლით არის გათვალისწინებული. ასეთი დანაშაული კი სამართალდამცავების 99%-ს აქვს ჩადენილი. ასეთი რამ დღესაც გრძელდება. გახარებულები და ბედნიერები რომ სხედან სკამებზე, ასე არ შეიძლება. კანონები გადასახედია. თავის დროზე ძალიან ბევრ საკითხს ვასაჩივრებდით ევროსასამართლოში ეკა ბესელია, მანანა კობახიძე და მე.** ახლა ეს აღარ ახსოვთ. სატელევიზიო ეთერში მაღალ მატერიებზე საუბარი საქმეს ვერ შველის. არჩევნები ჩაივლის და ამ თემებს აუცილებლად წამოვწევ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

---

ამერიკა

## ამერიკელთა თითქმის 80 პროცენტს მიაჩნია, რომ აშშ-ის ხელისუფლება კორუფცირებულია

GALLUP



**ამერიკული სამეცნიერო-კვლევითი კომპანია გელაპის (Gallup) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რაოდენობა ამერიკელებისა, რომლებიც შეშფოთებულნი არიან სახელისუფლო სტრუქტურებში კორუფციის გავრცელებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში 20 პროცენტით გაიზარდა.** 2006 წელს ამერიკელთა 59% სერიოზულ პრობლემად თვლიდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენელთა კორუფცირებულობას, 2014 წელს კი ამ მაჩვენებელმა 79%-ს მიაღწია. გარდა ამისა, რაოდენობა ამერიკელებისა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან აშშ-ის უპირატესობაში სხვა ქვეყნების მიმართ, 2011 წლიდან 10%-ით შემცირდა და 28% შეადგინა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სისხლის ჩასაბარებლად მიყვანილ ერთ ადამიანზე, თუ ის ცნობილი პიროვნებაა, 12 ლარს იხდიან, ხოლო თუ უბრალო მოქალაქე – 8 ლარს. ქალბატონი თამთაც სწორედ ასეთ „ატკატებზე“ მუშაობს“.**

### ლადო სადღობელაშვილი:

# თამთა დემურიშვილი კარგ თანხას აიღებდა შიხიაშვილის სიზმარში!



**ბოლო ხანს ბევრი ადამიანი უჩივის სისხლის ბანკებს, რომელთა წყალობით ავადმყოფები, სისხლის გადასხმის შედეგად, ახალი დაავადებებით სნეულდებიან. განსაკუთრებით საგანგაშოა, როდესაც ასეთი რამ ბავშვს ემართება. „საქართველო და მსოფლიოს“ ასეთი ფაქტის შესახებ ორგანიზაცია „მამული, ენა, სარწმუნოების“ ხელმძღვანელმა ლადო სადღობელაშვილმა უამბო. მან ასევე ისაუბრა სისხლის ბანკის ერთ-ერთ თანამშრომელზე, რომელსაც ქართველი საზოგადოება ქველმოქმედ ქალბატონად იცნობს.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

— ორ მნიშვნელოვან თემაზე ვისაუბრებ: სისხლის ბანკზე, რომელიც იაშვილის სახელობის კლინიკის სარდაფში მდებარეობს, და უდიდეს ქველმოქმედად აღიარებულ ქალბატონ თამთა დემურიშვილზე.

**მოგესხენებათ, რომ იაშვილის კლინიკის სარდაფში მდებარეობს სისხლის ბანკი. რამდენიმე ხნის წინათ აქ ლეიკემიით დაავადებული ბავშვი მკურნალობდა, რომელსაც ლეიკემია კი შეუჩერდა, მაგრამ C ჰეპატიტით დაავადდა. თქვენთან ამ ამბის მოყოლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ იქნებ ვინმეს ყურამდე მიაღწიოს და დაინტერესდეს, რა ხდება იაშვილის კლინიკის სარდაფში. რა პირობებში ხდება ბავშვების მკურნალობა და არის თუ არა ანტისანიტარია.** ოჯახი, რომლის ბავშვი სხვა დაავადებით დაუსნეულდა, მედიისთვის ვინაობის გამჟღავნებას ერიდება. მთხოვეს, არ დამესახელებინა მათი გვარი, მაგრამ გაჩერებას და მომხდარზე წაყრუებას არ აპირებენ, მათ უკვე შეტანილი აქვთ საჩივარი ჯანდაცვის სამინისტროში და პასუხს ელოდებიან, შემდეგ კი სასამართლოსაც მიმართავენ.

**მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ, რომ ბავშვს C ჰეპატიტი აღმოაჩნდა, მივედით სისხლის ბანკის ხელმძღვანელ დავით ლოლიაშვილთან. ლოლიაშვილმა გაიკვირვა, — რატომ ხართ შეშფოთებული, C ჰეპატიტი დღეს ადვილად იკურნებაო(?!). საინტერესოა, რა ინფორმაცია აქვს ამ ადამიანს, C ჰეპატიტი 3-4 წლის ყოველ მე-2 ბავშვს სჭირს ამ ქვეყანაში? მაინტერესებს ისიც, რატომ არ კონტროლდება დონორის სისხლი, რომელსაც შემდეგ ავადმყოფებს უსხამენ.**

ეს არ არის პირველი შემთხვევა, ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა, უბრალოდ, ზოგი ბავშვის მშობელი ახერხებს, საქმეს ბოლომდე მისდიოს, ზოგი კი ჩუმდება. C ჰეპატიტი შეიძლება 5 წლის განმავლობაში ისე ატაროს ადამიანმა, რომ ვერც გაიგოს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ მშობლები დაინტერესდნენ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობით და მას ახალი დაავადება აღმოუჩინეს. ეს მოხდა იაშვილის კლინიკიდან ბავშვის გამოყვანიდან ძალიან მალე. მშობლებმა ზუსტად იციან, რომ სხვაგან ბავშვისთვის სისხლი არ გადაუსხამთ. სწორედ ამიტომ არიან დარწმუნებულნი, რომ პატარას C ჰეპატიტი სისხლის ბანკში გადაედო, რაზეც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ ბანკის ხელმძღვანელს დიდი აღშფოთება არ გამოუხატავს.

**მივმართავთ ჯანდაცვის სამინისტროს, რომ დადგეს სისხლის ბანკის ხელმძღვანელის — დავით ლოლიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი — ფულის გამო სხვის უბედურებაზე ნუ ააგებენ საკუთარ ბედნიერებას! და რადგან ამ თემას უკვე შევეხე, გადავალ თამთა დემურიშვილზე — ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე სისხლის ბანკის თანამშრომელზე, რომელსაც საქართველო ერთ-ერთ დიდ ქველმოქმედად იცნობს.**

აღსანიშნავია, რომ თამთა დემურიშვილი იაშვილის კლინიკიდან გაუშვეს. დავით ლოლიაშვილი ამბობს, — დარღვევების გამოო, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. ფაქტია, რომ იქიდან გაუშვეს და ახლა ქავთარაძის ქუჩაზე მუშაობს.

წინასაარჩევნოდ ყველანი ვხედავთ ტელეეკრანებზე, რომ ამა თუ იმ პარტიამ ან მაჟორიტარმა აქცია ჩაატარა და სისხლი უფასოდ ჩააბარა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. სულ ვფიქრობდი, რომ თამთა დემურიშვილი საოცრად კეთილშობილი ადამიანი იყო. მაგრამ, **როდესაც „სისხლის საქმით“ დავინტერესდი, აღმოვაჩინე, რომ სისხლის ჩასაბარებლად მიყვანილ ერთ ადამიანზე, თუ ის ცნობილი პიროვნებაა, 12 ლარს იხდიან, ხოლო თუ უბრალო მოქალაქე – 8 ლარს. ქალბატონი თამთაც სწორედ ასეთ „ატკატებზე“ მუშაობს.**

არჩევნების წინ საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა ჩაატარა ბრიფინგი და განაცხადა, თამთა დემურიშვილი უდიდესი ქველმოქმედიაო. დემურიშვილს სოციალურ ქსელში მივწერე, თქვენზე ამბობენ, „ატკატებზე“ მუშაობსო. მიპასუხა, ქველმოქმედი არ ვარ და ფულს შესრულებული სამუშაოსთვის ვიღებო.

**მინდა იცოდეს ყველამ, რომ თამთა დემურიშვილი ქველმოქმედი არ არის, პირად საუბრებში ამას არც მალავს, ის „ატკატებზე“ მომუშავე რიგითი თანამშრომელია. საკრებულოს თანამშრომლებსაც მინდა ვუთხრა, რომ ნუ ამკობენ ამ ქალბატონს ასეთი ეპითეტებით. სახელმწიფოს სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს ამა თუ იმ ბავშვის მკურნალობას, ყიდულობს სისხლს და უსხამს დაავადებულ ბავშვს, ფული კი შედის სისხლის ბანკში და სწორედ ამ ფულის პროცენტში ზის ქალბატონი თამთა დემურიშვილი.**

**ბოლო არჩევნების დროსაც ქალბატონი თამთა დაკავებული იყო იმით, რომ ურეკავდა მაჟორიტარ კანდიდატებს, პარტიებს და სისხლის ჩაბარებას სთავაზობდა. ჩემს ერთ-ერთ მეგობარსაც დაურეკა, რომლის სახელს არ ვიტყვი, და უთხრა, არ გინდა, „პიარის პონტში“ მოგიწყო სისხლის ჩაბარებაო? დეპუტატობის კანდიდატმაც, რა თქმა უნდა, უარი არ უთხრა და დათანხმდა, ასეთ მაცდუნებელ წინადადებას ვინ არ დათანხმდება?!**

**თამთა დემურიშვილი, ოფიციალურად ვაჭრობს სისხლით. ერთი შეხედვით, ეს ცუდი საქმე არ არის, მაგრამ არ შეიძლება, ქალბატონ თამთას ქველმოქმედი ვუწოდოთ. ის, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, „დაკერილი“ თითოეული მაჟორიტარიდან 3-დან 8 ათასამდე ლარს შოულობს, გააჩნია, რამდენი მხარდამჭერი და ერთგული ადამიანი ჰყავს ამ მაჟორიტარს.**

**— ამას ვისთვის ამბობთ? ვინ უნდა გაიგოს — მაჟორიტარებმა, პარტიებმა თუ ჯანდაცვის სამინისტრომ?**

— ეს უნდა იცოდეს ხალხმა. **ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სისხლის ჩაბარებით ფულს თამთა დემურიშვილი შოულობს და, ვინაიდან ქვეყანაში სისხლი არ მოწმდება, ნუ წავლენ ვიღაცის ხათრით სისხლის ჩასაბარებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იციან, რომ მათი სისხლი არ ივარგებს.**

**მინდა, მშობლებს ვუთხრა: ვიდრე ბავშვისთვის სისხლის გადასხმაზე დათანხმდებით, სისხლი შეამოწმებინეთ! სულ 10 ლარი სჭირდება მაგ საქმეს, ამიტომ გამოიჩინეთ ინიციატივა და ბრმად ნუ ენდობით ექიმებს.**

რაც შეეხება შიხიაშვილის სიზმრებს, თავისთვის შეინახოს და წყალს მოუყვეს.

**— რა სიზმარზეა საუბარი?**

— შიხიაშვილმა ბრიფინგზე, სადაც თამთა დიდ ქველმოქმედად გამოაცხადა, თქვა: **პრემია იმიტომ გამოვიწერე, სიზმარში ბერი ვნახე, რომელმაც მითხრა, ქველმოქმედება „ჩაიდინეო“. და მან აღებული პრემია სწორედ თამთა დემურიშვილის სამსახურში გადარიცხა.**

**«შიხიაშვილმა ბრიფინგზე, სადაც თამთა დიდ ქველმოქმედად გამოაცხადა, თქვა: პრემია იმიტომ გამოვიწერე, სიზმარში ბერი ვნახე, რომელმაც მითხრა, ქველმოქმედება «ჩაიდინეო». და მან აღებული პრემია სწორედ თამთა დემურიშვილის სამსახურში გადარიცხა. თამთა დემურიშვილი კარგ თანხას აიღებდა შიხიაშვილის სიზმარში!»**



ლადო სადღობელაშვილი



თამთა დემურიშვილი

**„საქართველო და მსოფლიო“ თამთა დემურიშვილსაც ესაუბრა.**

**— ქალბატონო თამთა, ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბრალს გდებთ, რომ თითოეული დონორიდან გარკვეულ თანხას იღებთ და ქველმოქმედი სულაც არ ხართ, როგორც ამას საკრებულოში ამბობენ...**

— სისხლის ბანკში ვმუშაობ და მაქვს შესაბამისი ანაზღაურება ხელფასის სახით, ჩაბარებული სისხლიდან პროცენტი როგორ უნდა ავიღო? **ქველმოქმედებას არ ვეწევი, ამას აკეთებენ ის ადამიანები, რომლებიც სისხლს უანგაროდ აბარებენ...**

**არსებობენ ე. წ. კადრის დონორები, რომლებიც სისხლის ჩაბარების სანაცვლოდ იღებენ ანაზღაურებას 30-40 ლარის ოდენობით. ეს კანონით არ იკრძალება... ამას არეგულირებს სისხლის ბანკების ხელმძღვანელობა, მე ფინანსებთან შეხება არ მაქვს, ჩემთვის მნიშვნელოვანია უანგარო დონორების პოპულარიზაცია. რა პროცენტებს გულისხმობს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ვერ გეტყვით, ასე იყო იაშვილის სისხლის ბანკში ჩემი მუშაობის დროსაც და ცენტრალურ სისხლის ბანკშიც ასე ხდება. ქველმოქმედი ხმამაღალი ნათქვამია, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და ამაში, როგორც ყველას, ანაზღაურება მაქვს...**

რაც შეეხება არასამთავრობოს, მე ვინმე ლადო სადღობელაშვილი დამიკავშირდა ამ ბრალდებით და გასაგებად ავუხსენი, თუ ვინმეს დაკვეთას ასრულებს და, უბრალოდ, ჩემი დისკრედიტაცია აქვს განზრახული, მსგავს სისულელეებზე პასუხს არ გავცემ...

მსგავსი არასამთავრობოს თუ სუბიექტის ,,გამოხდომა“ უანგარო დონაციის განვითარებას ხელს არ შეუწყობს, ვერასოდეს მივუახლოვდებით ევროპულ ქვეყნებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მსგავსი სამარცხვინო ბრალდებები აღიკვეთოს. ჩემი ბოლო კომენტარი კი ის არის, რომ სირცხვილია, თავის დაფიქსირებისთვის ასეთ მეთოდებს რომ ირჩევენ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«თამთა დემურიშვილი, ოფიციალურად ვაჭრობს სისხლით. ერთი შეხედვით, ეს ცუდი საქმე არ არის, მაგრამ არ შეიძლება, ქალბატონ თამთას ქველმოქმედი ვუწოდოთ. ის, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, «დაკერილი» თითოეული მაჟორიტარიდან 3-დან 8 ათასამდე ლარს შოულობს, გააჩნია, რამდენი მხარდამჭერი და ერთგული ადამიანი ჰყავს ამ მაჟორიტარს»**

**„ყველას, ბიზნესმენი იქნება თუ რიგითი მოქალაქე, უნდა მოვუწოდოთ, რომ სახელმწიფოს ნაკლები გადასახადი გადავუხადოთ, რადგან ჩვენ მაინც არაფერი გვიბრუნდება. ხალხი ცალკე სახელმწიფოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ, რადგან ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან და თავი დავანებოთ!“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



შოთა გლურჯიძე:

# თითქოს აუსტერლიცი მოიგეს, ისე იზეიმეს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა

**დიდი ხანია, არქიტექტორი და თეატრის მხატვარი შოთა გლურჯიძე მედიაში არ გამოჩენილა. როგორც ბატონმა შოთამ გვითხრა, ამ პერიოდში ახალი მთავრობის ქმედებებზე ერთგვარ მონიტორინგს აწარმოებდა, რადგან „ნაციონალური“ რეჟიმის დასრულების შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყნის სასიკეთოდ იმოქმედებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა... ინტერვიუ შოთა გლურჯიძესთან თბილისის ყოფილი მერის — გიგი უგულავას დაპატიმრების თემით დავიწყეთ.**

— **ეს ყველაფერი თამაში და წინასაარჩევნო მანიპულაცია მგონია, ხალხმა რომ დაიჯეროს, თითქოს ქვეყანაში დაიწყო სამართლიანობის აღდგენა. უგულავა კრიმინალი რომ არის, ეჭვი არავის ეპარება და მისი დაჭერა გაცილებით ადრე შეიძლებოდა.** „ოცნების“ წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ხალხმა მათდამი ნდობა დაკარგა და ამიტომ ცდილობენ „ნაცმოძრაობა“ და „ოცნება“ ერთობლივი სპექტაკლების დადგმას. საზღვარზე შავ ფულს რომ დააკავებენ და, შემომტანების დაპატიმრების ნაცვლად, ვიცეპრემიერი რომ დარეკავს და მათ აზერბაიჯანის მთავრობას გამოაშვებინებს, ამას ერთობლივი სპექტაკლი არ ჰქვია? ნათელია, რომ **„ნაცები“ და „ოცნება“ ერთმანეთს გაურიგდნენ. თუ ასე არ არის, გამცეს კალაძემ პასუხი, რატომ გამოაშვებინა ორი ბანდიტი — ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე, რომლებსაც ქვეყანაში შავი ფული, მილიონი დოლარი შემოჰქონდათ?** საზღვარზე ვინმეს რომ დავეჭირე ათი ათასი დოლარით, მყისვე ციხეში გამამწესებდნენ, მაგათ რატომ აქვთ ინდულგენცია, გამაგებინეთ! ვინ არიან, ჩემზე მეტი აქვთ ქვეყნისთვის გაკეთებული? რას წარმოადგენენ, საერთოდ? ამიტომ ვამბობ, რომ ესენი ერთმანეთს გაურიგდნენ. **ხალხი კი უნდა დაფიქრდეს და მიხვდება, რომ ეს ყველაფერი სპექტაკლია.**

— **ხელისუფლება თავს იწონებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით...**

— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამ, არ მგონია, სასურველი შედეგი გამოიღოს. **არც ამ ხელისუფლებას აქვს ამ ხელშეკრულებით ქვეყნის აყვავების მოლოდინი, უბრალოდ, თავს იტყუებენ, თითქოს ევროპული ცივილიზაციის ნაწილი გახდნენ. თვითონ ევროპაში აღარ არის ევროპული ცივილიზაცია და საით მივისწრაფვით, ვერ ვხვდები.** არ მგონია, რომ ევროპა ევროპისკენ მიდიოდეს. მართალია, იმაში, რაც უკრაინაში ხდება, ამერიკას მიუძღვის ლომის წილი, მაგრამ ევროპა ხომ ამერიკის მარიონეტია?! **დიახ, ევროკავშირის 28-ე ქვეყანა ამერიკის მარიონეტია,** ამიტომ მიჩნდება შეკითხვა — **თუ საქართველო თავისუფლებისკენ, ანუ ევროპისკენ მიისწრაფვის, ევროპა არის კი თავისუფალი?** ან რა ბედი ელის ევროპულ ცივილიზაციას? გერმანელმა ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა 1918 წელს დაწერა ნაშრომი „ევროპის მზის ჩასვლა“ და ზუსტად ისე განვითარდა მოვლენები, ბოლო წლებში გამძაფრდა კიდეც. დღეს ჩვენთვის ევროპა სინონიმია განათლებულობის, კულტურის, ქრისტიანობის, ურთიერთობების, ადამიანის მიმართ ლოიალობისა და ჰუმანურობის, მაგრამ ამ ყველაფერს ევროპა ნელ-ნელა კარგავს. მიმაჩნია, რომ საქართველო ყველაზე დიდი ევროპაა და აწი ევროპა აქეთ თუ დაგვეწევა.

— **პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, საქართველო ათასი წლის წინათ ევროპის შუაგულს წარმოადგენდაო...**

— ამათ არეული აქვთ ცნებები, რადგან თვითონ ევროპაშია ყველაფერი არეული, არ იციან, საით მიდიან. **ჰოლანდიელ მხატვარს — პიტერ ბრეიგელს აქვს გენიალური ფერწერული ტილო „ბრმები“, ერთმანეთზე ჩაბმულ ბრმებს ბრმა რომ მიუძღვებათ. მათ, ყველას ერთად, უფსკრულში გადაჩეხვა ელით. აი, სწორედ ეს ტილო ასახავს დღევანდელ რეალობას — ევროკავშირის და ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, მას ფეხი აუწყონ.**

— **ამბობთ, რომ ევროპის საქმე უკან მიდის. რა არის ამის მიზეზი?**

— ეს არის ცივილიზაციური კატასტროფა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ მოიტანა. **რაციონალიზმის გამეფებამ ევროპა ზნეობრივ კატასტროფამდე მიიყვანა.** მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ხალხს ეკონომიურად ძალიან უჭირდა, მაგრამ ზნეობა არ დაუკარგავს... გენიალური წერილი დაწერა ფილოსოფოსმა სერგეი ავერინცევმა ქრისტიანულ ევროპაზე, წერილში ხსნის, რომ ევროპა არის საქრისტიანო, ეს სეკულარული ქვეყნები გადიან ზნეობიდან და გონებას ვითომ ეკონომიკით ანაცვლებენ. **დააკვირდით ევროპულ მოწოდებებს, როდესაც ეკონომიკა კარგად იქნება, კულტურაც კარგად იქნებაო! ევროპა ამტკიცებს, კულტურა ზნეობის გარეშეც არსებობსო, არადა, პირიქითაა — კულტურა ზნეობის გარეშე არ არსებობს!**

— **ხელისუფლების მოქმედებას როგორ შეაფასებთ?**

— **სხვადასხვა პერიოდის საქართველოს მთავრობაში, განათლების მხრივ, საკმაოდ განუვითარებელი ადამიანები იყვნენ და არიან თავმოყრილნი, რადგან მთავრობაში განათლებული და წესიერი ადამიანები არ მიდიან,** მაგრამ შედარებით კარგ მთავრობას აქვს გონიერი ხალხის მოსმენის უნარი. ამჟამინდელ მთავრობაში საკმაოდ თავდაჯერებულები არიან, სჯერათ თავიანთი შესაძლებლობების, თუმცა ძალიან ახლო ხედვა აქვთ. სწორედ ამ მთავრობის წარმომადგენლებმა თქვეს, ხალხი არჩევნებზე რომ არ მივიდა, ჩვენი გამარჯვებაა, რადგან ისეთი ნდობა აქვთ ჩვენდამი, არჩევნებზეც აღარ დადიანო. აი, ასეთ მარაზმამდეა ეს ყველაფერი მისული. **მაქვს იდეა, ჩვენ, ხალხმა თავი დავანებოთ პოლიტიკოსებს, იარსებონ ცალკე, პარალელურ სამყაროში და უნდათ, ევროპასთან შევიდნენ ალიანსში, უნდათ — ამერიკასთან, ხალხი კი ჩვენი ცხოვრებით ვიცხოვრებთ. უკვე აქეთ მიდის ეს ყველაფერი.** ბევრი ამბობს, ეს მთავრობა „ნაციონალებივით“ არ ერჩის ხალხსო, მაგრამ ძალიან მალე ასეთი ფაქტის წინაშეც დავდგებით, რადგან სწორედ ასეთი თავდაჯერებით დაიწყო სააკაშვილმაც პრეზიდენტობა. არ მომწონს მათი თავდაჯერებულობა, **თითქოს აუსტერლიცი მოიგეს, ისე იზეიმეს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. მაინტერესებს, რა წერია ამ დოკუმენტში ისეთი, უკეთესს რომ გახდის ჩვენს ქვეყანას. ევრობაზარზე შესვლა საქართველოს ეკონომიკურად არ დაანგრევს, რადგან ეკონომიკა ისედაც არ გვაქვს, რასაც უკრაინაზე ვერ ვიტყვით, ეს მათთვის დამღუპველი აღმოჩნდება.**

— **როგორ უნდა მოიქცეს ქართველი ხალხი?**

— ჩვენი მთავარი პრობლემა აღზრდა-განათლებაშია. მთავრობა ამაში ვერ დაგვეხმარება, მაგრამ, თუ განათლების სისტემას მოაწესრიგებს, მადლობას ვეტყვით. მაგრამ მგონია, რომ ამ მთავრობას თავი უნდა დავანებოთ. იმაზეც თანახმა ვარ, პრემიები და ხელფასები სამუდამოდ ჰქონდეთ და არჩევნებზეც აღარ მიგვიყვანონ. **„ნაციონალები“ და „ოცნება“ იყვნენ ჩახუტებული პარლამენტში, შეუძლიათ, შინიდანაც არ გამოვიდნენ, უბრალოდ, მეტ კანონს ნუღარ გამოსცემენ, რადგან ჭკვიანურს ვერაფერს წერენ. ჰქონდეთ ხელფასები, პრემიები, გოჭი, ციკანი და ჩვენ თავი დაგვანებონ.** ხალხმა კი ვიმოქმედოთ, მივხედოთ ჩვენს ქვეყანას. **ადამიანი იმისთვისაა გაჩენილი, რომ რაღაც ღირებული შექმნას და ჩვენც უნდა შევქმნათ, აბა, ეს ხელისუფლება უნიტაზისთვის შრომობს!** ეს ხელისუფლება ქვეყნისკენ არ გამოიხედავს, ტყუილია ეს ამბავი!

— **ბიძინა ივანიშვილზე უკვე ხუმრობენ, რომ საქართველო ერთი ოლიგარქის თეატრად აქციაო...**

— **ნათლად ჩანს, რომ ივანიშვილი ამ ხელისუფლების საქმიანობაში ერევა. ამაში ეჭვი არ მეპარება. მან გააკეთა ის, რაც სურდა, ახლა მისთვის კომფორტულია, რომ ხელისუფლებაში ის ადამიანები დატოვა, რომელთა უმრავლესობასაც მისი სკოლა აქვს გავლილი.** ეს ყველაფერი, ალბათ, ჩაფიქრებული ჰქონდა. აკი, ამბობდა კიდეც, მოვალ ხელისუფლებაში და ძალიან მალე წავალო. რომ ამბობენ, თითქოს ამერიკამ აიძულა ხელისუფლებიდან წასვლაო, აბსურდია. როგორც ვიცი, **ივანიშვილს ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს ამერიკის ელჩთან, რომელიც საქართველოში მეფისნაცვლად გვიზის და არ მგონია, რომ მილიარდერი განზე „გაეწიათ“.** ივანიშვილი ყოველთვის პროამერიკული იყო, რუსეთშიც კი. ივანიშვილი ხომ იმ ბიზნესმენთა წარმომადგენელია, რომლებმაც ამერიკის ხელმძღვანელობით უცბად იშოვეს ფული რუსეთში. ასე რომ, არ მგონია, ივანიშვილს ამერიკასთან რაიმე პრობლემა ჰქონდეს. დღეს საქართველოში პოლიტიკური სფერო დაკეტეს და ერთგვარ კლუბს დაამსგავსეს, რომელში შეღწევაც ურთულესია. ამ კლუბში ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს, ერთი პარტიიდან მეორეში გადახტებიან ხოლმე, ამიტომ **ხალხმა უნდა ვიცოდეთ, რომ ეს პოლიტიკოსები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ, ჩვენ კი ჩვენს თავს უნდა მივხედოთ.** ხომ ხედავთ, არაფერს იკლებენ. რა ვქნა, ამათ ჩემთან არანაირი კავშირი არ აქვთ — არც ზნეობრივი და არც ემოციური!

— **„ვაკის სარდაფი“ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში წაგართვეს...**

— ახლაც ვერ ვიბრუნებ, რადგან ამ თეატრში ისევ ის ხალხია, კერძოდ, გიგი თევზაძის „შნირი“ ზედანია. მაგრამ ამ თეატრს მთავრობის ჩარევის გარეშეც დავიბრუნებ. **ამ ხელისუფლებას თავისი კანტორა აქვს: კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია გამოწერს თანხას, ეგ და მანანა ბერიკაშვილი ამ თანხის ნახევარზე „ატკატს“ მიიღებენ და ასე ხოშიანად ცხოვრობენ.** ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, რაც უნდა ის გააკეთონ, მაგათ საქმეში არ ჩავერევი, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ გადასახადები მაინც შევამციროთ; შევეცადოთ, რომ ნაკლები ხარკი გადავუხადოთ. **ყველას, ბიზნესმენი იქნება თუ რიგითი მოქალაქე, უნდა მოვუწოდოთ, რომ სახელმწიფოს ნაკლები გადასახადი გადავუხადოთ, რადგან ჩვენ მაინც არაფერი გვიბრუნდება. ხალხი ცალკე სახელმწიფოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ, რადგან ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან და თავი დავანებოთ.**



პიტერ ბრეიგელის ტილო „ბრმები“

**«ჰოლანდიელ მხატვარ პიტერ ბრეიგელს აქვს გენიალური ფერწერული ტილო «ბრმები», ერთმანეთზე ჩაბმულ ბრმებს ბრმა რომ მიუძღვებათ. მათ, ყველას ერთად, უფსკრულში გადაჩეხვა ელით. აი, სწორედ ეს ტილო ასახავს რეალობას — დღევანდელ ევროკავშირს და ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, მას ფეხი აუწყონ»**

**«ნაცები» და «ოცნება» ერთმანეთს გაურიგდნენ. თუ ასე არ არის, გამცეს კალაძემ პასუხი, რატომ გამოაშვებინა ორი ბანდიტი — ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე, რომლებსაც ქვეყანაში შავი ფული, მილიონი დოლარი შემოჰქონდათ?**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი პარლამენტი კი, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში შეიქმნას ადამიანის დასაქმებისთვის აუცილებელი სამართლებრივი სივრცე. უმუშევრობის შემცირებას პირი არ უჩანს. სამუშაო ადგილები ისევე არ არის, როგორც არ იყო.“**

ზარბეგ ბერიაშვილი:

# შეიძლება, 24 წლის განმავლობაში ასე სამათხოვროდ გვქონდეს საქმე? სირცხვილი არ არის, კაცო?

**ზარბეგ ბერიაშვილი, „საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი ნომრის სტუმარი, ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონია, ორგზის ოლიმპიური პრიზიორი (არც ერთხელ არ დამარცხებულა, ისე), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ლეგენდარული სპორტსმენი. ამასთან ერთად, წარმოების შესანიშნავი ხელმძღვანელიც: წლების განმავლობაში სათავეში ედგა მესამე სატაქსომოტორო საწარმოს, რომელიც საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი იყო, მოწინავედ და სამაგალითოდ ითვლებოდა. 2400 კაცი მუშაობდა ტაქსომოტორში, მათგან 1900 — მძღოლი, ჰყავდათ ათასზე მეტი მანქანა.**
**სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სახელგანთქმული „გეპეი“) წარჩინებით დაამთავრა.**
**საქართველოს დღევანდელობაზე ვსაუბრობთ:**

**— გაგიმართლდათ იმედები, ბატონო ზარბეგ?**

— პირდაპირ გეტყვით: თავიდანვე ეჭვის თვალით ვუყურებდი მიტინგებზე დროშების ფრიალს და ლოზუნგების სკანდირებას, რომ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს „ბორჯომის“ წყალი და ჩაი შეინახავდა. ჩემსა და ყველას სამწუხაროდ, გამართლდა ეს ეჭვი.

**ყველას რაღაცა ეშველა. მაგალითად თუნდაც სომხებს დავასახელებ, რომლებიც, აგერ 24 წელიწადია, ბლოკადაში არიან მოქცეულნი და ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ.** დავათვალიეროთ თბილისის სავაჭრო ობიექტები და ვნახავთ, რამდენი რამ არის სომხეთიდან შემოტანილი. ერთი ქართული მაჩვენეთ. სირცხვილი არ არის, ხალხო?!

ბევრი რამ მახსოვს ისეთი, რასაც მხოლოდ საქართველო აწარმოებდა, რისი მსგავსიც მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. მოვლილი მაქვს 50 ქვეყანა მაინც: **იაპონიიდან დაწყებული, სამხრეთ ამერიკა, ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა თავისთავად და არსად შემხვედრია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის იმ ხარისხის ნაწარმი, როგორიც ჩვენთან მზადდებოდა. მაგალითად, თუნდაც აბრეშუმს დავასახელებ, რომელიც ჩვენი უთავობით საქართველოში გაქრა.**

შეიძლება, დიდი არაფერი, მაგრამ ცნობილი ლაზიშვილების „არალეგალურ“ საწარმოებში დამზადებული ქალის ხელჩანთები საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიაში იყო პოპულარული. ამ მიმართულების განსავითარებლად არავის უზრუნია.

1956 წელს ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ავჭალის კოლონიის გვერდზე ერთი ქარხანა იყო, რომლის დირექტორად ჭაჭიაშვილი მუშაობდა, გამანაწილეს საზეინკლო-სამონტაჟო იარაღების საცდელ ქარხანაში, სადაც ისეთი მაღალი ხარისხის „ოტვიორტკებს“ — სახრახნისებს უშვებდნენ, რომ ინგლისში იყიდებოდა. უჟანგავი ფოლადის წვერი ჰქონდა. დღეს იმ საწარმოს სახსენებელიც აღარ არის, ისევე, როგორც ავჭალის შუშის ქარხნის, ცენტროლიტის მეტალურგიული ქარხნის, ამიერკავკასიაში ერთადერთი მეტალოკონსტრუქციების ქარხნის, აგურის ქარხნის.

უამრავი ასეთი ქარხანა ჯართად გავყიდეთ და დღეს ვწუწუნებთ, რომ მრეწველობა ქვეყანაში არ გვაქვს, რომ საქართველო თავის თავს ვერ შეინახავს და ა. შ.

საქართველო რომ ყველა სხვა ქვეყანაზე კარგი და უკეთესია, ჩემთვის და საქართველოს ყველა მცხოვრებისთვის ასეა და ასეც უნდა იყოს. თუ კაცური გული აქვს, ყველას თავისი ქვეყანა უნდა უყვარდეს. სხვანაირად არ მესმის, მაგრამ **შეიძლება, 24 წლის განმავლობაში ასე სამათხოვროდ გვქონდეს საქმე? სირცხვილი არ არის, კაცო?**



**«მე ისეთი საქართველო მინდა, რომელიც გერმანიაზე უკეთეს «მერსედესს» გამოუშვებს და არ იქცევა ნახმარი უცხოური მარკის ავტომანქანების სასაფლაოდ»**

**— ვისი ბრალია?**

— ვისი ბრალია და, საზოგადოება რომ მაგრად იდგეს, ვერავითარი ხელისუფლება ვერ მოერეოდა, ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ გაბედავდა საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებას. მგონი, ყველაფერ მზამზარეულს ვიყავით მიჩვეულები. საბჭოთა კავშირმა (იმ დროს ბევრი კარგი იყო, ბევრიც ცუდი) მიგვაჩვია უზრუნველ ცხოვრებას, ყველაფერი გამზადებული მოდიოდა, ფიქრი არ გვჭირდებოდა. ასე ცხოვრებას ვაგრძელებთ დღესაც, შეცვლილ პირობებში.

მამაჩემს 130 მანეთი ჰქონდა პერსონალური პენსია. ვერ ხარჯავდა. ავჭალაში ცხოვრობდა, ოჯახისთვის საკმარისი საკუთარი მეურნეობა ჰქონდა, თანაც, სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა. რომ გარდაიცვალა, შემნახველი სალაროს წიგნაკზე 60 ათასი მანეთი აღმოაჩნდა შეტანილი. ეს იმ დროს უზარმაზარი ფული იყო.

ახლა პენსიონერს წამლისთვისაც არ ჰყოფნის 150 ლარი, სამარცხვინო პენსია.

**— თქვენი, როგორც ტაქსების სამმართველოს ხელმძღვანელის, ხელფასიც დიდი იქნებოდა...**

— ხელფასი, რა თქმა უნდა, დიდი მქონდა, მაგრამ ტაქსების სამმართველო არ იყო ჩვენი საწარმო. სამმართველოს ხელმძღვანელობდა ბრწყინვალე პიროვნება და შესანიშნავი ორგანიზატორი რობერტ ნიკურაძე, ნიჭიერი და ვაჟკაცი ადამიანი, კარგი მოქეიფეც — სიმღერაც იცოდა და დაკვრაც, საქმე ხომ იცოდა და იცოდა. მთელ კავშირში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მთხოვა რობერტ ნიკურაძემ, მესამე ტაქსებში გადავსულიყავი. ჯუნგლებს ეძახდნენ. გადავედი... ამყვა კოლექტივი. გამომივიდა: საბჭოთა კავშირში პირველი საწარმო იყო — გარდამავალი დროშები და სხვა ჯილდოები უამრავი გვქონდა. ჯუნგლები კი არა, იქ ისეთი ვაჟკაცები მუშაობდნენ, გესიამოვნებოდა.

**— თქვენს პერიოდში ტაქსები საძებარი იყო მოსახლეობისთვის. ახლა ტაქსისტები ეძებენ კლიენტებს...**

— რაც ახლა არის, ისაა სწორი. კომუნისტების პერიოდში ყველაფერი დაგეგმილი იყო. არ უნდა ყოფილიყო ზედმეტობა. ზედმეტიც კრიზისად ითვლებოდა, ნაკლებიც კრიზისი იყო. ეს ნაკლი ახასიათებდა იმ წყობილებას.

**— ამ ახალი ხელისუფლების პირობებში, თქვენი დაკვირვებით, მივდივართ სწორი გზით?**

— რაც იყო, იმასთან შედარება არ შეიძლება. ხალხი ისეთ დაძაბულობამდე იყო მისული, რომ ერთი აფეთქებაღა აკლდა. **რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა თავისი ქველმოქმედებით თუ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობით, საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება. როგორ შეიძლება, რომ ვიღაც ვიგინდარა და გარეწარი, რომელიც სააკაშვილმა თავზე დაგვასვა, აუგად მოიხსენიებდეს ბატონ ბიძინას.**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისა ვთქვათ, სპორტსმენებს როგორ ეხმარება. 12 მარტო რაგბის მოედანი აქვს გაშენებული. მოედანს ხომ თავისი ინფრასტრუქტურა აქვს, ადამიანები დასაქმებული და ა. შ. ორ მილიარდამდე საკუთარი ფული აქვს დახარჯული ქვეყნისთვის. ეს ფული მსოფლიოს ნებისმიერ ბანკში რომ შეეტანა, უდიდეს მოგებას ნახავდა.

**სააკაშვილმა და მისმა ბანდამ კი მილიარდობით ლარი წაჰგლიჯა საკუთარ ხალხს.**

ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც შეეძლო უზრუნველად და თავისი სიამოვნებისთვის ეცხოვრა, თავი გადადო, ხალხმაც მხარი დაუჭირა და, მადლობა ღმერთს, რომ ეს ჭირი — სააკაშვილის ხელისუფლება მოგვაცილა.

გამაგებინეთ, ეს ყველაფერი რომ ვიცით, ცუდი როგორ უნდა ვთქვათ ივანიშვილზე?!

**— ღირსეული ადამიანები რომ ვერ შემოიკრიბა ხელისუფლებაში, მთავრობაში?**

— *(პაუზა).* შესანიშნავი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცია ალასანია. ჩემი შვილები მასთან ერთად ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ცოტა წინ იყო... **როგორ ლაპარაკობს ეს ალასანია, რომ ახლა ნატოში უნდა შევიდეთ და დაგვიყენეთ, თუ გინდა, ჰაერსაწინააღმდეგო, თუ გინდა, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებიო. გამაგებინეთ, თუ არ ესმის, რა განსხვავებაა მათ შორის, რატომ უნდა იყოს თავდაცვის მინისტრი?!** თავდაცვის მინისტრმა ქვეყანა უნდა დაიცვას და არა ცხელი წერტილი შექმნას იქ, სადაც ჩვენ ვართ!

**შეეშინდება რუსეთს?! თუ არ შეეშინდა, მერე სად მივდივართ?! თუ ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს დააყენებ, ის რა, ვარდებს გესვრის იქიდან?!**

**დაანებონ თავი ამ პატარა საქართველოს! თუ ამერიკას რუსეთთან ომი უნდა, კამჩატკაზე, ადგილია დიდი, წავიდნენ და იქ იომონ...**

ნუ გეცინებათ: აგერ ბურთი და აგერ მოედანი. იქ გაარკვიონ პრობლემები, ჩვენ თავი დაგვანებონ.

**— ალასანია ამერიკელების სიმღერას მღერის?**

— *(იცინის)* ბანს ეუბნება. თუ სხვანაირად მოქცევა არ შეგიძლია, რად გინდა ან თანამდებობა, ან კიდევ ფული?!

მშვენიერი ქალბატონია მაია ფანჯიკიძე, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს ისეთი თანამდებობაა, რომ საუბრით, ქცევით და ა. შ. **მტერიც კი მოყვრად უნდა გაიხადო, მაგრამ გამოდის ეს ქალბატონი და ისეთ გამომწვევ განცხადებებს აკეთებს, არ ეკადრება ჯერ ქალს და შემდეგ — მინისტრს. აბა, რანაირად შეიძლება მაგისი საგარეო საქმეთა მინისტრობა?!**

**სააკაშვილის დადგენილია — ვაჟკაცია ის, ვინც რუსეთს უფრო მაგრად გალანძღავს. სააკაშვილის კვალს მიყვება...**

ჩემს ბავშვობაში, 7-8 წლისანი რომ ვიყავით, ვინც მაგრად შეიგინებოდა, ვაჟკაცი ის გვეგონა. აი, ასეა ახლა, მაგრამ უკვე სახელმწიფოს მართვის დონეზე.

დიდი ხანია, მე იმ ბავშვობიდან გამოვედი. ესენი, მგონი, ახლა შედიან.

**რომ ვუყურებ, მგონია, რომ ყველგან ამერიკისა და ევროპის ხელი ურევია.**

**— რაც ერთი და იგივეა...**

— ჩვენი მოქმედებით ამას ვადასტურებთ, ყოველ შემთხვევაში, ასეთ ფიქრს იწვევს.

**— ახლახან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გაფორმდა. თქვენ, როგორც რიგითი მოქალაქე, როგორ აღიქვამთ ამ საერთაშორისო აქტს?** ▶

მსოფლიო



## ანგელა მერკელმა ეჭვი შეიტანა აშშ-თან თანამშრომლობის პერსპექტივაში

**„თუ დადასტურდება ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის საგარეო დაზვერვის თანამშრომელი აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობდა, ეჭვქვეშ დადგება აშშ-თან პარტნიორული თანამშრომლობის პერსპექტივა“, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ვიზიტისას გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.**

ცოტა ხნის წინათ გფრ-ს პროკურატურამ განაცხადა, რომ 31 წლის გერმანელი ექვმიტანილია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის სასარგებლოდ ჯაშუშობაში. მისი ვინაობა არ გახმაურებულა, თუმცა გერმანულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დაპატიმრებული პიროვნება გერმანიის ფედერალურ სადაზვერვო სამსახურში მუშაობდა და 2012 წლიდან აშშ-ის სპეცსამსახურთან თანამშრომლობდა.



# „ამერიკა და ევროპა სააკაშვილს არიან ჩაფრენილები, ხელს არ უშვებენ. ხალხს არაფერს გვეკითხებიან. ასეთი ამერიკის და ასეთი ევროპის უნდა გვჯეროდეს? გვინდა ასეთი „მეგობრები“?! სააკაშვილი თუ დაბრუნდა, ყველას, ვისაც მის წინააღმდეგ სიტყვა უთქვამს, ციხეებში ამოალპობს.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— ბევრი რამ ვიცი, ბევრ რამეში კარგად ვარ გარკვეული. არავინ იფიქროს, რომ წიგნი არ მაქვს წაკითხული *(ეცინება)*. მაგრამ რას ნიშნავს ასოცირება, რისი მომცემია ჩვენთვის, ვერ გავიგე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ტელევიზიით ჩაგვჩიჩინებენ — სამოთხეში შევდივართო. ასოცირება, შერწყმა, ერთად მუშაობა... თუ ეს ვაჭრობის საკითხებს ეხება, ხომ ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი? — ვართ. ეს ასოცირება თუ დამატებით რაღაცის საშუალებას გვაძლევს, ხომ კარგია. მაგრამ, რატი ამაღლობელი რომ გამოდის და იძახის (მგონი, „მაესტროში“ იყო მიწვეული): ახლა გაგვეხსნა ხუთასმილიონიანი ბაზარიო! და (თუ არ ვცდები) თურმე 4 მილიონი მსხვილფეხა საქონლის გაყიდვის საშუალება მოგვეცემა. **კი, მაგრამ, იქ რომ ზიხარ და ამას ისმენ (ჟურნალისტი მყავს მხედველობაში), რატომ არ გებადება შეკითხვა: ოთხი მილიონი ტონა იქ გასაგზავნი საქონლის და ძათმის ხორცი როდის გექნება? რამდენი ათეული წლის შემდეგ? მაშ, რატომ უნდა ვიყოთ დღეს აღფრთოვანებულები იმ შორეული პერსპექტივით, რომელიც დადგება თუ არა, არავინ იცის?**

**— როგორიც იყო კომუნიზმის მრეწველობისკენ სწრაფვა.**

— გინდაც ასე იყოს. ევროპას დაუგროვდა ჭარბი საქონელი — კვების პროდუქტები თუ ფართო მოხმარების საგნები, რომლებიც მათთვის ვადაგასულია, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოდგება. გაასაღებენ კიდეც ჩვენზე.

მე ასეთი ევროპა არ მინდა. **მე ისეთი საქართველო მინდა, რომელიც გერმანიაზე უკეთეს „მერსედესს“ გამოუშვებს და არ იქცევა ნახმარი უცხოური მარკის ავტომანქანების სასაფლაოდ.**

კი, მინდა, მაგრამ რას ვაკეთებთ საამისოდ?

**— არაფერს!**

— ვერ ვაკეთებთ. გამოდიან სხვადასხვა პარტიის ლიდერები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ჭკუას გვარიგებენ. ჯერ ერთი, ვისი ფულით აქვთ გამაძღარი კუჭი მუდამ, გამაგებინეთ. მოდი და, თვითონ გააკეთონ, დაგვანახონ. რომელიმე დარგს მოჰკიდონ ხელი და მაგალითი მოგვცენ.

კარგი. ავაშენე ქარხანა. გამოვუშვი პროდუქცია, მაგრამ ვერ გავასაღე. სად წავიღო? რით გადავუხადო ხელფასი მუშებს? მთავარი ისაა, რომ, რასაც გააკეთებ, ვიღაცისთვის იყოს საჭირო, ვიღაც დაინტერესებული იყოს.

**— ევროპის ბაზარი დაინტერესებულია?**

— ევროპა რითიც არის დაინტერესებული, უკვე გითხარით. ჩვენი პროდუქცია მისთვის საჭირო არ არის. თავისივე საქონლით არის გაჯერებული. **ევროპა-ამერიკა გაცილებით წინ არის თავისი ტექნოლოგიებით, თანამედროვე დანადგარებით, დასაქმებული პერსონალის ცოდნით, შრომის უნარით. დილის 7 საათზე იწყებენ საქმიანობას. ჩვენთან კერძო მაღაზიები 10-11 საათამდე დაკეტილია. აქ, თბილისში, რა უნდა ივაჭროს იმან, ამიხსენი, გამაგებინე.**

მდგომარეობა ჩვენთან გაცილებით რთულია, ვიდრე გვგონია. არავისზე ნაკლები ჭკუა არ აქვს ქართველს; ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს, იმათ. მაგრამ სისტემა ვერ ავაწყვეთ, მეურნეობრიობისთვის, ყაირათიანი საქმიანობისთვის აუცილებელი განწყობა ვერ შევქმენით. პოლიტიკაში გადავვარდით.

**— რუსეთის პრობლემაზე აზრი უნდა გკითხოთ.**

— მსოფლიო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ცდილობდა რუსეთთან საქმიანი კავშირის დამყარებას. ყველამ იცის, რატომაც. და აქ მხოლოდ ბუნებრივი სიმდიდრეები და სამხედრო ძლიერება არ იგულისხმება. მოკლედ, რუსეთს ანგარიშს უწევენ. **სულ ახლახან მოწმენი გავხდით, რომ ამერიკის დაჟინებული მოთხოვნით მიღებულმა სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ ევროპის დიდი მოწონება ვერ დაიმსახურა.** ეს სანქციები, შეიძლება ითქვას, ერთგვარ ფორმალობადაც კი იქცა, რადგან თვით რუსეთზე მაინცდამაინც სერიოზულად ვერ იმოქმედებდა და ევროპაშიც უკვე ალაპარაკდნენ ამ შეზღუდვების განვრცობის წინააღმდეგ.

**რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. ჩვენ ამ რთული მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვეძებოთ.**

დაახლოებით 15 წლის წინათ ველისციხეში ვიყავი, გიორგაძეების ოჯახში. ორი კაცი მოვიდა ტრალერით. 40 ტონა ვაშლატამა იყიდეს.

**— ტიტველ ატამსაც ეძახიან.**

— დიახ. 80 ათასი ლარი ჩაუთვალეს და წავიდნენ. აი, ეს არის რუსეთის ბაზარი ჩვენთვის ერთ კონკრეტულ მაგალითზე. სანამ უვიზო რეჟიმი არ დამყარდება, იქამდე ეს ბაზარი ჩვენთვის ბოლომდე არ გაიხსნება.

**ჩვენ აქ რუსებს ვაგინოთ და იქ შეღავათები მოვთხოვოთ, არ გამოვა. ეროვნული თავმოყვარეობა მათ ახლა განსაკუთრებით გაძლიერებული აქვთ.**

ეს ის რუსეთია, რომელმაც 900 დღე-ღამე ლენინგრადი არ დათმო, სტალინგრადთან პაულიუსის არმია დააჩოქა და მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა.



**«ერთი ამიხსენით, რატომ ის არ აინტერესებს რასმუსენს, როგორ ცხოვრობს ხალხი, რატომაა, რომ მის ქვეყანაში, დანიაში, პენსია ლარის კურსით 4700-ია, ჩვენთან კი 150 ლარი? რა მოგვცა ნატოსკენ სწრაფვის იმ კურსმა, რომლიდანაც შესაძლო გადახვევის გამო დაგვემუქრა გენერალური მდივანი? ნატოს წევრ რომელ ქვეყანაშია ასეთი მიზერული პენსია?»**

**სხვა რამესაც გეტყვით: თუკი დღეს მონათმფლობელობა იყო შემორჩენილი, ვერ წარმოვიდგენდით. მაგრამ სწორედ ამას ვხედავ ამერიკა-ევროპის ჩვენდამი დამოკიდებულებაში. ვიღაცას კუჭი გასკდომაზე რომ ჰქონდეს, ჩვენ რატომ უნდა შევეწიროთ?**

ზოგიერთი ჟურნალისტი კი საქმის ვითარებას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ჩვენზე ბედნიერი ერი არ არსებობს. კი, მაგრამ სინამდვილე რომ განსხვავებულია? ჟურნალისტი ხომ „სიმართლეს უნდა მსახურებდეს“. „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს ემსახურებდეს“, — თქვა ჩვენმა დიდმა პოეტმა აკაკი წერეთელმა.

**ტელეეკრანზე ვნახე, უგულავა რომ დააპატიმრეს. კომენტარმა გამაოცა — უგულავა ბრალდებას არ აღიარებსო, და იქვე — ბრალდება არ წაუყენებიათო: ხაზგასმით თქვა, როგორც ამ მთავრობის მინუსი. თუ არ წაუყენებიათ, შე დალოცვილო, რას არ აღიარებს?! მააპატიეთ, მაგრამ თქვენი კოლეგები სისულელეებს ამბობენ ხშირად.**

ეს ერთი კერძო შემთხვევაა, მაგრამ, როცა ასე ზედაპირულად განიხილავენ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს, ეს ქვეყნისთვისაა დამღუპველი.

**— თბილისის მერის არჩევნების მეორე ტური წინ გვაქვს. თბილისელებმა თავი არ შევიწუხეთ, ცოტანი მივედით არჩევნებზე და მეორე ადგილზე „ნაციონალები“ წამოგვისკუპდნენ. სააკაშვილი კი საქართველოში დასაბრუნებლად არის განწყობილი.**

— **ამერიკა და ევროპა სააკაშვილს არიან ჩაფრენილები, ხელს არ უშვებენ. ხალხს არაფერს გვეკითხებიან. ასეთი ამერიკის და ასეთი ევროპის უნდა გვჯეროდეს? გვინდა ასეთი „მეგობრები“?! სააკაშვილი თუ დაბრუნდა, ყველას, ვისაც მის წინააღმდეგ სიტყვა უთქვამს, ციხეებში ამოალპობს.**

სახელმწიფო დამნაშავე დაუსჯელი როცა დადის, ხალხს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერია დასაშვები. რომ ეს ყბადაღებული კოაბიტაცია და ჰუმანურობა ყველაფერს ჩაფარცხავს. გული უცრუვდება ხალხს, სიტუაციის შეცვლის იმედი ეკარგება და არ მიდის არჩევნებზე: ყველაფერი მაინც ძველებურად დარჩებაო.

თანაც ჩვენმა მინისტრებმა გაიგეს, რომ კარგი ყოფილა მინისტრის სავარძელი, ძვირად ღირებული მანქანები. სახელმწიფო ფული მიახარჯეს! თორემ **საკუთარი ფულით, გინდა, ვერტმფრენი იყიდონ და იმით იარონ, გინდა — დირიჟაბლით.**

ჩვენს ხალხს გული უცრუვდება იმიტომაც, რომ ელექტროენერგიის, გაზის, წყლის მოხმარების ტარიფები კვლავ ყოფილი ხელისუფლების დროინდელი რჩება. არ იაფდება.

**ჩვენი პარლამენტი კი, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში შეიქმნას ადამიანის დასაქმებისთვის აუცილებელი სამართლებრივი სივრცე. უმუშევრობის შემცირებას პირი არ უჩანს. სამუშაო ადგილები ისევე არ არის, როგორც არ იყო.**

ბატონმა უსუფაშვილმა ერთხელ თქვა, რომ ჩვენი ამოცანაა „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა. ამისთვის აირჩია ხალხმა?!

სპორტსმენები არ დამანახოთო პარლამენტში, ესეც თქვა. ვინ ჰყავს იმ პარლამენტში ლერი ხაბელოვზე, შოთა ხაბარელზე, ზვიადაურზე, ხუბულურზე უკეთესები?

**ყველას თავი რომ დავანებოთ, არ გაამართლა კახი კალაძემ ვიცეპრემიერად, ენერგეტიკის მინისტრად რომ დაინიშნა? პარტიის ლიდერად რომ აირჩიეს?**

ამ და კიდევ ბევრი სხვა სპორტსმენის სახელი მსოფლიოშია ცნობილი. მისი რომელი პარლამენტარი შეედრება ამათ და იმდენ სიკეთეს საქართველოს რომელი დეპუტატი მოუტანს? ჩვენი სპორტსმენები საზღვარგარეთ მყოფი ძალების პირში შემყურენი რომ ყოფილიყვნენ — აბა, ახლა როგორ მოვიქცეთ, რას გვიბრძანებთო, გამარჯვებულების მედლებს ვერ ჩამოიტანდნენ საქართველოში.

უსუფაშვილს კი სპორტსმენების დანახვაც არ უნდა პარლამენტში.

ასეთი დამოკიდებულება იწვევს გულის აცრუებას.

თბილისის მერის არჩევნებზე აუცილებლად უნდა მივიდეთ ყველა, თუნდაც იმიტომ, რომ „ნაცებს“ დავანახოთ, როგორია ხალხის ძალა და ნება.

**— ამ არჩევნების პროცესში ახალი პარტიებიც გამოჩნდა, მაგალითად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.**

— ამ პარტიამ, ჩემი აზრით, ძალა უნდა მოიკრიბოს. სულ ახალი შექმნილია და, რასაც მიაღწია, წარმატების მაჩვენებელია. სწორ გზაზე დგას. მისმა ერთმა ლიდერმა განაცხადა, საქართველოდან ამერიკაში მივდივარო. სულ არ მაინტერესებს, ვინ სად აპირებს წასვლას. ამ შემთხვევაში თარხან-მოურავზე ვლაპარაკობ. დიდი პატივისმცემელი ვარ მისი და „ობიექტივის“, რომელიც სხვებზე გაცილებით ობიექტურია, გულახდილია და ხალხს სიმართლეს ეუბნება. ამ ბოლო დროს სულ მაგ არხს ვუყურებ. შესანიშნავი ჟურნალისტია ქალბატონი ირმა ინაშვილი.

მე ის მაინტერესებს, რას აკეთებენ პარტიები საქართველოსთვის.

ისიც მაინტერესებს, ვინ და როგორ ფინანსდება საზღვარგარეთიდან — არასამთავრობო იქნება, პარტია, მოძრაობა თუ ორგანიზაცია. ყველა მათგანი სხვების დავალებას ასრულებს, რასაც, ჩემი აზრით, მოღალატეობა ჰქვია.

თუ რამე შეუძლიათ, ჭკუა და სურვილი აქვთ, აგერ რამდენი დარგია ასაღორძინებელი. მოჰკიდონ ხელი! ლაპარაკი დღეს ყველას შეუძლია.

**— რამე ხომ არ დაგრჩათ უთქმელი, ბატონო ზარბეგ?**

— ორი სიტყვა რასმუსენზე მინდა ვთქვა, ნატოს გენერალური მდივანი რომ არის ჯერ კიდევ.

1 ოქტომბრის არჩევნები რომ დამთავრდა, ამ ბატონმა პირდაპირ განაცხადა — თუ საქართველო გადაუხვევს აღებულ კურსს, ძალიან ძვირად დაუჯდებაო. დაგვემუქრა.

ერთი ამიხსენით, რატომ ის არ აინტერესებს რასმუსენს, როგორ ცხოვრობს ხალხი, რატომაა, რომ მის ქვეყანაში, დანიაში, პენსია ლარის კურსით 4700-ია, ჩვენთან კი 150 ლარი? რა მოგვცა ნატოსკენ სწრაფვის იმ კურსმა, რომლიდანაც შესაძლო გადახვევის გამო დაგვემუქრა გენერალური მდივანი? ნატოს წევრ რომელ ქვეყანაშია ასეთი მიზერული პენსია?

მაგათ მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ ქართველი ჯარისკაცები წაიყვანონ ავღანეთში თავიანთი ჩაფლავებული საქმის გასაგრძელებლად.

ნატოს, მაშასადამე, აშშ-ს აინტერესებს, განავრცოს თავისი საცეცები რუსეთის საზღვრებთან რაც შეიძლება ახლოს, ფაქტობრივად, ბლოკადაში მოაქციოს. სულ ფეხებზე ჰკიდია, საქართველოს ხარჯზე გააკეთებს ამას, უკრაინის თუ რომელიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიის გამოყენებით. თუ რამე მოხდება, ღმერთმა ნუ ქნას, ამ ქვეყნების სახსენებელიც კი მოისპობა. ნატოს უნდა შევწიროთ ჩვენი ქვეყნის მომავალი?

ამიხსენით, გამაგებინეთ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ბლიცი

## მიხეილ ბიბილურიძის სკანდალური ჩვენება

**სანდრო გირგვლიანის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, კუდის ყოფილი თანამშრომელი მიხეილ ბიბილურიძე იმ სქემაზე ალაპარაკდა, რომლის მიხედვითაც, გირგვლიანის საქმეზე შსს-ს იმჟამინდელი თანამდებობის პირების დასჯის ინსცენირება მოხდა.**

ბიბილურიძის ჩვენებით, ამ სქემის შესახებ ინფორმირებული იყვნენ იმჟამინდელი მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი. ბრალდების მოწმე, რომელმაც 2006 წელს გირგვლიანის საქმეზე სასჯელი უკვე მოიხადა, ამბობს, რომ ციხეში მისი და შსს-ს სამი თანამშრომლის ჩასმა კუდის უფროს დათა ახალაიას დავალებით გადაწყდა. მიხეილ ბიბილურიძემ დაკითხვისას აღნიშნა, რომ სანაცვლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პრივილეგირებულ პირობებში იმყოფებოდა და წახალისებისთვის შინაგან საქმეთა მინისტრისგან ფულადი თანხაც რამდენიმეჯერ მიიღო.



SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ქართულ მიწას შინაური თუ უცხოელი ისე ჯიჯგნის, რომ არავინ არავის არაფერს ეკითხება. არ ეკითხებიან ჩვენს მარჩენალ მიწაზე დამკვიდრებულ გლეხს, არ ეკითხებიან ქართველ საზოგადოებას და, რაც საოცარია, არ ითვალისწინებენ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის აზრს.**

# როდემდე უნდა ჯიჯგნონ ქართული მიწა?!

**1992-1998 წლებში ჩატარებული ნაჩქარევი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები დაქუცმაცდა, მრავალწლიანი ნარგავები კი განადგურდა. მიწის ფართობების ფიზიკურ პირებზე უფასოდ და პატარ-პატარა ნაკვეთებად განაწილებამ გამოიწვია მიწის დანაწევრება-ფრაგმენტაცია და მისი უეფექტოდ გამოყენება.**



დაიწყო 0.15 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე (მაღალ მთიან რეგიონებში 5 ჰა-მდე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დარიგება. სახნავი მასივები დაიყო წვრილ კონტურებად და განაწილდა, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მოსახლეობაზე. სხვადასხვა მიმღებზე მიწა ერთ ნაკვეთად არ იყო გამოყოფილი. პირიქით, გამოყოფის არჩეული ვარიანტით, თითოეულ ოჯახს დაურიგდა დაახლოებით 3-7 ნაკვეთი, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიაზეა განლაგებული — დაშორება მესაკუთრის სხვადასხვა ნაკვეთსა და მის სახლს შორის შეიძლება 5 კმ-ზე მეტიც იყოს. ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დასახლებების შემოგარენში ხელმისაწვდომი მიწა საკმარისი არ იყო. ამგვარად, ბევრმა კომლმა, ფაქტობრივად, მითითებულ 1.25 ჰექტარზე ნაკლები მიიღო. ზოგან მიწის დარიგება გართულებული იყო იმის გამო, რომ მთავრობას არ შეეძლო მიწის განაწილების პროცესის კონტროლი და შესაბამისი წესებისა და რეგულაციების აღსრულება. ამ პროცესის შედეგად 1.300.000 კომლი (ოჯახი), დაახლოებით 3.5 მილიონი მოქალაქე, მიწის მცირე ნაკვეთების მესაკუთრე გახდა — კომლზე საშუალოდ 0,25 ჰა. მაგალითად, დედოფლისწყაროში (მარცვლეულის ბეღელი) 1992 წლამდე არსებული სახნავი 46 000 ჰა მიწა წარმოდგენილი იყო 560 ნაკვეთად. მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად აღნიშნული მიწა დანაწევრდა 26 000 ნაკვეთად.

საქართველოში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაცია — დიდი რაოდენობით მცირე ზომის, დახლოებით 1.25 ჰა, ნაკვეთების მესაკუთრეობა, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ფერმერული მეურნეობისთვის ძირითადი დაბრკოლებაა. ეს ფერმერები გამოიყენებენ ურისკო სტრატეგიებს და მათი განვითარების პოტენციალი ლიმიტირებულია. ისინი მიწას აღიქვამენ ისე, როგორც სოციალურ უსაფრთხოებას და არა როგორც ეკონომიკურ აქტივს. ფაქტობრივად, ამ ფერმერთა უმრავლესობა ფერმერულ მეურნეობაში გრძელვადიან პერსპექტივას, ფაქტობრივად, ვერ ხედავს და დღესდღეობით ლიმიტირებული ინტერესი აქვთ მიწის კონსოლიდაციის შესახებ. **საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0.14 ჰა სახნავი მიწა, 0.64 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ეს კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. სომხეთს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვს.**

მთლიანი მიწის სახნავ-სათესი ფართობი შეადგენს მხოლოდ 9.3%-ს, მრავალწლიანი ნარგავების — 3.97%-ს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 30% ეროზირებულია. ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებაა ის, რომ სახნავი მიწების უმეტესი ნაწილი განლაგებულია სხვადასხვა დაქანების ფერდობზე. **საქართველოს სახნავი მიწების 9% განლაგებულია 10 გრადუსზე მეტ დაქანებაზე. ქვეყნის მიწების დიდი ნაწილი დაზიანებულია მეწყერით, ღვარცოფით და თოვლის ზვავით. საქართველოში აღრიცხულია 10 000-ზე მეტი მეწყერი და 1000-მდე ღვარცოფი.**

ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, უკან დასწია ქვეყანა და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექნიზაციის, Hჰერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.

**1996 წლის დასაწყისში მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ," რომელიც ითვალისწინებდა სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის უფლებას საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირზე ე. ი. უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლებოდა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი რაოდენობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის შეძენა.** საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა პროტესტისა და კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, შეიცვალა კანონის პროექტი და 1996 წლის 22 მარტს მიღებული იქნა საქართველოს კანონი: „სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". **მიღებული კანონის მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტში ჩაიწერა: „სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით". კანონის მიღების დროს კანონი შედგებოდა 22 მუხლისგან, მაგრამ მისი მიღებიდან დღემდე შეტანილი 14 ცვლილების შედეგად, ამოღებული იქნა 11 მუხლი. ფაქტობრივად, კანონმა დაკარგა მნიშვნელობა და ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.** ცვლილებების შედეგად, **2007 წელს, კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული „ა" ქვეპუნქტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აკრძალულია მიწის ნაკვეთის გასხვისება, თუ სივრცობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთი გასხვისების შედეგად პატარავდება ხუთ ჰექტარზე ნაკლებად.** შედეგად, ისედაც დანაწევრებული მიწები კიდევ უფრო მეტად დანაწევრდა. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ამოღებული იქნა, რომელშიც აღნიშნული იყო: „იმ მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, არ იხდის მიწათსარგებლობისთვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვება მეურნეობას და ასეთ შემთხვევაში იჯარითაც არ გაცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ასევე, **კანონიდან ამოიღეს მემკვიდრეობის, სოფლის მეურნეობის ცნების, საერთო საკუთრების წილის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ღირებულების, გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელი ნებართვის გაცემის, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) გასხვისებისა და ნებართვის რეგისტრაციის ვალდებულების და უპირატესი შესყიდვის უფლებების მუხლები.** შეიძლება ითქვას, **პარლამენტის რომელ წევრს რაც მოუნდებოდა, კანონიც ისე იცვლებოდა.** რაც მთავარია, **ყოველგვარი განხილვის გარეშე, კანონში შეტანილი იქნა ცვლილება და დაშვებილი იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაეცემა.** შემდეგ ისევ აიკრძალა. **ეს მუხლი კანონიდან ამოღებული იქნა (გაქრა), შემდეგ ისევ აღდგა. კანონში აღინიშნა: „უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, თავიანთ საკუთრებაში არსებული სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან(და) საქართველოს კანონონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე".** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმა გაითვალისწინა, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლოს გადაწყვეტილებითა და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას გამოიყენება: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები. ვერაფერს იტყვი, ძალიან კარგი და სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ: საოცრება! **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამასთანავე, მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა, დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და 2013 წლის 26 ივნისს გაატარა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამრთლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512", რო-**

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქისა და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის — გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღესდღეობით არ ფიგურირებს საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე. ჩვენი აზრით, ეს ქმედება სამშობლოს ღალატის ტოლფასია**

## ბიძინა ივანიშვილი ტელეკომპანია GDS-ის ეთერში თოქშოუს წაიყვანს

**ტელეკომპანია GDS-ი ადასტურებს, რომ ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი არხზე ერთ-ერთი საზოგადოებრივ-შემეცნებითი თოქშოუს ავტორი და თანაწამყვანი იქნება.** „გვინდა, გამოვეხმაუროთ საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციას ახალი სეზონიდან განახლებული მაუწყებლობისა და სატელევიზიო ბადის ცვლილების შესახებ. ვადასტურებთ, რომ საზოგადოებრივ-შემეცნებითი თოქშოუს ავტორი და თანაწამყვანი ბიძინა ივანიშვილია. აღნიშნული თოქშოუ, საეთეროდ „GDS Production"-ს უნდა დაემზადებინა. განიხილებოდა მისი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსება, თუმცა ამას, შესაძლოა, გარკვეული კითხვები გამოეწვია საზოგადოებაში, ამიტომ, გადაცემის იდეის ავტორთან შეთანხმებით, გადაწყდა ალტერნატიულ ვერსიებზე მუშაობა. ამ ვერსიებიდან ყველაზე სწრაფად და მარტივად (ზედმეტი კითხვების გარეშე) პროექტზე მუშაობის დაწყება ტელეკომპანია GDS-ს შეეძლო, ამიტომ არხის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მაუწყებლობის ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. არ გამოირიცხება ის ვერსიაც, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, პროექტი გადაეცეს საზოგადოებრივ მაუწყებელს ან სხვა რომელიმე კერძო ტელეკომპანიას, ხოლო GDS TV დაუბრუნდეს მაუწყებლობის პირვანდელ ფორმატს", — ნათქვამია GDS-ის განცხადებაში.



# დღევანდელი მდგომარეობით (დაუზუსტებელი მონაცემებით), უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია ათასობით ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. საუბედუროდ, ამით არ დამთავრებულა ქართული მიწის ღალატი.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀მლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა უცხოელთა (მოქალაქეობის არმქონე პირი) მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე.** ამით **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქისა და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის — გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღესდღეობით არ ფიგურირებს საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე. ჩვენი აზრით, ეს ქმედება სამშობლოს ღალატის ტოლფასია.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ აღაშფოთა საქართველოს საზოგადოების ნაწილი და საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა მორატორიუმი, შედეგად 2014 წლის ბოლომდე შეაჩერა სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოში არიან დაფუძნებულნი. **ამის შემდეგ ავსტრიის მოქალაქეს შეაქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი მოთხოვნით საქართველოს პარლამენტის მორატორიუმის ბათილად გამოცხადების თაობაზე. ჩვენმა საამაყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ავსტრიის მოქალაქის სარჩელი და დღეს უკვე შესაძლებელია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირებმა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეიძინონ.** საინტერესოა, ვინ არიან ეს დანიისა ავსტრიის მოქალაქეები, რა ინტერესი აქვთ და ვინ დგას მათ უკან. მაშინ, როდესაც **ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) კანონით „უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13).** ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიიღოს, თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ:

არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი;

უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე, მინიმუმ, 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

თუ უცხოელს (მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, მას ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად დამატებით უნდა ჰქონდეს ასევე ნებართვა, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (§8).

დაახლოებით ანალოგიური რეგულაციაა ავსტრიის სხვა მიწების კანონმდებლობებითაც. ის ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შეძენა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას. მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შეძენა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის ნებართვის მიღება იმ შემთხვევაში შეუძლია უცხოელს, თუ:

ის აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელთაც საკუთრების შეძენისას ქვეყნის მოქალაქეც უნდა აკმაყოფილებდეს;

თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უშიშროება;

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული, უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ ავსტრიის ყველა ფედერაციულ ერთეულში ვხვდებით მსგავს რეგულირებას.

ვფიქრობთ, ჩვენი ჟურნალისტები დაინტერესდებიან, ვინ არიან ეს უცხოელები, რომლებიც ასე „ზრუნავენ“ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, ვინ დგას მათ უკან და ვის ინტერესში შედის საქართველოს ღალატი.

**2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე უცხოელების მიერ შეიქმნა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც იყიდეს 271 ნაკვეთი. დღევანდელი მდგომარეობით (დაუზუსტებელი მონაცემებით), უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია ათასობით ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. საუბედუროდ, ამით არ დამთავრებულა ქართული მიწის ღალატი.**

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის



**საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0.14 ჰა სახნავი მიწა, 0.64 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ეს კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. სომხეთს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვს**



გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

**მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ჩვენი აზრით, ქართული მიწის ღალატის ფასად, 2004 წელს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმომწყობო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა სამუშაოები, სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება, მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.**

საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში პირობითი გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. უკანასკნელ პერიოდში ეს პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა საჭიროებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

**დღეს საქართველოს არც ერთი კანონმდებლობა არ იცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს დაქუცმაცებისგან და გაუბედურებისგან. საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ სანამ ცვლილებებს შეიტანდნენ, აღნიშნული იყო, რომ ხუთ ჰექტარზე ნაკლები ფართობის გასხვისება აკრძალული იყო. ცვლილებების შედეგად ეს ამოღებული იქნა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ნაცვლად იმისა, რომ მიწებს იცავდეს დაქუცმაცებისგან, ხელს უწყობს დაქუცმაცებას (მემკვიდრეობის სამართალი).**

2013 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც საქართველოს მთავრობას დაევალა 2013 წლის 31 დეკემბრამდე:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება;
4. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასატრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

დაგვიანებული, მაგრამ საუკეთესო გადაწყვეტილებაა, უბედურება კი ის არის, რომ ამ გადაწყვეტილების არც ერთი პუნქტი არ არის შესრულებული.

**დღეს ქართულ მიწას შინაური თუ უცხოელი ისე ჯიჯგნის, რომ არავინ არავის არაფერს ეკითხება. არ ეკითხებიან ჩვენს მარჩენალ მიწაზე დამკვიდრებულ გლეხს, არ ეკითხებიან ქართველ საზოგადოებას და, რაც საოცარია, არ ითვალისწინებენ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის აზრს.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **საჭიროა, ქვეყანაში შეიქმნას მძლავრი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება. უნდა აღდგეს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტი, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას მიწის კოდექსი (არსებობს ტყის, წყლის, წიაღის და სხვა უამრავი კოდექსი და არ არსებობს მიწის კოდექსი), აღდგენილ იქნას უნივერსიტეტში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ფაკულტეტი.**

**ანზორ მესხიშვილი,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში

ეკონომიკა

## შეიქმნა ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის სიმბოლო

**ლარის სიმბოლო ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ წარადგინა. გიორგი ქადაგიძემ ეროვნული ვალუტის გამარჯვებული სიმბოლოს ავტორი, მხატვარი მალხაზ შველიძე 2 000 ლარით დააჯილდოვა, გამარჯვებული კონცეფციის თანაავტორებს კი სერტიფიკატები გადასცა.**

„რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ პროექტი წარმატებით დასრულდა. დღევანდელი დღიდან ლარს აქვს თავისი სიმბოლო. ეს მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციისა და შემდგომი ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით. დადგება დღე, როცა საქართველო შევა ევროკავშირში და გახდება სრულუფლებიანი წევრი და როცა უარს ვიტყვით საკუთარ ვალუტაზე, მაგრამ იქამდე, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობა ძალიან მაღალი იყოს. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გითხრათ, რომ მომავალ წელს ეროვნულ ვალუტას 20 წლის იუბილე აქვს და ამიტომ მნიშვნელოვანი სიახლეები გვექნება“, — განაცხადა ქადაგიძემ.

**ლარის სიმბოლო ქართული ერთთაღიანი ასო „ლას“-ის გრაფიკულ მოხაზულობას ეფუძნება.**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახმატოვას ბედი თითქოს ცაში იყო გადაწყვეტილი, სტალინმა იგი ფერფლიდან აღადგინა. ახმატოვა ბლოკადაში მოქცეული ალმოდებული ლენინგრადიდან სწორედ სტალინის უშუალო ბრძანებით გადაიყვანეს კუიბიშევში. პოეტის ლექსები რეგულარულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, გამოსცემდნენ წიგნებს, რომელშიც ასახული იყო პოეტის ფიქრები წარსულსა და მომავალზე. და სწორედ ამ დროს აბაკუმოვმა სტალინთან შეიტანა პატაკი ანა ახმატოვას დაპატიმრებაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით.**

**2012 წლის არჩევნებამდე „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხს რომ ვუყურებდი და ვუსმენდი, მეუფლებოდა შიში, რომ ხელისუფლებიდან „ნაციონალური მოძრაობის“ წასვლისთანავე ქუჩებში სისხლის გუბეები დადგებოდა. უამრავი ჩემი ნაცნობი და პირადად მეც შურისძიებისათვის ვიყავით მზად. კარგია თუ ცუდი, სისხლის აღებისა და შურისძიების უმართავი პროცესი რომ არ დაიწყო და ადამიანურ ჩარჩოში მოექცა? ალბათ, კარგია, მაგრამ, ალბათ, ცუდიცაა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც 1937 წლის რეპრესირებულთა მუზეუმს ხსნიდა, იქვე ახლოს, იმავე ტერიტორიაზე ადამიანებს ისე აწამებდა, 1937 წელს ჯალათებს არც კი დაესიზმრებოდათ.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი და მწერლები

ადამიანების მცირე ნაწილი დღეს 1924 წლის აჯანყების სურათების აღდგენას ცდილობს, მასზე უამრავ მასალას აქვეყნებს და რატომ არ შეიძლება ნათელი მოეფინოს პანკისის ტრაგედიას, რომლის მონაწილეეებიც ჯერ კიდევ სამსახურებში არიან და თვითმხილველებად რჩებიან? თუ დაწვრილებით ვიკვლევთ მიხეილ ჯავახიშვილის თუ ტიციან ტაბიძის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და ცხრა მთას იქით ვედავებით სტალინს, რატომ არ უნდა მოეფინოს მზის სინათლე გირგვლიანის თუ რობაქიძის მკვლელობებს, თუ ისინი, რადგან ჯავახიშვილი და ტაბიძე არ არიან, ადამიანებიც არ არიან? რატომ არ შეიძლება ერთი ფოტო მაინც გადავუღოთ ორას პოლიტპატიმარს, რომლებსაც 3-4-ჯერ უფრო მეტი ხნით ჰქონდათ პატიმრობა მისჯილი, ვიდრე სტალინის პერიოდის ნებისმიერ პოლიტპატიმარს და „ნაცმოძრაობის ლიდერების“ ფოტოების გვერდით დავკიდოთ? გამოგონილი მუზეუმების ნაცვლად, გავხსნათ ნამდვილი წამების ერთი ოთახი მაინც, რომელშიც ფოტო და ვიდეომასალები ერთად იქნება გამოფენილი.

რატომ არ არის წარმოდგენილი მუზეუმში ის 20 000 ფაილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ მიერ ადამიანთა წამებას ასახავს? თუ „ნაცმოძრაობამ“ ცხრა წელიწადში შეძლო, სამმილიონიან ქვეყანაში ციხეებში გამოემწყვდია 200 პოლიტპატიმარი და ბრალდება წაეყენებინა 350 000 ადამიანისთვის, რატომ არ შეიძლებოდა, ორას მილიონიან ქვეყანაში 30 წლის განმავლობაში (1921-1953 წლებში) მილიონზე მეტი პატიმარი ჰყოლოდათ? რატომ არის ამ შემთხვევაში საშინელებათა ავტორი „დემოკრატიის შუქურა“, რომელიც დღესაც „ბრწყინავს“ უკრაინის „მშვიდობისათვის ბრძოლის ცის ტატნობზე“ და სტალინი — პირსისხლიანი დიქტატორი, რომელმაც „კავიანი რუსეთი ჩაიბარა და ატომური იარაღით დატოვა“?

დღეს მინდა შევეხო თემას — სტალინი და მწერლები, რომელზეც უამრავი ჭორმართალი დადის. არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო და ძველი იარა გავუხსნა, მაგრამ, როდესაც ტყუილს ათასფრად შემოსავენ და სიმართლედ წარმოგვიდგენენ, თავმოყვარეობა მელახება.

### ანდრე ჟიდის შთაბეჭდილებები და პაოლო იაშვილი

1936 წელს საქართველოდან მოსკოვში 127 რჩეული ჩავიდა, რაც ქვეყნის დედაქალაქში ტრიუმფით აღინიშნა. რჩეულთა შორის რჩეულებიც იყვნენ, რომლებიც მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით დაჯილდოვდნენ, დაჯილდოვდნენ ისინიც, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო მოსკოვში არ იმყოფებოდნენ, დაჯილდოებულთა შორის იყო პაოლო იაშვილიც.

დარბაზობა, რომელიც სტალინმა ქართულ დელეგაციას კრემლში გაუმართა, ბევრი რამით იყო საინტერესო. გამორჩეული კი ის იყო, რომ სუფრას თამადობდა სახელგანთქმული პოეტი **პაოლო იაშვილი**. მას გვერდით სტალინი ეჯდა. მომხიბლავი იყო პაოლოს ყველა ჟესტი და სიტყვა, არა მრავალსიტყვაობა, არამედ აზრის სისადავე და სიცხადე. **სტალინმა ამ დარბაზობაზე პაოლო იაშვილს შვილიც კი უწოდა.**

იმ პერიოდში საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანდრე ჟიდი, რომლის მოგზაურობა საქართველოში არ იყო დაგეგმილი, მაგრამ, ბერიას თხოვნით, სტალინმა ანდრე ჟიდს საქართველოში ჩასვლაც ურჩია. სტუმარს ბერიამ მასპინძლებად პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე დაახვედრა. ანდრე ჟიდს საქართველოში მოგზაურობისას, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა, თან ახლდნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, რომლებმაც მწერალი დიდი პატივისცემითა და მოწიწებით გააცილეს მშობლიურ საფრანგეთში.

საქართველოში ჟიდის მოგზაურობიდან გავიდა ხანი და სტალინმა საფრანგეთში საბჭოთა საელჩოდან მიიღო დაშიფრული ტელეგრამა, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ანდრე ჟიდის შთაბეჭდილების ალმაშფოთებელი სურათები, აშკარად იგრძნობოდა არაკეთილმოსურნის ხელი.

სტალინმა ბერიას დაურეკა და უთხრა საფრანგეთიდან მიღებული ინფორმაციის შესახებ, რომელსაც, რა თქმა უნდა, საყვედურები და გაფრთხილება მოჰყვა. შესაბამისად, ბერიამ სასწრაფოდ გამოიძახა პაოლო იაშვილი, რომელსაც სტალინის საყვედურის შინაარსი გააცნო. პაოლოს თავის მართლება არ დაუწყია. მან უკომენტაროდ დატოვა ბერიას კაბინეტი და მწერალთა კავშირს მიაშურა, სადაც „პაოლომ თავი მოიკლა“.

1957 წელს პაოლო იაშვილის დაღუპვიდან 20 წლის თავზე ჩემმა უსაყვარლესმა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ ლექსი მიუძღვნა თავის მეგობარს. პაოლოს უდანაშაულობაში დარწმუნებული პოეტი დაბეჯითებით ამბობს: „...მაგრამ იმ ამბავს, დღეს რად გვინდა ამის მტკიცება, იქნებ ყველასგან, მაგრამ შენგან არვინ ელოდა“. მიუხედავად თავისი „ცისფერყანწელობისა“ პაოლო იაშვილი ქართველ ხალხს წარმოდგენილი ჰყავდა, და იყო კიდეც, როგორც მისი უპირველესი წარმომადგენელი და მეთაური. მას განუზომლად უყვარდა საქართველოს როგორც წარსული, ისე მომავალი. აკი, ამაზე მიუთითებს პოეტი, როცა ამბობს: „...შენ ორთავ ქვეყნის ტრფობა გეკრა გულის ფიცარზე, როგორც ყმაწვილ კაცს — სიყვარული გაყრილ მშობლების“.

პაოლო იაშვილის ტრაგედია უამრავმა მოლაყბემ თუ ცილისმწამებელმა ათასნაირად შეკერა და გადაასხვაფერა, რაც ტიპური მოვლენაა ქართველი კაცის შორეულ თუ ახლო წარსულში. მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი და მკითხველი, დარწმუნებული ვარ, რომ პაოლო იაშვილი მხოლოდ ვაჟკაცობისა და მეგობრობის მსხვერპლია.



მაქსიმ გორკი და სტალინი

**ანტისტალინური კამპანიის მიმდინარეობისას ხრუშჩოვის მცდელობა, ანა ახმატოვა სტალინის წინააღმდეგ გამოსულიყო, უშედეგოდ დამთავრდა. პოეტმა უცხოურ პრესას განუცხადა, რომ მის მიმართ სტალინი მართალი იყო**

### სტალინის ცრემლი და ანა ახმატოვა

1935 წლის 24 ნოემბერს ანა ახმატოვას ქმარი და შვილი ლენინგრადში დააპატიმრეს პოლიტიკური მოტივით. ახმატოვა, რომლის წიგნებიც კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა საზოგადოებაში, ლენინგრადიდან მოსკოვში გაემგზავრა ქმრისა და შვილის საშველად, იმხანად მწერალთა წრეში აღიარებულ და სტალინისტად წოდებულ მიხეილ ბულგაკოვს მიაშურა, რომელთანაც მიიტანა სტალინის სახელზე დაწერილი განცხადება ოჯახის წევრების განთავისუფლების თაობაზე. ბულგაკოვმა ურჩია ანას, არა საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი, არამედ თავისი ხელით დაწერილი განცხადება გაეგზავნა სტალინისთვის, მისი აზრით, ეს უფრო ღირებული იქნებოდა. წერილი ხელნაწერის სახით 1 დეკემბერს ჩაბარდა კრემლის კომენდატურას. ანა ახმატოვას განცხადებას თან ერთვოდა ბორის პასტერნაკის სარეკომენდაციო წერილი ანა ახმატოვას მოკრძალებული ცხოვრების თაობაზე. **მეორე დღეს ანა ახმატოვას წერილზე გაჩნდა რეზოლუცია: „ამხანაგ ეჟოვს. გაათავისუფლეთ და შესრულების შესახებ მომახსენეთ!“.**

პოეზიისა და სწავლის მოყვარული სვეტლანა ალილუევა მაგიდასთან იჯდა და წიგნიდან სასკოლო რვეულში ლექსებს იწერდა, როდესაც თავზე სტალინი წამოადგა.

„რატომ იწერ წიგნიდან რვეულში ლექსებს და წიგნით რატომ არ ხელმძღვანელობ? — ჰკითხა მამამ.

„მამა ეს წიგნი იშვიათობაა, არ იშოვება, მე კი ამხანაგმა მათხოვა და მალე უნდა დავუბრუნო“, — უპასუხა სვეტლანამ.

„რა წიგნია ასეთი“, — თავისთვის ჩაილაპარაკა მამამ და წიგნი ხელში აიღო. —„ანა ახმატოვა. ლექსები“. ნუთუ ასე მოგწონს ახმატოვას ლექსები?“ — კვლავ იკითხა სტალინმა.

„ის ჩემთვის ყველაფერია, დედაც კი“.

ამ ფრაზამ ყველაფერი შეცვალა არა მხოლოდ ანა ახმატოვას ცხოვრებაში, არამედ სტალინშიც.

„ცრემლმორეული მამა ოთახიდან გავიდა“, — იგონებს სვეტლანა ალილუევა.

სულ მალე **კრემლის გეორგიევსკის დარბაზში მიწვეულ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს, რომელთათვისაც მთავრობის მაღალი ჯილდოები უნდა გადაეცათ, სტალინმა მოულოდნელად მიმართა: „სად არის ანა ახმატოვა, რატომ არ იბეჭდება?“**

იმავე დღეს ლენინგრადში დაიწყო ანა ახმატოვას ადრე თუ გვიან გამოქვეყნებული ლექსების შეგროვება და დამუშავება. უსწრაფესად გამოიცა დიდი ტირაჟით ახმატოვას ლექსები „ექვსი წიგნიდან“ და სქელტანიანი რჩეული. შემდეგ პოეტი ხუმრობით ამბობდა, რომ ეს წიგნები მამის საჩუქარია შვილისადმი (სტალინისა სვეტლანასადმი). მზადდებოდა ანა ახმატოვას ერთტომეული სტალინურ პრემიაზე წარსადგენად. პოეტი მიწვეული იყო გამარჯვების აღსანიშნავ ვახშამზე, რომელიც სტალინმა კრემლში გაუმართა სარდლებს. ვახშმის შემდეგ კონცერტზე მიწვეულ სტუმრებს მიესალმნენ ხელოვნების მუშაკები, მწერლები, პოეტები. როცა სცენაზე ანა ახმატოვა გამოვიდა, იქუხა ტაშმა და მთელი დარბაზი თხუთმეტი წუთის განმავლობაში ფეხზე ამდგარი ოვაციებს არ იშურებდა რუსული პოეზიის დედისადმი. ასეთი ტაში მხოლოდ ერთ კაცს რგებია ამ დარბაზში, მეორე ახმატოვაა, — წერს თვითმხილველი.

**ახმატოვას ბედი თითქოს ცაში იყო გადაწყვეტილი, სტალინმა იგი ფერფლიდან აღადგინა. ახმატოვა ბლოკადაში მოქცეული ალმოდებული ლენინგრადიდან სწორედ სტალინის უშუალო ბრძანებით გადაიყვანეს კუიბიშევში. პოეტის ლექსები რეგულარულად იბეჭდებოდა ჟურნალ- გაზეთებში, გამოსცემდნენ წიგნებს, რომელშიც ასახული იყო პოეტის ფიქრები წარსულსა და მომავალზე. და სწორედ ამ დროს აბაკუმოვმა სტალინთან შეიტანა პატაკი ანა ახმატოვას დაპატიმრებაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით.**

სტალინი გულდასმით გაეცნო პატაკს, გაარკვია, რომ რამდენიმე დღის წინათ ანა ახმატოვა თავის ბინაში შეხვდა ცნობილ ინგლისელ ლიტერატორსა და ფილოსოფოს ისაია ბერლინს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. სტალინმა სცადა პოეტისათვის ბრალდების შემსუბუქება, მაგრამ მას მოასმენინეს ანა ახმატოვას ბინაში დამონტაჟებული მოსასმენი მოწყობილობის ჩანაწერი. საქმეს ართულებდა ის, რომ პა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლები, მაგინებელნი თუ მაქებარნი სტალინისა, თავიანთ ადგილს ლიტერატურაში თუ საზოგადოებაში იმკვიდრებენ იმით, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, დაკავშირებული იყვნენ სტალინთან.

ტაკში მოყვანილი იყო ჯაშუშობისთვის ხელმეორედ დაპატიმრებული პოეტის შვილის ჩვენება, რომელიც დედას თანამონაწილეობაში ამხელდა. ყველაფრის მიუხედავად, ანა ახმატოვასთვის ხელი არავის უხლია.

**ანტისტალინური კამპანიის მიმდინარეობისას ხრუშჩოვის მცდელობა, ანა ახმატოვა სტალინის წინააღმდეგ გამოსულიყო, უშედეგოდ დამთავრდა. პოეტმა უცხოურ პრესას განუცხადა, რომ მის მიმართ სტალინი მართალი იყო.**

ხალხისადმი საბჭოთა მთავრობის მიმართვის ხელმოწერაზე, რომელსაც საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლებიც აწერდნენ ხელს, ბორის პასტერნაკმა სასტიკი უარი განაცხადა. ეს ამბავი სასწრაფოდ სტალინს მოახსენეს და პოეტის დასჯა მოითხოვეს. სტალინმა კატეგორიულად არ მიიღო წინადადება და პასტერნაკის დასჯის მომხრენი მკაცრად გააფრთხილა: „თავი დაანებეთ ცის ბინადარს!“. პასტერნაკი თავისი ხასიათიდან გამომდინარე ხშირად იცვლიდა თვალსაზრისს: ხან თავგამოდებული სტალინისტი იყო, ხან — მოწინააღმდეგე. სტალინი ამას ჩვეულებრივ მოვლენად იღებდა და პასტერნაკისადმი პატივისცემა არასოდეს განელებია. პოეტს ხშირად უთქვამს სიამაყით: სტალინისათვის მე ბევრი რამ მითხოვია, მას კი ჩემს თხოვნაზე უარი არასოდეს უთქვამს. არც შექება დაუკლია სტალინისთვის, მას „ქრისტიანობამდელ გიგანტს“ უწოდებდა.

**1925 წელს სტალინმა პასტერნაკი, ესენინი და მაიაკოვსკი კრემლში მიიღო და დიდხანს ესაუბრა; სთხოვა მათ, უფრო მჭიდრო მეგობრობა დაემყარებინათ ქართველ მწერლებთან და დაეწყოთ ქართული ლიტერატურის თარგმანა რუსულ და ევროპულ ენებზე.**

ქართველი ხალხისადმი და ქართული ლიტერატურისადმი სიყვარული თითოეულმა მათგანმა სიკვდილამდე გულით ატარა და დიდი შრომაც გასწია ქართული სიტყვის პოპულარიზაციისთვის მსოფლიოში. ორი უდიდესი პოეტის ტრაგიგული დაღუპვის შემდეგ პასტერნაკმა იტვირთა სტალინის დავალების შესრულება. ის სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ქართველ ხალხს და ქართველ მეგობრებს.

**მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლები, მაგინებელნი თუ მაქებარნი სტალინისა, თავიანთ ადგილს ლიტერატურაში თუ საზოგადოებაში იმკვიდრებენ იმით, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, დაკავშირებული იყვნენ სტალინთან. მაგალითად, დიმიტრი ვოლკოგონოვი ვერაფრით შერჩება ვერც სამხედრო-ისტორიულ და ვერც მხატვრულ ლიტერატურას, თუ მის გვერდით ავად თუ კარგად მოხსენიებული არ იქნება სტალინი. არც იუდას სახელი შემორჩებოდა საქრისტიანოს, ქრისტე რომ არ გაეცა.**

## რატომ დაიცვა სტალინმა მანდელშტამი

ოსიპ მანდელშტამის პოპულარობა განპირობებულია იმით, რომ მან პოეტისთვის შეუფერებელი უხამსი ლექსი დაწერა სტალინზე. ბელადზე ასე აშკარა გალაშქრება იმას ნიშნავდა, რომ მას ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა ხელისუფლებისა და საბჭოთა წყობის მიმართ. პოეტი მანდელშტამი დააპატიმრეს, რაც, რა თქმა უნდა, სტალინმაც შეიტყო. პატაკს მან ასეთი რეზოლუცია დაადო: „მოაქციეთ იზოლაციაში. დაიცავით“. მანდელშტამს მეუღლეც გაჰყვა გადასახლებაში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქალმა სტალინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც თხოვდა, დედაქალაქთან უფრო ახლოს გადმოესახლებინათ. ეს თხოვნა სტალინმა დაუყონებლივ დააკმაყოფილა. სამი წლის შემდეგ მანდელშტამი თავის მეუღლესთან ერთად ჩვეულებრივად განაგრძობდა როგორც ცხოვრებას, ასევე ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, რომლისთვისაც საბჭოთა ორგანოებმა კიდევ ერთხელ დააპატიმრეს. მას ხანგრძლივი პატიმრობა ელოდა. სტალინის მხედველობიდან არ გამორჩენია მანდელშტამის ბედი, მაგრამ მისი ხელმეორედ დაცვა, ალბათ, მიზანშეუწონლად ჩათვალა და სხვა ხერხს მიმართა — შეეცადა, შეექმნა საზოგადოებრივი აზრი მანდელშტამის მიმართ და მის დამცველად საზოგადოება გამოეყვანა. სტალინი, პირველ რიგში, მწერალთა კავშირს დაუკავშირდა.



ალექსანდრე კორნეიჩუკი



ანა ახმატოვა



პაოლო იაშვილი

**1925 წელს სტალინმა პასტერნაკი, ესენინი და მაიაკოვსკი კრემლში მიიღო და დიდხანს ესაუბრა; სთხოვა მათ, უფრო მჭიდრო მეგობრობა დაემყარებინათ ქართველ მწერლებთან და დაეწყოთ ქართული ლიტერატურის თარგმნა რუსულ და ევროპულ ენებზე. ქართველი ხალხისადმი და ქართული ლიტერატურისადმი სიყვარული თითოეულმა მათგანმა სიკვდილამდე გულით ატარა და დიდი შრომაც გასწია ქართული სიტყვის პოპულარიზაციისთვის მსოფლიოში. ორი უდიდესი პოეტის ტრაგიგული დაღუპვის შემდეგ პასტერნაკმა იტვირთა სტალინის დავალების შესრულება. ის სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ქართველ ხალხს და ქართველ მეგობრებს**

— გამარჯობათ, ამხანაგო თავმჯდომარევ, იცით თუ არა, რომ დაიჭირეს თქვენი კავშირის წევრი, პოეტი მანდელშტამი?

— ვიცით, ამხანაგო სტალინ, მაგრამ იგი ჩვენი წევრი თავისი იდეოლოგიითა და შეხედულებით არასოდეს ყოფილა. მთავრობამ ჩვენზე უკეთ იცის თავისი საქმე.

— ჩვენ მწერალთა კავშირი იმიტომ შევქმენით, რომ მწერლები დაეცვა მთავრობისგან, ახლა ისე გამოდის, მთავრობამ უნდა დაიცვას წევრები მწერალთა კავშირისგან?! — უკმაყოფილო სტალინმა ყურმილი დაკიდა.

ამის შემდეგ სტალინმა პასტერნაკთან დარეკა:

— გამარჯობათ, ამხანაგო პასტერნაკ! რას იტყვით მანდელშტამზე, რომელიც ცოტა ხნის წინათ დააპატიმრეს?

— ვერაფერს, ახლოს არ ვიცნობ, ის სხვა მიმართულებისაა, მე კი — სხვა.

— კი, მაგრამ, ის ხომ ოსტატია, ოსტატი?!

— თუ ლიტერატურასა და ისტორიაზე გსურთ ლაპარაკი, გეახლებით და ადგილზე ვისაუბროთ.

— ჩემს მეგობარს რომ უჭირდეს, კედელს გავიტანდი, ჩვენ, ბოლშევიკები ასე არ ვმეგობრობდით ერთმანეთთან, — თქვა გაბრაზებულმა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

სტალინის საუბარი პასტერნაკთან ელვის სისწრაფით მოედო მთელ მოსკოვს. მწერალმა და მკვლევარმა **ბენედიქტ სარნოვმა** ამ მოკლე საუბრის ცამეტი ვერსია შეისწავლა და გამოაქვეყნა ახლახან გამოცემულ მრავალტომეულში „სტალინი და მწერლები“. **სტალინი არა მხოლოდ მისი პერიოდის, არამედ თანამედროვე მწერლებისთვისაც ის სასიცოცხლო მუხტია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს თანამედროვე მსოფლიოს მწერალთა უძრაობის ეპოქა.**



**სტალინი არამხოლოდ მისი პერიოდის, არამედ თანამედროვე მწერლებისთვისაც ის სასიცოცხლო მუხტია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს თანამედროვე მსოფლიოს მწერალთა უძრაობის ეპოქა**

აქვე მოვიყვან ბელადის არცთუ მოყვარული კაცის, მწერალ ბორის ილიზაროვის გამონათქვამს სტალინზე: **„სტალინი ძალიან ბევრს კითხულობდა და წაკითხულს უამრავ კომენტარს უკეთებდა. კითხულობდა არა მხოლოდ ისე, როგორც უმაღლესი სახელმწიფო და პარტიული მაღალჩინოსანი კითხულობს დოკუმენტს, არამედ კითხულობდა, როგორც მთავარი რედაქტორი და უზარმაზარი სახელმწიფოს მთავარი პოლიტიკური და სულიერი ცენზორი. კითხულობდა, აგრეთვე, როგორც ჩვეულებრივი და, ამასთანავე, მგზნებარე ადამიანი, რომელიც იქვე ახდენს წიგნის, სტატიის, სახელმძღვანელოს, რომანის თუ კინოსცენარის ხელნაწერის კომენტირებას.** აი, ეს არის თუმცა კი მცირე, მაგრამ მაინც ხელჩასაჭიდი მასალა, რომელიც შეიძლება სტალინის სულში შეღწევაში დაგვეხმაროს“.

## კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“

სტალინი ნამდვილად რომ გულისყურით კითხულობდა, ასწორებდა და კომენტარებს უკეთებდა ნაწარმოებებს, ამის ნათელი მაგალითია ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“.

1941 წელი, სამამულო ომის დაწყების წელი, დიდი ტრაგედიითა და წარუმატებლობით აღინიშნა. დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები და გათვლები. ომის წარმოება ევროპის უპირველეს არმიასთან სამოქალაქო ომის მოძველებული ხერხებითა და მეთოდებით შეუძლებელი ჩანდა. სწორედ ეს მძიმე პერიოდი აღწერა კორნეიჩუკმა პიესა „ფრონტში“, რომელიც ხელნაწერის სახით კონსპირაციულად გადასცა სტალინს. ერთგული კაცის თვალით დანახული ფრონტული სურათები, სტალინისთვის ერთობ ნაცნობი და ახლობელი იყო. მან ხელნაწერი წაკითხვისთანავე სრულიად საიდუმლოდ გადაუგზავნა გაზეთ „პრავდას“ მითითებით: მეორე დღესვე დაეწყოთ პიესა „ფრონტის“ დაბეჭდვა გაზეთის ფურცლებზე. 1942 წლის 24-27 აგვისტოს 4 ნომერში პიესა „ფრონტი“ სრულად დაიბეჭდა.

1942 წლის 28 აგვისტოს პრესის გამოქვეყნებისთანავე ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდალმა, მარშალმა ტიმოშენკომ სტალინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღშფოთებული წერდა:

„ამხ. კოლნეიჩუკის პრესაში გამოქვეყნებული პიესა „ფრონტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ეს პიესა დიდ ზიანს მოგვაყენებს, ის უნდა აიკრძალოს, ავტორი პასუხისგებაში უნდა მიეცეს, ამასთან დაკავშირებით დამნაშავეები უნდა გამოირკვნენ. მარშალი ტიმოშენკო“.

იმავე დღესვე სტალინმა დეპეშითვე უპასუხა მარშალ ტიმოშენკოს.

„მივიღე თქვენი დეპეშა კორნეიჩუკის პიესა „ფრონტის“ შესახებ. მის შეფასებაში სწორი არ ხართ. პიესას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა არმიისა და მისი მეთაურთა შემადგენლობისთვის, პიესა სწორად აღნიშნავს წითელი არმიის ნაკლოვანებებს და სწორი არ იქნება ამ ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვა. ვაჟკაცობა უნდა გვეყოს, ნაკლოვანებების ასაღიარებლად და მათი გამოსწორებისთვის ზომების მისაღებად. ესაა წითელი არმიის გაუმჯობესებისა და სრულყოფის ერთადერთი გზა“.

1942 წლის 1 სექტემბერს სტალინმა ტიმოშენკოსგან მიღებული დეპეშის ასლს დააწერა: „ამხ. კორნეიჩუკს. გიგზავნით ცნობისათვის ამხ. ტიმოშენკოს დეპეშას და ჩემს პასუხს. ტიმოშენკოს დეპეშის სტილი მთლიანად შენარჩუნებულია. ი. სტალინი“. 3 სექტემბერს კი კორნეიჩუკმა საპასუხო წერილით სტალინს გულითადი მადლობა გადაუხადა.

სტალინის თხოვნით, პიესა „ფრონტის“ საფუძველზე, კინორეჟისორებმა სერგეი და გიორგი ვასილიევებმა 1943 წელს ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღეს, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია წითელ არმიას პირველხარისხოვან არმიად ჩამოყალიბების საქმეში.

## მილიონერი მწერლები

ერთხელ ფინანსთა მინისტრი ზვერევი სტალინს ეახლა და დიდი მწუხარებით აუწყა, რომ საბჭოთა კავშირში გაჩნდნენ მილიონერი მწერლები. სტალინმა თავისი ისტორიული ჩიბუხით ხელში ნელი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა კაბინეტში და თავის აუწევლად მინისტრის წინ გაჩერდა.

— მაინც რამდენი იქნებიან ისინი, ამხანაგო ზვერევ?

— შვიდს ან რვას არ გადააჭარბებს ამხანაგო სტალინ.

სტალინი ჩაფიქრებული ბოლთას სცემდა, შემდეგ კვლავ მინისტრის წინ გაჩერდა, ცივად თვალებში ჩააცქერდა და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უთხრა:

— სამწუხაროა... სამწუხაროა... ასე ცოტა გვყავს მილიონერი მწერლები?!

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკულ მედიას ამერიკელებიც აღარ ენდობიან

**დღეს ამერიკელები ტელევიზიასა და ბეჭდურ მედიას თითქმის არ ენდობიან.** გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბოლო ათწლეულში ამერიკელთა ნდობა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ განუხრელად მცირდებოდა. **დღეს აშშ-ის ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ მეხუთედი თუ ენდობა ძირითად მედიასაშუალებებს. 22 პროცენტი ენდობა გაზეთებს, 19 — ინტერნეტგამოცემებს, 18 — კი ტელეარხებს.** ამრიგად, ნდობა ბეჭდური მედიის მიმართ, 1979 წელთან შედარებით, 29 პროცენტით შემცირდა, ინტერნეტის მიმართ კი მხოლოდ — 2 პროცენტით. ეს ციფრები ძალიან დამთრგუნველი უნდა იყოს ძირითადი მასობრივი მედიასაშუალებებისთვის, რადგან მათ მიმართ ნდობის დაკარგვა საზოგადოების აზრზე გავლენის შემცირებასაც ნიშნავს. სპეციალისტთა ვარაუდით, თუ ასე გაგრძელდა, ინტერნეტი მედიის მთავარი კომპონენტი გახდება.





## ზიმბაბვეს პრეზიდენტმა მოსახლეობას მოუწოდა, თავი შეიკავოს თეთრკანიანი ფერმერებისთვის მიწის გადაცემაზე

**საქართველოს ხელისუფლებამ მორატორიუმი გააუქმა უცხოელებისთვის მიწების მიყიდვაზე, აფრიკაში კი ზიმბაბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ შავკანიან გლეხებს მოუწოდა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იჯარითაც არ გადასცენ ყოფილ მფლობელებს — თეთრკანიან ფერმერებს.**

„მაღიზიანებს ის, რომ მკვიდრი მოსახლეობა იჯარით გასცემს მიწას იმ თეთრკანიან ფერმერებზე, რომლებსაც ეს მიწა წაერთვათ. თუ ისინი ფიქრობენ, რომ მიწის ნაკვეთები კვირაობით პიკნიკის მოსაწყობად გადაეცათ, ადრე თუ გვიან ამ ნაკვეთებს დაკარგავენ", — განაცხადა ზიმბაბვეს პირველმა პირმა ქვეყნის დედაქალაქ ჰარარეში სიტყვით გამოსვლისას.

პრეზიდენტის თქმით, ზიმბაბვეს თეთრკანიან მოქალაქეებს უფლება აქვთ, კომპანიები და საქალაქო ქონება ჰქონდეთ, მაგრამ მიწა აფრიკის მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის.

ზიმბაბვეში თეთრკანიანი ფერმერებისთვის მიწის ჩამორთმევა 2000 წელს დაიწყეს, როდესაც კოლონიანიზმის გადმონაშთის ლიკვიდაციის მიზნით, ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო კანონი თეთრკანიანი ფერმერების ქონების შავკანიანი მოსახლეობისთვის გადაცემის შესახებ. 6 ათასი თეთრკანიანი ფერმერისთვის მიწის ჩამორთმევისა და 245 ათასი შავკანიანი ზიმბაბველისთვის გადაცემის შემდეგ ქვეყანას შიმშილის საფრთხე დაემუქრა, რადგან, მიწის ახალი მფლობელების გამოუცდელობის გამო, სურსათ-სანოვაგის კრიზისი დაიწყო.



## ბრიტანული ტაბლოიდის ყოფილი რედაქტორი უკანონო მოსმენების გამო ციხეში ჩასვეს

**ბრიტანული ტაბლოიდის — News of the World-ის ყოფილ მთავარ რედაქტორს — ენდი კოულსონს 18 თვით პატიმრობა მიუსაჯეს დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომების სატელეფონო საუბრების არალეგალური მოსმენის გამო. კიდევ სამი ჟურნალისტი და კერძო დეტექტივი გლენ მალკერი ციხეში რამდენიმე თვეს გაატარებენ.** წარსულში კოულსონი დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ დევიდ კემერონის მრჩეველი იყო კომუნიკაციების საკითხებში. სკანდალის გამო, რომელმაც ბრიტანელთა გულისწყრომა გამოიწვია, ტაბლოიდმა News of the World-მა არსებობა შეწყვიტა.





## ბრიტანულმა მედიამ უკრაინის არმიის მოქმედება ფაშისტების მოქმედებას შეადარა





**ნაღმტყორცნებიდან დაბომბვის შემდეგ აღმოსავლეთი უკრაინის მოსახლეობა იძულებულია, სასწრაფოდ დატოვოს ცეცხლმოკიდებული სახლები, რაც ჰგავს მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ ფრონტზე შექმნილ სიტუაციას, როდესაც შენობა-ნაგებობები ცეცხლის ალში იყო გახვეული, მიწა კი — ყუმბარების დაცემის შედეგად გაჩენილი ორმოებით დაფარული.**

„ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 10-დღიანი შეთანხმების დასრულების შემდეგ, ლუგანსკის ნგრევა კიევსა და მოსკოვს შორის სამხედრო დაძაბულობის ესკალაციაზე მეტყველებს. ფოტოები, რომლებზეც ასახული ვითარება ძალიან ჰგავს 70 წლის წინათ ჰიტლერელთა მიერ საბჭოთა კავშირში დატოვებულ კვალს, საგანგაშო ნიშანია იმისა, როგორ შეიძლება განვითარდეს კონფლიქტი", — წერს „დეილი მეილი" (Daily Mail).

გამოცემა აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს სტრატეგიას, რომელსაც გერმანელები 1941 წელს იყენებდნენ ოპერაცია „ბარბაროსას" მიმდინარეობისას აღმოსავლეთ ფრონტზე სამხედრო კამპანიის დასაწყებად. ფაშისტებმა საბჭოთა მოსახლეობა ჯერ ჰაერიდან დაბომბეს „ლიუფტვაფეს" თვითმფრინავებით, შემდეგ კი სახმელეთო ჯარებით შეუტიეს. იმდროინდელ ფოტოებზე შეიძლება ნახოთ ცეცხლის ალში გახვეული შენობა-ნაგებობები.

აღმოსავლეთ უკრაინაში მომხდარის თვითმხილველთა თქმით, უკრაინის სამთავრობო არმია სასტიკად ეპყრობა არა მხოლოდ სახალხო ლაშქრის წარმომადგენლებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც.

„ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკრაინის სამხედრო ქვედანაყოფებში რადიკალურად განწყობილი „მემარჯვენე სექტორის" უამრავი წარმომადგენელია. უკრაინის არმიის ბატალიონებმა — „დნეპრმა", „უკრაინამ", „აზოვმა" სახელი აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციებით გაითქვეს. „აზოვისა" და „უკრაინის" შემქმნელის, უკრაინის პარლამენტის წევრ ოლეგ ლიაშკოს თქმით, ამ ბატალიონების მებრძოლთა ნახევარი ყოფილი პატიმარია, ნახევარი — უკრაინის ულტრანაციონალური ორგანიზაციების წევრი. ბატალიონ „აზოვის" წევრები ფრონტის ხაზზე გასვლის წინ განსაკუთრებულ ლოცვას წარმოთქვამენ: ღმერთისა და წმინდანების ნაცვლად ისინი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უკრაინის პროფაშისტური მოძრაობის ლიდერების — სტეპან ბანდერასა და რომან შუხევიჩის სახელებს წარმოთქვამენ. სწორედ ბანდერა და შუხევიჩი იყვნენ დასავლეთ უკრაინაში პოლონელი და ებრაელი მოსახლეობის განადგურების მოთავენი 1940-იან წლებში", — წერს ინტერნეტპორტალი Counterpunch-ი.

პორტალი აღნიშნავს, რომ **თითქმის ყველა საპარლამენტო პარტია: ვიტალი კლიჩკოს „უდარი"; იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინა" და ოლეგ ტიაგნიბოკის „სვობოდა" ემხრობიან თვალსაზრისს, რომ მეორე მსოფლიო ომში ბანდერასა და შუხევიჩის სამხედრო ქვედანაყოფები უკრაინის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ.**

„ამ ადამიანებმა უნდა მართონ უკრაინა მომავალი 5 წლის განმავლობაში, უკრაინელი საზოგადოება კი უკვე გაიხლიჩა. ოფიციალურმა კიევმა პროპაგანდისტული მანიპულაციების წყალობით მოიპოვა მოქალაქეთა ნაწილის სიმპათია, მაგრამ სხვა მოქალაქეებს არ სურთ ამასთან შეგუება. მთავრობამ იცის მოსახლეობაში ღრმა განხეთქილების შესახებ. საზოგადოების გაერთიანების ერთადერთი მეთოდი კი არის მტრის ხატის შექმნა. კიევი უზარმაზარ რესურსს ხარჯავს უკრაინელთა შორის ანტირუსული ისტერიის გასაღვივებლად. ამით ის მოქალაქეების ყურადღების გადატანას ცდილობს მომავალი ეკონომიკური კატასტროფიდან", — წერს Counterpunch-ი.





**«ფოტოები, რომლებზეც ასახული ვითარება ძალიან ჰგავს 70 წლის წინათ ჰიტლერელთა მიერ საბჭოთა კავშირში დატოვებულ კვალს, საგანგაშო ნიშანია იმისა, როგორ შეიძლება განვითარდეს კონფლიქტი»**



## ბრიტანეთის ხაზინის კანცლერი მოსწავლის შეკითხვამ ჩიხში მოაქცია

**ბრიტანეთის ხაზინის კანცლერმა ჯორჯ ოსბორნმა თავი აარიდა შეკითხვას არითმეტიკიდან, რომელიც მას სატელევიზიო შოუს მიმდინარეობისას სკოლის მოსწავლემ დაუსვა.** ტელეარხ Sky News-ის ეთერში შოუს მიმდინარეობისას 7 წლის სემ რედინგსმა ბრიტანელ სახელმწიფო მოხელეს ჰკითხა, რა ნიშნები ჰყავდა მათემატიკაში სკოლაში სწავლისას. ოსბორნმა წაიტრაბახა, რომ გამოცდაზე უმაღლესი ქულა დაიმსახურა, რის შემდეგაც ბიჭმა მყისვე ჰკითხა: „რამდენია 7-ჯერ 8?“, „წესად მაქვს, არ ვუპასუხო კითხვებს მათემატიკიდან“, — განუცხადა ოსბორნმა ბიჭს. ჯორჯ ოსბორნმა დიდი ბრიტანეთის ხაზინის კანცლერის პოსტი დაიკავა 2010 წელს, როდესაც პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი გახდა. ზუსტ მეცნიერებებში ოსბორნის წარმატებების შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან მან ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა სპეციალობით „ახალი და უახლესი ისტორია“.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აღმოსავლეთ უკრაინის დამორჩილების გეგმა ამერიკელებმა შეიმუშავეს

**ინტერნეტგამოცემა Before It's News-მა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელსაც ადევს გრიფი „კონფიდენციალურად“. ეს დოკუმენტი მომზადებულია აშშ-ის სტრატეგიული კვლევების ცენტრ RAND Corporation-ში და მასში მოცემულია სცენარი, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს უკრაინის ხელისუფლებამ „სამშვიდობო გეგმის“ ჩავარდნის შემთხვევაში.**



დოკუმენტში ჩამოთვლილია სამი სტადია, რომლებიც უნდა გაიაროს სამხედრო ოპერაციამ უკრაინაში.

**პირველ ეტაპზე** შემოღებული უნდა იქნას სამხედრო მდგომარეობა; რეგიონები, რომლებიც კიევს არ დაემორჩილებიან, უნდა დაიბლოკოს; ამ რეგიონებში შესვლა-გამოსვლა ან ნებისმიერი ტვირთის შეტანა აიკრძალოს; უნდა შეწყდეს ტელემაუწყებლობა, გაითიშოს ინტერნეტი, მობილური და სტაციონარული სატელეფონო კავშირები. 20-დან 6 საათამდე დაწესდეს კომენდანტის საათი;

უცხოური მედიის წარმომადგენლებისთვის დაწესდეს რეგიონში ყოფნის სპეციალური წესები.

**დოკუმენტში ნათქვამია, რომ ოპერაციის მიმდინარეობისას უნდა განადგურდეს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოების უმრავლესობა. ეს დახასიათებულია, როგორც დადებითი მოვლენა:** დოკუმენტის ავტორთა აზრით, ქვანახშირის მრეწველობის დოტაციაზე ყოფნა უკრაინის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება, დონბასის სამრეწველო ობიექტების დახურვით კი შესაძლებელი იქნება ბუნებრივი აირის მოხმარების შემცირება, შესაბამისად, რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებაც.

აღნიშნულია, რომ ოპერაციის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება რინატ ახმეტოვის ეკონომიკური და პოლიტიკური ჯგუფის პოზიციები.

დოკუმენტის ავტორები ამბობენ, რომ მოსახლეობას უნდა აუხსნან, რომ ეკონომიკური და სოციალური გაჭირვება გამოწვეულია სამხედრო ოპერაციით, რომლის თავიდან აცილება „ტერორისტების მოქმედების“ გამო ვერ მოხერხდა.

**მეორე ეტაპი** რეგიონების წმენდას ითვალისწინებს. მეომრების ალყა უნდა შევიწროვდეს, განხორციელდეს ავიადარტყმები სტრატეგიულ ობიექტებსა და სამხედრო შენაერთებზე. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ პირად შემადგენლობაში დანაკარგების შესამცირებლად არ უნდა გამოირიცხოს აკრძალული იარაღის გამოყენება.

შემდეგ დეტალურად არის აღწერილი, როგორ უნდა გათავისუფლდეს დასახლებული პუნქტები: თავდაპირველად ქალაქებში უნდა შევიდეს ჯავშანტექნიკა, ხოლო ყველა შეიარაღებული ადამიანი უნდა განადგურდეს. მამაკაცები უნდა გადაიყვანონ ე.წ. გასაფილტრ ბანაკებში, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დაიხვრიტონ.

**ადამიანები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან საომარ მოქმედებებში მონაწილეობაში, უნდა გასამართლდნენ სეპარატიზმისა და ტერორიზმის ბრალდებით.**

**მესამე ეტაპზე** გათვალისწინებულია რეგიონებში „ნორმალური“ ცხოვრების აღდგენა. საყოფაცხოვრებო პირობების აღდგენასთან ერთად უნდა გამაგრდეს საზღვარი რუსეთთან და მოეწყოს საკონტროლო-გამშვები პუნქტები. **18-დან 60 წლამდე მამაკაცები უნდა შემოწმდნენ გასაფილტრ ბანაკებში. „ლუგანსკისა და დონეცკის მსჯავრდებულ და გასახლებულ მოქალაქეებს უნდა ჩამოერთვათ ქონება ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეებისთვის გადასაცემად“,** — ნათქვამია დოკუმენტში.



ხაზგასმით აღნიშნულია, რომ რეგიონში სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას უცხოური მასმედიის წარმომადგენელთა მუშაობა უნდა გამოირიცხოს, ამასთანავე, დაიწყოს მასობრივი პროპაგანდისტული კამპანია ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეთა გმირობის თაობაზე.

თუკი სამხედრო ოპერაცია 2014 წლის 1 სექტემბრამდე დასრულდება, მიზანშეწონილია, რომ სამხედრო მდგომარეობა 2015 წლის 1 იანვრამდე არ გაუქმდეს.

**ცნობისთვის:**

**კორპორაცია RAND (Research and Development — „გამოკვლევა და განვითარება“) 1948 წელს დაარსდა და თავდაპირველად თვითმფრინავებისა და რაკეტების საკონსტრუქტორო ცენტრი იყო. 1950-იანი წლებიდან კი აშშ-ის სამთავრობო ორგანიზაციების შეკვეთებზე გადაერთო. RAND ნაციონალური უსაფრთხოების სფეროს იკვლევს. ამ ორგანიზაციას 2011 წლიდან ხელმძღვანელობს მაიკლ რიჩი.**

მომზადებულია dnr-news.com-ის მიხედვით


Confidential
MEMORANDUM
On the advisable course of action in case the peace plan fails

The Presumable Stages of a Military Operation

Stage One: Total isolation of the rebel region

Stage Two: Mop-up


Stage 3. Back to Normal

Note: If the active stage of the anti-terrorist operation ends no later than September 1, 2014, martial law shall be lifted no earlier than January 1, 2015.

**«ადამიანები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან საომარ მოქმედებებში მონაწილეობაში, უნდა გასამართლდნენ სეპარატიზმისა და ტერორიზმის ბრალდებით. 18-დან 60 წლამდე მამაკაცები უნდა შემოწმდნენ გასაფილტრ ბანაკებში. ლუგანსკისა და დონეცკის მსჯავრდებულ და გასახლებულ მოქალაქეებს უნდა ჩამოერთვათ ქონება ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეებისთვის გადასაცემად»**



## ტომას დრეიკი: გერმანიის დაზვერვა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დანამატი გახდა

**აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (ეუს) ყოფილმა თანამშრომელმა ტომას დრეიკმა განაცხადა, რომ გამორიცხულია, გერმანიის ფედერალურ სადაზვერვო სამსახურს არ სცოდნოდა მოქალაქეთა მასობრივი თვალთვალის შესახებ.**

**„გერმანიის საგარეო დაზვერვის სამსახური (BND) ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან, რომ მის დანამატად იქცა, რითაც დარღვეულია გერმანიის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია“,** — განუცხადა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა თომას დრეიკმა გერმანულ ჟურნალ „ფოკუსს“.

აშშ-ისა და გერმანიის ურთიერთობა შარშან გაუარესდა, როდესაც აშშ-ის სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა გამოაქვეყნა დოკუმენტები ეუს-ის მიერ გერმანიის ტერიტორიაზე ელექტრონული ჯაშუშობის შესახებ. დოკუმენტების მიხედვით, ეუს-ი არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეების, არამედ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის სატელეფონო საუბრებსაც უსმენდა. გერმანიამ აშშ-ისგან მოითხოვა, გაეფორმებინათ ხელშეკრულება, რომ აშშ უარს იტყოდა გერმანიაში ჯაშუშურ საქმიანობაზე, მაგრამ უარი მიიღო.

ტომას დრეიკი, რომელიც ამერიკულ სპეცსამსახურში 2001-2008 წლებში მუშაობდა, ბუნდესტაგის სპეციალური კომისიის სხდომაზე, სადაც გერმანიის ტერიტორიაზე ეუს-ის ჯაშუშური საქმიანობის საკითხი განიხილებოდა, მოწმედ წარდგა. როგორც მან გერმანელ დეპუტატებს განუცხადა, **გერმანიისა და აშშ-ის სპეცსამსახურების მჭიდრო ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, გერმანიის საგარეო დაზვერვას არ სცოდნოდა, რომ აშშ-ის სპეცსამსახური გერმანიის მოქალაქეებს მასობრივად უსმენდა და უთვალთვალებდა.** მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ გერმანული სპეცსამსახური აქტიურად ამარაგებს აშშ-ს სადაზვერვო მონაცემებით, რომლებსაც შემდეგ ამერიკელები უპილოტო თვითმფრინავებიდან დარტყმისთვის იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.



მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიაბეტის გავრცელებას ეპიდემიის სახე აქვს მრავალ ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზთა შორის დიაბეტი მეოთხე-მეხუთე ადგილზეა.**

# «ტკბილი დაავადება» მძიმე შედეგებით

**ჩვენი სამედიცინო გვერდის დღევანდელი სტუმრის წოდებების ოდენობა საკმარზე მეტია, მაგრამ ღირს ჩამოთვლად: საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ენდოკრინოლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, შპს „დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრის“ დირექტორი. მთელი ამ ტიტულატურის მატარებელია ბატონი დავით მეტრეველი. ასეთ პიროვნებასთან ინტერვიუზე მოუმზადებელი ვერ მიხვალ. ვიწყებ:**



**აშკარა ფორმის შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე ადამიანებთან ერთად საკმაოდ ბევრია დიაბეტით ავადმყოფ ისეთ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც არ იციან, რომ აქვთ შაქრიანი დიაბეტი. ასეთ დროს საქმე გვაქვს «ფარულად» მიმდინარე დიაბეტთან**

**— ბატონო დავით, თქვენთან მოსვლის წინ პოპულარული სამედიცინო ლიტერატურიდან ამოვიკითხე, რომ შაქრიანი დიაბეტი მიეკუთვნება ენდოკრინოგენულ დაავადებათა ჯგუფს, რომლებიც ვითარდება ინსულინის ჰორმონის აბსოლუტური ან შედარებითი უკმარისობის შემთხვევაში, რის შედეგადაც ვითარდება ჰიპერგლიკემია — სისხლში გლუკოზის შემადგენლობის მდგრადი ზრდა. მიჩნეულია, რომ ეს დაავადება მიმდინარეობს ქრონიკულად და იწვევს ნივთიერებათა ცვლის ყველა სახის დარღვევას.**

**სწორად ვლაპარაკობ?**

***(ეღიმება, თავს მიქნევს და იწყებს საინტერესო საუბარს, რომლის შინაარს კი გადმოგცემთ, მაგრამ იმ ემოციურ მუხტს, რომლითაც ეს ლექცია იყო გამსჭვალული, მაპატიეთ, ვერა, ვერ შევძლებ. სამწუხაროა, რადგან ამით ამ ინტერვიუს განუმეორებელი ხიბლი აკლდება).***

— სწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, — **იწყებს ბატონი დავითი,** — რომ შაქრიანი დიაბეტი იწვევს დარღვევას. იმ მდგომარეობას, როცა ეს დარღვევაა, ეწოდება შაქრიანი დიაბეტი, ანუ შაქრიანი დიაბეტი არის ნივთიერებათა ცვლის დარღვევით მიმდინარე ავადმყოფობათა ჯგუფი, რომელთა საერთო დამახასიათებელი თვისებაა სისხლში გლუკოზის დოზის ქრონიკული სიჭარბე, მომატება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ან ინსულინის აბსოლუტური დეფიციტით (ასეთია, მაგალითად, ე. წ. პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი), ან ინსულინის ბიოლოგიური ეფექტიანობის შემცირებით, სხვანაირად რომ ვთქვათ, ორგანიზმის მგრძნობელობის დაქვეითებით ინსულინის მიმართ. ასეთია ე. წ. მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი. ამ დროს ორგანიზმი კი გამოიმუშავებს ინსულინს, მაგრამ კუნთოვანი და ცხიმოვანი ქსოვილები, აგრეთვე, ღვიძლი საკმარისად ეფექტიანად არ რეაგირებს ამ ინსულინზე და პანკრეასი, ანუ კუჭუკანა ჯირკვალი იძულებულია უფრო მეტი გამოყოს ინსულინი ნორმალური ეფექტის მოსახდენად.

უფრო გასაგები რომ იყოს, ასეთ შედარებას (შეიძლება, უხეშს) გავაკეთებ: მე თუ სმენა მაქვს დაქვეითებული, ჩემთან მოსაუბრე იძულებულია, ხმას აუწიოს, უფრო ხმამაღლა მელაპარაკოს, რათა გამაგებინოს ის, რისი გაგებინებაც სურს. თუ კიდევ უფრო დამიქვეითდება სმენა, იგი იძულებული იქნება ხმას კიდევ უფრო უწიოს. დაბოლოს (თუ უფრო დავყუვდები), ასეთ დიდ დაძაბვას რომ ვეღარ შეძლებს, შეიძლება ხმა ჩაუწყდება ხმის იოგების დაძაბვის გამო.

დაახლოებით ასეთი რამ ხდება იმ დროს, როცა ორგანიზმს დაქვეითებული აქვს მგრძნობელობა ინსულინის მიმართ და ამის საპასუხოდ, მძიმე დატვირთვით მუშაობაში გამოიფიტება ინსულინის გამომყოფი აპარატი კუჭუკანა ჯირკვალში. ამ დროს ინსულინის რაოდენობა ნორმალურზე მეტიც კი არის, მაგრამ ესეც კი არასაკმარისია გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აი, სწორედ ამ დროიდან იწყება სისხლში გლუკოზის (ხალხი რომ „სისხლში შაქარს“ უწოდებს) მოჭარბება და ამიტომ ვითარდება ე. წ. მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი.

როცა მგრძნობელობა ინსულინის მიმართ ქვეითდება, პანკრეასი (ანუ კუჭუკანა ჯირკვალი) უპასუხებს ინსულინს სეკრეციის მომატებით: მოიმატებს ინსულინზე მოთხოვნილება მგრძნობელობის დაქვეითების ხარჯზე, მოიმატებს ინსულინის პროდუქცია.

სანამ ეს პროცესი პარალელურად მიმდინარეობს, სისხლში ინსულინის შემცველობა შეიძლება ნორმაზე მეტი იყოს, მაგრამ ეს მეტობა სჭირდება იმას, რომ დაქვეითებული მგრძნობელობის პირობებში სისხლში გლუკოზის დონე ნორმის ფარგლებში შენარჩუნდეს. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს სისხლის გლუკოზის დონე ჯერ კიდევ ნორმალური აქვს და ამიტომ ამ ეტაპზე მას ჯერ კიდევ არ სჭირს დიაბეტი. მაგრამ უკვე აქვს ნივთიერებათა ცვლის რეგულაციის მექანიზმების დარღვევა, თუნდაც იმიტომ, რომ ნორმასთან შედარებით ინსულინის ჭარბ რაოდენობას გამოიმუშავებს.

ეს მდგომარეობა განაწყობს სისხლძარღვებს დაზიანებისთვის.

**— ეს რას ნიშნავს?**

— გეტყვით. ეს ის მდგომარეობაა, რომელსაც ახასიათებს სისხლში ცხიმოვანი ნივთიერებების სიჭარბე, ქოლესტერინის და მისი ფრაქციების, ტრიგლიცერიდების, არტერიული წნევის მატების ტენდენცია. როგორც წესი, ეს განსაკუთრებით გამოიკვეთება იმ ადამიანებში, რომლებსაც აქვთ ზედმეტი წონა. ასეთ პირობებში, ადამიანებს უკვე აქვთ მნიშვნელოვანი დარღვევები, რომლებზეც უკვე ვილაპარაკე და არ გავიმეორებ. ამის შემდეგ თუ კიდევ გაიზრდება ინსულინისადმი მოთხოვნილება, არადა, ეს განუხრელად მზარდი პროცესია, და მიაღწევს ისეთ მძიმე ფორმას, რომელსაც პანკრეასი ინსულინის საკმარისი სეკრეციით ვეღარ დააკმაყოფილებს, გამოჩნდება დისბალანსი. დიდია მოთხოვნილება, სისხლში ბევრია ინსულინის რაოდენობა, მაგრამ ეს სიბევრეც არასაკმარისი ხდება, ამას უკვე შედარებითი უკმარისობა ჰქვია.

**— ეს თუ შედარებითი უკმარისობაა, წარმომიდგენია, ამის შემდგომ რა ელის ადამიანს.**

— *(ეღიმება).* ამის შემდგომ განვითარებულ ეტაპს ზოგიერთი ავტორი „ინსულინის შედარებით აბსოლუტურ“ უკმარისობასაც უწოდებს, რომლის განვითარების მექანიზმი საკმაოდ რთულია, მაგრამ დაიყვანება ინსულინის გამომყოფი ბეტა უჯრედების სხვადასხვა მიზეზით დაშლაში. ამ მოგვიანებით ეტაპზე ინსულინი ნორმასთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობით წარმოიქმნება ორგანიზმში. შაქრიანი დიაბეტის დროს არსებულ ნივთიერებათა ცვლის მრავალმხრივი დარღვევები ბევრი გართულების მიზეზი ხდება.

**— თქვენ ახსენეთ აშკარა დიაბეტის ჩამოყალიბების წინა პერიოდი. იქნებ გაშიფროთ, რა თავისებურებით ხასიათდება ეს პერიოდი?**

— ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ აშკარა ფორმის შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე ადამიანებთან ერთად საკმაოდ ბევრია დიაბეტით ავადმყოფ ისეთ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც არ იციან, რომ აქვთ შაქრიანი დიაბეტი. ასეთ დროს საქმე გვაქვს „ფარულად“ მიმდინარე დიაბეტთან. ამ დროს უნდა განვასხვავოთ ის შემთხვევები, როდესაც ადამიანს უკვე აქვს დარღვევები ნივთიერებათა ცვლის მხრივ, მაგრამ არა იმდენად მძიმე ფორმით, როგორც ეს აშკარა შაქრიანი დიაბეტის დროს ხდება. მას უწოდებენ დიაბეტის წინამორბედ მდგომარეობას, ანუ პრედიაბეტს. პრედიაბეტის გამოაშკარავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთ ადამიანებს შეიძლება თავიდან ავაცილოთ შაქრიანი დიაბეტის აშკარა ფორმით დაავადება სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დახმარებით. პრედიაბეტის გამოსავლენად ტარდება სისხლში გლუკოზის რაოდენობის გამოკვლევა, როგორც უზმოზე, ისე გლუკოზის სტანდარტული რაოდენობით მიღების შემდგომ 2 საათში.

**— ანუ ჭამის შემდეგ 2 საათში?**

— არა, მე მოგახსენებთ ისეთ დიაგნოსტიკურ ტესტზე, რომელსაც ეწოდება „გლუკოზისადმი ტოლერანტობის სტანდარტული ორალური ტესტი“. ეს შეიძლება გაუგებრად ჟღერს, მაგრამ მისი შინაარსი საკმაოდ მარტივია: საანალიზოდ აუცილებლად ვენური სისხლის აღება არის საჭირო ჯერ უზმოდ და შემდეგ გლუკოზის წყალხსნარის სტანდარტული რაოდენობის დალევიდან ორ საათში. ასეთი დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარება საკმარისად იაფია, სახელმწიფო დაზღვევით კი პაციენტს არაფერი უჯდება. ეს ტესტი ჩვენ, ექიმებს მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დიაბეტის მხრივ მდგომარეობის დროული შეფასებისა და პროფილაქტიკის ჩასატარებლად.

პირველი ტიპის დიაბეტით დაავადებულთა საერთო რაოდენობა 10-15 პროცენტია, იშვიათად (სკანდინავიის ქვეყნებში, ისრაელში) 20 პროცენტსაც შეიძლება აღწევდეს.

მეორე ტიპის დიაბეტიანთა რაოდენობა დომინირებს. დიაბეტის გავრცელებას ეპიდემიის სახე აქვს მრავალ ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზთა შორის დიაბეტი ▶

ამბავი

## საქართველოში გამოცემული ყველა სახეობის დოკუმენტის ეგზემპლარი ეროვნულ ბიბლიოთეკას უნდა გადაეცეს

**საგამომცემლო ორგანიზაციები ვალდებულნი იქნებიან, დოკუმენტური გამოცემების ეგზემპლარები ბიბლიოთეკებს გადასცენ. ეს ვალდებულება ყველა იმ სუბიექტს შეეხება, რომლებიც ნებისმიერი ფორმის ინფორმაციულ ტექსტს და დოკუმენტს ქმნიან.**

კანონპროექტი სახელწოდებით „დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ“ პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა, თუმცა განხილვის პროცესი ჯერ არ დაწყებულა. პროექტის მიხედვით, დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარები შემდეგი სახის დოკუმენტებს მოიცავს: ბეჭდურ გამოცემებს, გამოცემებს უსინათლოთათვის და სუსტი მხედველობის მქონეთათვის, აუდიოვიზუალურ პროდუქციას, ელექტრონულ გამოცემებს, გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს, საპატენტო დოკუმენტებს, პროგრამებს ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისთვის და მონაცემთა ბაზებს მატერიალურ მატარებლებზე და კომბინირებულ დოკუმენტებს. დოკუმენტების მწარმოებლები ვალდებულნი ხდებიან, სავალდებულო ეგზემპლარი დოკუმენტის მიმღებებს — ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებლებს უსასყიდლოდ გადასცენ.

პროექტის მიხედვით, დოკუმენტის მწარმოებელი პირის მიერ სავალდებულო ეგზემპლარის გადაუცემლობა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას — 100 ლარის ოდენობით.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შაქრიანი დიაბეტის გავრცელების შესახებ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. აღრიცხულია მხოლოდ იმ ავადმყოფთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსგან უფასოდ იღებენ ინსულინის პრეპარატს. დიაბეტიანების რეალური რაოდენობა ბევრად აღემატება ინსულინის მომხმარებელი პაციენტების აღრიცხულ რაოდენობას.

◀ მეოთხე-მეხუთე ადგილზეა.

შაქრიანი დიაბეტი მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული **არაგადამდები** ავადმყოფობაა.

**— მემკვიდრეობით არ გადადის?**

— აქ მეტად თავისებური ვითარებაა. გენეტიკური განწყობა ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა, მაგრამ ეს მზა დიაბეტის გადაცემას კი არ ნიშნავს (ვლაპარაკობთ მეორე ტიპის დიაბეტზე), არამედ — ინსულინისადმი არანორმალურად დაქვეითებული მგრძნობელობისადმი განწყობას, რომელიც დაბადებიდანვე, ახალგაზრდული ასაკიდანვე იჩენს თავს და ნელ-ნელა, ზოგან კი სწრაფად ძლიერდება. ეს ერთი. მეორე კომპონენტი კი არის ინსულინის გამოყოფის უნარის შეზღუდულობა, რომელიც ვერ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

**— რახან ასაკს შეეხეთ, ბატონო დავით, იქნებ, ისიც გაგვანდოთ, რომელი ასაკია ყველაზე უფრო „დაზიანებული“?**

— შაქრიანი დიაბეტის მქონე ადამიანთა უდიდესი ნაწილის ასაკი 40-დან 59 წლამდეა. ასე ჩანს დიაბეტის მსოფლიო ფედერაციის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული მასალებიდან. ამავე პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ მსოფლიოში 2013 წელს 79 ათასი ბავშვი გახდა ავად პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით. საგანგაშო მდგომარეობაა. თუმცა საერთო ფონზე შეიძლება არცთუ მნიშვნელოვან რაოდენობად მოგვეჩვენოს. 2013 წელს მსოფლიოში ყოველ 6 წამში ერთი დიაბეტიანი ავადმყოფი გარდაიცვლებოდა.

განსაკუთრებული კატეგორიაა **დიაბეტიანი ორსულები**, რადგან ამ შემთხვევაში ნივთიერებათა ცვლის თუნდაც ძალიან ნატიფმა დარღვევამ შეიძლება კატასტროფული შედეგი გამოიწვიოს ორსულობის მიმდინარეობის, ნაყოფის განვითარების თვალსაზრისით.

როდესაც შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტი დაორსულდება, თანამედროვე პირობებში მას დიდი ყურადღება არ მოაკლდება, რადგან დიაბეტის დიაგნოზი, ანუ ორსულობის დამამძიმებელი გარემოება უკვე წინასწარ არის ცნობილი. ბევრად უფრო სპეციფიკური მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც შაქრიანი დიაბეტი პირველად ვითარდება ორსულობის დროს. მის კლასიფიკაციაში სწორედ ამიტომ გამოიყო ცალკე ტიპად ორსულთა დიაბეტი, რომელიც სპეციალური გამოკვლევით საჭიროებს დადგენას, გამოაშკარავებას. მე ახლაც მყავს პაციენტი, ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა შაქრიანი დიაბეტი, თანაც ისეთი მძიმე ფორმით, რომ იმავე დღიდან დასჭირდა ინსულინით მკურნალობის დაწყება. ასეთი ფორმა იშვიათია. უფრო ხშირია ორსულთა ისეთი დიაბეტი, რომლის გამოაშკარავებას სპეციალური გამოკვლევა სჭირდება. გლუკოზის ტოლერანტობის ტესტზე მოგახსენებთ. ექიმს, უპირველესად, გინეკოლოგს, ყველას, ვისაც საქმე აქვს ორსულებთან, უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ორსულთა დიაბეტის რისკის ფაქტორებს. ასეთებია: ასაკი (27 წელიწადი და მეტი), სხეულის მასის სიჭარბე, მით უმეტეს, სიმსუქნე, ასევე, დიაბეტით დამძიმებული მემკვიდრეობითობა; უნდა გაირკვეს, წინა ორსულობის დროს ხომ არ დაუდგინდა ორსულთა დიაბეტი, ხომ არ ჰქონია ადრე მშობიარობა დიდი მასის (განსაკუთრებით, 4500 გრამზე მეტი) ნაყოფით მშობიარობა და ა. შ.





## ჩინეთში 93,4 მილიონ ადამიანს აწუხებს ეს დაავადება, ინდოეთში — 65,1 მილიონს, აშშ-ში — 24,4 მილიონს, ბრაზილიაში — 11,9 მილიონს, რუსეთის ფედერაციაში — 10,9 მილიონს, მექსიკასა და ინდონეზიაში, შესაბამისად, — 8,7 და 8.5 მილიონს, გერმანიაში, ეგვიპტეში, იაპონიაში — 7-7 მილიონზე ცოტა მეტს...

ობივატელს, ამ საკითხებში არასაკმარისად ინფორმირებულ ადამიანს ხშირად ის უხარია, რამდენად დიდწონიანი ბავშვი შეეძინება. მახსენდება 90-იან წლებში ტელევიზიით გადაცემული ერთი სიუჟეტი, რომლის ავტორი ჟურნალისტი მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებდა: მართალია, ახლა ქართველებს გვიჭირს, მაგრამ გადაშენება არ გვიწერია, რადგან დღეს შვიდკილოგრამიანი ბიჭი დაიბადაო!

ეს შვიდკილოგრამიანი ბიჭი კი დედის ავადმყოფობის მიზეზით გაჩნდა ამხელა. ამ დროს იმას უნდა ვტიროდეთ, რომ დედის ჯანმრთელობას თავის დროზე არავინ მიაქცია ყურადღება. ამიტომაა აუცილებელი მეან-გინეკოლოგისა და ენდოკრინოლოგის საქმიანი კონტაქტები რისკის მქონე მომავალი დედების ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

**— თქვენი კოლეგების მონაცემებით, შაქრიანი დიაბეტი ყველაზე მეტად გავრცელებულია მონღოლოიდურ რასაში. ქართველებში რა მდგომარეობაა?**

— მე ახლა მოგაწვდით ცნობებს, რომლებიც დაფიქსირებულია დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის „დიაბეტურ ატლასში“.

მიკრონეზიაში მოსახლეობის 35 პროცენტია დაავადებული შაქრიანი დიაბეტით, ვანუატუში — 24 პროცენტი; საუდის არაბეთშიც ამდენივეა; ნაურუში, კუვეიტში — 23 პროცენტი; ყატარში — 22,9 და ა. შ.

საინტერესოა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც: ჩინეთში 93,4 მილიონ ადამიანს აწუხებს ეს დაავადება, ინდოეთში — 65,1 მილიონს, აშშ-ში — 24,4 მილიონს, ბრაზილიაში — 11,9 მილიონს, რუსეთის ფედერაციაში — 10,9 მილიონს, მექსიკასა და ინდონეზიაში, შესაბამისად, — 8,7 და 8.5 მილიონს, გერმანიაში, ეგვიპტეში, იაპონიაში — 7-7 მილიონზე ცოტა მეტს.

თქვენ გაინტერესებთ შაქრიანი დიაბეტის გავრცელების სურათი საქართველოში?

**— დიახ.**

— სამწუხაროდ, **შაქრიანი დიაბეტის გავრცელების შესახებ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. აღრიცხულია მხოლოდ იმ ავადმყოფთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსგან უფასოდ იღებენ ინსულინის პრეპარატს. დიაბეტიანების რეალური რაოდენობა ბევრად აღემატება ინსულინის მომხმარებელი პაციენტების აღრიცხულ რაოდენობას.**

პირდაპირ გეტყვით, შაქრიანი დიაბეტის გავრცელება საქართველოში შესწავლილი არ არის, რადგან ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარებისთვის საჭირო დაფინანსება ვერც ერთი ხელისუფლების დროს ვერ გამოინახა.

ჩვენ დაწესებულებაში („დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრი“) შექმნილია სპეციალური განყოფილება, რომლის ძირითადი ამოცანაა, ჩაატაროს დიაბეტისა და სხვა ენდოკრინოლოგიურ ავადმყოფობათა ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები. ამისთვის საჭირო ინტელექტუალური პოტენციალი ჩვენთან არის. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული საკუთარი რესურსებით ვცდილობდით, შეგვესწავლა შაქრიანი დიაბეტის გავრცელება საქართველოში და ამით, ნაწილობრივ მაინც, შეგვევსო ინფორმაციული ვაკუუმი. ჩვენი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ქვეყნის დაბლობ რაიონებში და შედარებით ნაკლებია მაღალმთიანეთში. საქართველოს მოსახლეობაში შაქრიანი დიაბეტის გავრცელება საშუალოდ 7-10 პროცენტის დონეზე უნდა იყოს.

ცალკე შესწავლა სჭირდება ე. წ. ორსულთა დიაბეტის გავრცელების საკითხს. დიაბეტის ეს განსაკუთრებული ფორმა, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 5-7 პროცენტის ფარგლებშია.

**ამ „აპოკალიფსური“ ვითარებიდან თავის დაღწევის ყველაზე პოპულარული და იოლი გამოსავალი ბატონმა დავითმა ასეთი შემოგვთავაზა:**

**— განა არ შეიძლება, რომ კვების სწორ რეჟიმზე გადავიდეთ?! არ შეგვიძლია, რომ ვარეგულიროთ ჩვენი სხეულის მასა?! უარი ვთქვათ თამბაქოს გამოყენებაზე?! არ შეიძლება, რომ ალკოჰოლი ისე გონივრულად დავლიოთ, რომ არ დავაზიანოთ ჩვენი ჯანმრთელობა?!**

ცხოვრების სტილის მოწესრიგება, ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება საშუალებას მოგვცემს, ძალიან ბევრ შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპი.

**— ამბობენ, რომ ეს ავადმყოფობა კატებშიც არის გავრცელებული.**

— არის, ცხოველებშიც არის გავრცელებული. რა თქმა უნდა, ისეთი კატასტროფული მასშტაბებით არა, როგორც ადამიანთა შორის, მაგრამ — არის.

ძაღლი კი მნიშვნელოვანი ფიგურაა დიაბეტის ისტორიაში. კანადელმა მეცნიერებმა — ფრედერიკ ბანტინგმა და ჩარლზ ბესტმა ინსულინის პირველი პრეპარატი გამოსცადეს ძაღლზე, რომელსაც სახელად ერქვა მარჯორი. მას ჯერ ექსპერიმენტული დიაბეტი დამართეს, ანუ პანკრიასი ამოკვეთეს, შემდეგ ახლადმიღებული პრეპარატი ინსულინი გაუკეთეს და ამით დაადასტურეს ამ პრეპარატის ეფექტიანობა. კარგა ხანს გაუხანგრძლივეს სიცოცხლე.

**— ძაღლი ადამიანის მეგობარია...**

— ხოლო ადამიანი, ბავშვი, რომელზეც მსოფლიოში პირველად გამოსცადეს ინსულინი 1922 წელს, იყო ლეონარდ ტომპსონი, რომელსაც სულ ორიოდ კვირის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. მშობლების თანხმობით, მას ახალაღმოჩენილი პრეპარატი — ინსულინი გაუკეთეს. 15 წელიწადი იცოცხლა ამ პაციენტმა. იმ დროს ეს გენიალური მიღწევა იყო.

**— თქვენს კლინიკაში მომსვლელთა რაოდენობა მატულობს თუ კლებულობს?**

— მატულობს... წელიწადში 7 ათასამდე პაციენტს ვღებულობთ. მათგან 30 პროცენტი პირველადია, — **მიპასუხებს ჩამქრალი ხმით. რაც იმას ნიშნავს, რომ მკურნალი, უპირველესად, თავად განიცდის პაციენტების მდგომარეობას. ალბათ, ძნელია ოპტიმიზმის შენარჩუნება ავადმყოფთან ურთიერთობისას, მაგრამ ექიმები ახერხებენ. და მადლობა ამის გამო მათ, რადგან სხვა შემთხვევაში იმ იმედსა და რწმენას დავკარგავდით, რომელიც გამოჯანმრთელების უპირველესი პირობაა.**

— რეალურად დიაბეტიანი პაციენტების რაოდენობა გაცილებთი მეტია. ბევრი მათგანი ან ვერ ახერხებს, მატერიალური მდგომარეობის გამო, მიხედოს თავის ჯანმრთელობას, ან არ იცის, რომ დაავადებულია. სახელმწიფო პროგრამებს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროს ამ შემოთავაზებას პაციენტის მონდომებაც უნდა ახლდეს... აკლია ხალხს ცოდნა და აკლია მონდომება.

**არმაზ სანებლიძე**



## განსაკუთრებული კატეგორიაა დიაბეტიანი ორსულები, რადგან ამ შემთხვევაში ნივთიერებათა ცვლის თუნდაც ძალიან ნატიფმა დარღვევამ შეიძლება კატასტროფული შედეგი გამოიწვიოს ორსულობის მიმდინარეობის, ნაყოფის განვითარების თვალსაზრისით

**P.S. ბატონი დავით მეტრეველი საქართველოში ეს-ესაა დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც მიწვეული იყო იქაური წამყვანი კლინიკების საქმიანობის გასაცნობად და გამოცდილების გასაზიარებლად.**

## ლიბანელი «ბოევიკები» ეკლესიების დანგრევას აპირებენ

**„რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფებამ „აჰრარ-ას-სუნამ“ („თავისუფალი სუნიტები“), რომელსაც ბაზა ლიბანის ქალაქ ბაალბეკში აქვს, მხარდამჭერებს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ეკლესიის განადგურებისკენ მოუწოდა“, — ეს ინფორმაცია ირანულმა ტელეარხმა „ალ-ალამმა“ გაავრცელა.**

„აჰრარ ას-სუნას“ აქტივისტებმა 3 ივლისს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს განცხადება, რომ „ლიბანის ისლამური სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ეკლესია უნდა დაინგრეს“.

აღსანიშნავია, რომ „აჰრარ ას-სუნას“ ხელმძღვანელობა ლოიალურად არის განწყობილი ახლახან შექმნილი დაჯგუფება „ისლამური ხალიფატის“ ლიდერების მიმართ. ამ დაჯგუფების შექმნის შესახებ ამა წლის 29 ივნისს განაცხადეს დაჯგუფება „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა.

სუნიტურმა დაჯგუფებამ „ერაყისა და შამის ისლამურმა სახელმწიფომ“, რომელიც ცოტა ხნის წინათ სირიაში იბრძოდა, ივნისში იერიში მიიტანა ერაყის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებზე, მათ შეუერთდნენ ერაყელი სუნიტებიც, რომლებიც სადამ ჰუსეინის არმიაში მსახურობდნენ, აგრეთვე, მცირერიცხოვანი ტერორისტული დაჯგუფებები. ბოლო სამი კვირის განმავლობაში სუნიტმა „ბოევიკებმა“ ხელში ჩაიგდეს ერაყის რამდენიმე ქალაქი, აგრეთვე, სირიისა და იორდანიის სასაზღვრო ტერიტორია.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, სირიაში, ბაჰრეინში, იემენში და თვით საუდის არაბეთის დასავლეთ ნაწილშიც კი შიიტებისა და სუნიტების ზოგიერთ საზოგადოებას შორის მტრობა სულ უფრო არაკონტროლირებადი ხდება.**

# შიიტები და სუნიტები: რა ასაზრდოებს სიძულვილს?

**ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურში მესიმ ირანის ნაკრების კარში გოლი გაიტანა. ყველგან — ლოს-ანჯელესიდან თეირანამდე — ირანელებმა თავები ჩაქინდრეს, ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს (ეშის) რადიკალებმა კი არგენტინელ ვარსკვლავს (სხვათა შორის, იგი უკვე მონათლეს აბუ მეჰადაფ ალ-არჯანტინად) შესთავაზეს, ჯიჰადს შეუერთდეს და უკვე აიყვანეს „სამხრეთ ამერიკის ემირის" რანგში. სად არის კავშირი? ეშის-ის წევრები არიან სუნიტი ექსტრემისტები, რომლებიც ერაყში შიიტი პრემიერ-მინისტრის — ნური ალ-მალიკის ძალებს ებრძვიან. ირანის საფეხბურთო ნაკრები კი წარმოადგენს შიიტურ სახელმწიფოს, რომელიც იმავე ალ-მალიკის უჭერს მხარს. როგორც ამბობენ, ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია...**

ეშის-ის ისლამისტები აქტიურად მოქმედებენ ინტერნეტში და ცდილობენ, ფეხბურთის მოყვარული ახალგაზრდობა გადაიბირონ. ამის გამო ისინი ანალოგიურ ცნობებს ავრცელებენ Facebook-სა და Twitter-ში. მათი ქმედებები ხშირად ფარსის ზღვარზეა, მაგალითად, მათ პრაქტიკულად მსოფლიო ჩემპიონატის უზურპაცია მოაწყვეს ერაყში თავიანთი საომარი მიღწევების გასავრცელებლად.

**ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, სირიაში, ბაჰრეინში, იემენში და თვით საუდის არაბეთის დასავლეთ ნაწილშიც კი შიიტებისა და სუნიტების ზოგიერთ საზოგადოებას შორის მტრობა სულ უფრო არაკონტროლირებადი ხდება.** დღეს ამ ორი რელიგიური მიმდინარეობის დაპირისპირება უდევს საფუძვლად ერაყულ კოშმარს და სირიის ტრაგედიას. შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირება გუშინ არ გაჩენილა. ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცამ შეგნებულად დაასხა ცეცხლზე ნავთი, მაგრამ ვინ?

### არაბული ამბოხებების დამრტყმელი ტალღა

ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ყველაფერში არაბი რევოლუციონერები არიან დამნაშავენი. მათ მოარყიეს სტაბილური წესრიგი, რომელიც რეგიონში მრავალწლიანი დიქტატურების შედეგად სუფევდა. არაბულმა ამბოხებებმა ტუნისიდან ეგვიპტესა და სირიამდე მოიტანეს დინამიზმის ქარი და ადგილიდან დაძრეს ამ მგრძნობიარე ზონის ტექტონური ფილები.

მაგალითად, სირიაში მოსახლეობის უმეტესობას სუნიტები წარმოადგენენ, მაგრამ ასადები, მამაცა და შვილიც, პირველ ადგილზე მუდამ სირიელ ალავიტებს (10-12%) აყენებდნენ სუნიტების საზიანოდ. ასადების ოჯახი ალავიტების წარმომადგენლები არიან და ეს რელიგიური საზოგადოება მჭიდროდაა დაკავშირებული სირიულ სახელმწიფოსთან. ალავიტები შიიზმის საკმაოდ შორეულ განშტოებას წარმოადგენენ, მაგრამ ხშირად მათ მაინც მოიაზრებენ ხოლმე შიიტებად. უპირველეს ყოვლისა, ამგვარ პოზიციას ამჟამად სირიაში მებრძოლი სუნიტი ექსტრემისტები (და არა მხოლოდ სირიელები) იზიარებენ. ეს რადიკალები ალავიტებს ერეტიკოსებს უწოდებენ ისევე, როგორც შიიტებს.

**ერაყში სადამ ჰუსეინი იყო პირველი, რომელმაც ღიად დაიწყო შიიტების შევიწროება. მას ქვეყანა ხელში ეჭირა და ისევე, როგორც ასადი, თავისი ავტორიტარული ძალაუფლების წყალობით ახერხებდა სხვადასხვა კონფესიის მოთოკვას.** მიუხედავად ამისა, დისკრიმინაციისა და რეპრესიების წლების განმავლობაში მან დათესა სიძულვილის თესლი, რომლის ნაყოფიც ახლა იკეთებს თავთავს.

### დასავლეთი

საბოლოო ჯამში ასადი და ჰუსეინი თავიანთ ქმედებებში დიდად არ განსხვავდებოდნენ დასავლეთისგან, რომელიც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზებისთვის ყველანაირად იყენებდა რელიგიათშორის უთანხმოებებს. მაგალითად, 1920 წლიდან მშვიდობაიანი შეთანხმების საფუძველზე ერაყი ბრიტანეთის მანდატს დაექვემდებარა. ბრიტანელებმა გადაწყვიტეს, დაყრდნობოდნენ დიდ სუნიტურ კლანებს, რომელთათვის ტიტულებისა და პრივილეგიების დარიგება ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო.



**დღეს სუნიტი მოსახლეობის ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ისლამისტების მიერ განხორციელებულ დაცვას და არა იმას, რისი მიცემაც სახელმწიფოს შეუძლია**

როგორც კლემან გიიემო „ახლო აღმოსავლეთის გასაღებებში" წერს, „ბრიტანელები რეგიონის საერთო მოთვინიერებისკენ მიისწრაფვოდა და ცდილობდა, დაეცვა ინდოეთისკენ მიმავალი გზა სუნიტების მხარდაჭერისკენ მიმართული რელიგიური პოლიტიკის საშუალებით. ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში 1915 წელს მათ მოკავშირული შეთანხმება გააფორმეს შერიფ მეკა ჰუსეინთან და მის სამ ვაჟთან, რათა რეგიონში სტაბილურობა უზრუნველეყოთ... ლონდონში ვარაუდობდნენ, რომ ხელისუფლებაში პანარაბული ნაციონალიზმის იდეოლოგიით გამსჭვალული სუნიტების — ელიტური სახელმწიფოს მომხრეების მოსვლა შესაძლებელს გახდიდა ახლო აღმოსავლეთის ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის შემდგომი კონფლიქტების წამოჭრის თავიდან აცილებას".

შიიტებმა უარი განაცხადეს მეორეხარისხოვან როლებზე, რომლებმაც 1920, 1935, 1936 და 1937 წლებში აჯანყებათა მთელი სერიები განაპირობა. ყველა ამბოხი ბრიტანელებმა ჩაახშეს.

„ამრიგად, სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ შიიტებს უსამართლობის განცდა დაეუფლათ სახელმწიფო ინსტანციებში მათი წარმომადგენლების სიმცირის გამო".

რაც შეეხება სუნიტებს, მათ ცნობიერებაში გამყარდა უკმაყოფილება და წუხილი ამ პერიოდში ახლო აღმოსავლეთის საქმეებში დასავლეთის ჩარევის გამო. 1916 წელს საიდუმლოდ ხელმოწერილ საიქს-პიკოს შეთანხმებაზე ამ დრომდეც ლაპარაკობენ!

საიქს-პიკოს შეთანხმება Twitter-ში შამის-ის ისლამისტების ერთ-ერთ მთავარ მიზნად იქცა. მათი აზრით, ეს შეთანხმება დასავლეთის მოღალატეობის სიმბოლოა.

იმ მომენტში **ბრიტანელებმა არაბ ხალხს აღუთქვეს დიდი დამოუკიდებელი სამეფოს ჩამოყალიბება, მაგრამ საფრანგეთისა და ბრიტანეთის საიდუმლო შეთანხმება რეგიონში თუ რამეს უწყობდა ხელს, ეს არაბული ქვეყნების საზღვრების ფორმირება იყო.**

საბოლოო ჯამში შეთანხმება ასე თუ ისე მაინც დაედო საფუძვლად თანამედროვე პოლიტიკურ რუკას. შამის-ში არ ეთანხმებიან ამ საზღვრებს და ცდილობენ რამდენიმე სახლმწიფოს ტერიტორიაზე ხალიფატის დაარსებით შეცვალონ საერთო სურათი.

### ამერიკული ჩარევა ერაყში

დღეს ერაყი საფრთხეში აღმოჩნდა შამის-ის ისლამისტებისგან მომდინარე საფრთხის გამო. 2003 წელს სადამ ჰუსეინის დიქტატურის დამხობის შემდეგ ამერიკელებმა ხელისუფლებაში შიიტი უმრავლესობა მოიყვანეს, შემდეგ კი ერაყიდან საკუთარი ჯარები გაიყვანეს.

„პარტია „ბაას"-ის ლიდერებს ვუთხარი, რომ ამიერიდან ხელისუფლებისკენ მიმავალი გზა მათთვის გადაკეტილია, — აღიარა ერაყში ამერიკის ადმინისტრაციის ყოფილმა მეთაურმა პოლ ბრემერმა. — მათ მიეცათ უფლება, გაეკეთებინათ ყველაფერი, რასაც მოისურვებდნენ: დაეფუძნებინათ გაზეთები, დაბრუნებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას... მაგრამ შევცდი, როდესაც ამის განხორციელება ვანდე ერაყელ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ძალზე შორს შეტოპეს".

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პრემიერმინისტრმა ნური ალ-მალიკიმ უამრავი შეცდომა დაუშვა. ის გაება სუნიტების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაში, ჩამოართვა მათ მაღალი, საპასუხისმგებლო თანამდებობები არმიაში. ზოგიერთი ამბოხების ჰაერიდან დაცხრილვით ჩახშობამ და საქმეში ექსტრემისტულად განწყობილი შიიტური შეიარაღებული რაზმების ჩართვამ განაპირობა ის, რომ სადამ ჰუსეინის პარტია „ბაას"-ის ყოფილმა მეომრებმა ეშის-თან შეერთება გადაწყვიტეს. **დღეს სუნიტი მოსახლეობის ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ისლამისტების მიერ განხორციელებულ დაცვას და არა იმას, რისი მიცემაც სახელმწიფოს შეუძლია.**

### ირანისა და საუდის არაბეთის გეოსტრატეგიული ბრძოლა

ერაყი, როგორც ისლამური და შიიტური სახელმწიფო, ბუნებრივია, თავს წარმოაჩენს, როგორც შიიტების დამცველი. ერთ-ერთი უმთავრესი შიიტური სიწმინდე სწორედ ერაყის მიწაზეა და შესაძლოა, რადიკალების დარტყმას ემსხვერპლოს. ასიათასობით ირანელი ყოველწლიურად მიდის იქ მოსალოცად. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება წინასწარმეტყველი მუჰამედის შვილიშვილის, 680 წელს სუნიტებთან ბრძოლაში დაღუპული იმამ ჰუსეინის, სამარეს.

„ირანელი ერი ყველაფერს გააკეთებს, რათა ▶

---

## მეცნიერის ახალი ექსპერიმენტი კაცობრიობას განადგურებით ემუქრება

**ვისკონსინის უნივერსიტეტის (აშშ) მკვლევარი, რომელმაც ადრე სიკვდილის მთესველი „ესპანური" გრიპის ვირუსის ანალოგი შექმნა, ახლა გრიპის ახალი შტამის — H1N1-ის შექმნაზე მუშაობს.** ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვირუსოლოგმა იოშიჰირო კაკაოკიმ მუშაობა დაიწყო ახალ შტამზე პანდემიური გრიპისა, რომელმაც 2009 წელს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში 500 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პროფესორს სურს, რომ ეს შტამი უფრო გამძლე იყოს ადამიანის ანტისხეულების ზემოქმედების მიმართ. შემდეგ კი მის საწინააღმდეგო ვაქცინას დაამზადებს.

**ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამერიკელი პროფესორის ბოლო ექსპერიმენტი პროვოკაციულია და საფრთხეს უქმნის მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, რადგან პლანეტის მოსახლეობა უმწეო აღმოჩნდება ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის მონაცემებით, H1N1-ის ვირუსი, რომელმაც 2009-2010 წლებში პანდემია გამოიწვია, ადამიანის გრიპის ჩვეულებრივ ვირუსად იქცა და მსოფლიოში ცირკულირებს.



**ფრანგებმა ჯარები გაგზავნეს სირიაში და დაუნდობლად ჩაახშეს ეროვნული მოძრაობა. ბრიტანეთმა შეინარჩუნა თანამედროვე ერაყის ნავთობსაბადოებზე კონტროლი და პორტი ბასრა სტრატეგიულ გადასაზიდ პუნქტად აქციეს თავიანთი კოლონიებისაკენ მიმავალ გზაზე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დაიცვას წმინდა ადგილები“, — აღნიშნა ივნისის შუა რიცხვებში ირანის პრეზიდენტმა ხასან რუხანიმ.

გარდა ამისა, „ჰეზბოლას“ ლიდერმა ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ ერაყში მდებარე შიიტურ მავზოლეუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოძრაობისთვის და მის დასაცავად მზადაა, „ხუთჯერ მეტი მსხვერპლი გაიღოს, ვიდრე სირიაში“.

ირანელებს ამოძრავებთ წმინდად რელიგიური ინტერესები და ამასთანავე, შფოთავენ ერაყში სუნიტური ისლამური ამბოხის მკვეთრი აღზევების გამო, რომლის განჭვრეტაც მათ წინასწარ ვერ შეძლეს, რადგან მთელი ყურადღება მეზობელი სირიისკენ ჰქონდათ მიმართული. თეირანში შიშობენ ზედ ირანის საზღვრებთან სუნიტური უმცირესობის ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივის გამო. წარსულში ქვეყანა რვა წლის განმავლობაში ეომებოდა სადამ ჰუსეინის ერაყს: ამ კონფლიქტმა ღრმა იარები და მილიონობით მსხვერპლი დატოვა. ამის გამო ირანელები ცდილობენ, თავიდან აიცილონ ანალოგიური სცენარის გამეორება.

როგორც სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის მეცნიერ-თანამშრომელი კლემან ტერმი ვარაუდობს, თეირანი შიშობს ერაყის დესტაბილიზაციის გამო, რადგან არ სურს, აღმოჩნდეს „შეუმდგარი სახელმწიფოების გარემოცვაში“.

### ერ-რიადის ჰეგემონია საფრთხის წინაშეა

**ამერიკული წყაროების ცნობით, სპეცქვედანაყოფი „ალ-კუდს“-ის (ირანის მთავარი იარაღი საკუთარი ტერიტორიის მიღმა), სულ მცირე, სამი რაზმი უკვე გადავიდა საზღვარზე ერაყის გენშტაბის დასახმარებლად.**

რაც შეეხება საუდის არაბეთს, აქ, უპირველეს ყოვლისა, საუბარია მორალურ მხარდაჭერაზე იმ სუნიტური საზოგადოებისა, რომელიც სალაფიტურ (და მთელი არსით ანტიშიიტურ) რიტორიკას ეყრდნობა. სამხედრო სფეროში ისლამისტების მხარდაჭერას დიდწილად ფინანსური ხასიათი აქვს: კერძო ორგანიზაციები, ბიზნესმენები და რელიგიური მოღვაწეები მართლაც კოლოსალურ თანხებს იძლევიან. ამ ფულის მიმღები ისლამური ჯგუფები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ რეგიონში შიიტური მმართველობის ერთგვარი ნახევარმთვარე ჩამოყალიბდა — თეირანიდან ბეირუთამდე, ბაღდადამდე და დამასკომდე. საუდის არაბეთი გარშემორტყმული აღმოჩნდა აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ბაჰრეინში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე არ ცხრება შიიტური უმრავლესობის ამბოხებები სუნიტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ერ-რიადი ღიად ჩაერთო მოქმედებათა განვითარებაში და ამბოხის ჩასახშობად თავისი ჯარები გაგზავნა. იემენში განაგრძობს ძალების მოკრებას შიიზმის განშტოება — ზეიდიტების მოძრაობა, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საუდის არაბეთის ჩრდილოეთი საზღვრებისათვის. გარდა ამისა, უკვე სამი წელია, თავად საუდის სამეფოს შიგნით არ ცხრებიან შიიტები, რომლებიც მოსახლეობის 15%-ს წარმოადგენენ და რომლებიც ძირითადად ნავთობით მდიდარ აღმოსავლურ პროვინციაში სახლობენ.

შიიტებთან ბრძოლაში ფსონი თავად არავიტების ჰეგემონიური მდგომარეობაა. 2003 წელს ისინი ხიშტებით შეხვდნენ ამერიკელების გადაწყვეტილებას, ერაყში შიიტური სახელმწიფოს ფორმირების თაობაზე და ახლა სერიოზულად არიან შეშფოთებულნი ბაღდადში თეირანის გავლენით. ისინი ყველაფრის უკან ხედავენ ირანის ხელს, რომელიც მთელს რეგიონში შიიტური ამბოხებების დახმარებით მათ დესტაბილიზებას ცდილობს. და ერ-რიადის ეს მღელვარება მხოლოდ ძლიერდება ირანსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების ფონზე.

**ერ-რიადი მუდამ აშშ-ის მთავარი მოკავშირე იყო ნავთობბაზრის რეგულირების საქმეში, მაგრამ, ირანთან მდგომარეობის ნორმალიზების შემთხვევაში, მისმა როლმა, შესაძლოა, აზრი დაკარგოს, რადგან ირანს მსოფლიოში სიდიდით მეორე ნავთობმარაგები აქვს.**

როგორც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ერ-რიადი დღეს ხარობს ერაყელი შიიტების გასაჭირის გამო, ყველა საფუძველი არსებობს დასაეჭვებლად, რომ რადიკალების გამარჯვება მას ასეთსავე დიდ სარგებელს მოუტანს. მართალია, შამის-ს მჭიდრო კავშირები აქვს საუდის სუნიტურ მოძრაობებთან, მაგრამ მის ისლამისტებს პოლიტიკური მიზნები აქვთ: რეგიონში რამდენიმე არაბული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხალიფატის ფორმირება. ამიტომ პერსპექტივაში ეშის-ის უზომო ამბიციები შეიძლება საუდის არაბეთის საზღვრებისთვისაც საფრთხედ იქცეს.

საბოლოო ჯამში ერ-რიადმა რომც გადაწყვიტოს თეირანთან კავშირი, უკვე ძალიან გვიანი იქნება. **რელიგიური სიძულვილის რიტორიკას ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული რეგიონის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომ წმინდად პოლიტიკურ მიდგომაზე გადასვლა უკვე ველარ მოხერხდება...**

Slate.fr

# ახალი ისლამური ხალიფატი და მისი ომი ისტორიის წინააღმდეგ



**სუნიტურ-ჯიჰადისტურმა დაჯგუფება შამის-მა, რომლის ბოევიკებიც ახლა აკონტროლებენ ერაყისა და სირიის ტერიტორიებს, გასულ კვირას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის წარმოუდგენელ შეხედულებას და გამოაცხადა ისლამური სახელმწიფო — ახალი „ხალიფატი“, რომელსაც მთელი მსოფლიოს მუსლიმანები უნდა დაემორჩილონ. „აი ის — ისლამური სახელმწიფოს დროშა, ტაუხიდის (ერთღმერთიანობის) ამაღლებული დროშა, რომელიც ქარში ფრიალებს!“ — ნათქვამია დაჯგუფების განცხადებაში, რომელიც ქსელში რამდენიმე ენაზე გავრცელდა. „მისი ჩრდილი ეცემა ხალებადან დიალიმდე“, ანუ ჩრდილოეთ სირიიდან ერაყის აღმოსავლეთამდე.**

ხალიფად გამოცხადდა ბოევიკების იდუმალი ლიდერი აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი. მედია უკვე წერდა, თუ რას ნიშნავს კვლავ გამოცხადებული ხალიფატი შამის-ისთვის — „ალ ქიდასგან“ გამოყოფილი დაჯგუფებისათვის, რომელიც თავისი ექსტრემისტი მეთაურით იბრძვის. ხალიფატის აღორძინება არის იმ მრავალი ჯიჰადური ორგანიზაციის მიზანი, რომლებიც მიისწრაფიან ახლო აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოების სისტემების დანგრევისაკენ.

**ამ თვეში ერაყზე შეტევებისას ბოევიკებმა გაანადგურეს აღმოსავლეთ მიწაყრილი ერაყისა და სირიის საზღვარზე.** ბულდოზერის ფოტოებთან ერთად ქსელში განთავსებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ელისი ანგრევს „საიკსისა და პიკოს“ საზღვრებს, რომლებიც ყოფს ორ ქვეყანას და რომლებსაც ჯიჰადისტების ევროპული კოლონიური სახელმწიფოების ხელოვნურ ქმნილებად მიიჩნევენ.

„ეშის-ის მეომრების სიმბოლური აქცია იმ გაყოფის წინააღმდეგ, რომელიც ასი წლის წინ განახორციელეს ევროპულმა იმპერიებმა, აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური დაჯგუფებისთვის მითი კოლონიამდელი უბიწოება“, — წერს „New York Review of Books“-ში ისტორიკოსი მალის რუტვენი.

„საიკს-პიკოს საზღვარზე“ საუბრისას ეშისი გულისხმობს იმ საიდუმლო შეთანხმებას, რომელიც 1916 წელს ორმა დიპლომატმა — ინგლისელმა მარკ საიკსმა და ფრანგმა ფრანსუა ჟორჟ-პიკომ გააფორმეს. ბრიტანეთსა და საფრანგეთს საკუთარი წარმოდგენები ჰქონდათ პირველ მსოფლიო ომში მათი მოწინააღმდეგის და იმ დროს უკვე აღსასრულის პირას მდგარი ოსმალეთის იმპერიის მიწებთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში ისინი შეუთანხმდნენ რუსეთს ამ ტერიტორიების გავლენისა და კონტროლის სფეროებად დაყოფაზე. ეს ეწინააღმდეგებოდა არაბ ლიდერებთან ღია შეთანხმებებს — მათ დაჰპირდნენ დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოს დედაქალაქით დამასკო, ოსმალების წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ.

**ის, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, არაბულ სამყაროში სავსებით სამართლიანი წყენის საბაბი გახდა.** მართალია, გამარჯვებულმა მოკავშირეებმა აღიარეს ოდესღაც ოსმალური ბატონობის ქვეშ მცხოვრები რუმინელების, ბულგარელების, ბერძნებისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ხალხების ეროვნული განწყობები, მაგრამ მათ ხელი არ გაუწოდეს არაბებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. **ფრანგებმა ჯარები გაგზავნეს სირიაში და დაუნდობლად ჩაახშეს ეროვნული მოძრაობა. ბრიტანეთმა შეინარჩუნა თანამედროვე ერაყის ნავთობსაბადოებზე კონტროლი და პორტი ბასრა სტრატეგიულ გადასაზიდ პუნქტად აქციეს თავიანთი კოლონიებისაკენ მიმავალ გზაზე.** ისეთი ბრიტანელი არაბისტი, როგორიცაა ლოურენსი, რომელიც ოსმალების წინააღმდეგ არაბული ამბოხებების ორგანიზებას ედგა სათავეში, ღრმად იმედგაცრუებულნი დარჩნენ საკუთარი ხელისუფლებების ორპირობით.

იმ დამოუკიდებელი ქვეყნების საზღვრები, რომლებიც მომდევნო ათწლეულში (და კიდევ ერთი მსოფლიო ომის შემდეგ) ჩამოყალიბდნენ, სრულად არ შეესაბამებოდა საიკსისა და პიკოს შეთანხმებას. მიუხედავად ამისა, ევროპული ჩარევის კვალი მკვეთრად ჩანდა: ლიბანისა და სირიის გაყოფა კონფესიური ნიშნით, იორდანიის გაჩენა.

ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში ეს მემკვიდრეობა პირველადი ცოდვის როლს ასრულებს. ეშისისთვის კი ეს იდეა ძალზე მომგებიანია, რადგან ბოევიკებს ისტორიული უსამართლობის გამო შურისმაძიებლებად და ოსმალეთის იმპერიის შემდეგ ხალიფატის მორიგ მემკვიდრეებად წარმოაჩენს.

მაგრამ ეს არადამაჯერებელი ვერსიაა. ოსმალები საუკუნეების მანძილზე მართავდნენ დიდ, რთულ იმპერიას, რომელშიც მრავალი სხვადასხვა რწმენის ხალხი ცხოვრობდა. მიუხედავად უამრავი ნაკლისა, ოსმალეთის იმპერია სახელგანთქმული იყო შემწყნარებლობით; განსხვავებით სისხლისმსმელი ფანატიკოსებისა, როგორებიც ახლა სირიასა და ერაყში თარეშობენ, ბილწავენ საფლავებს, ანადგურებენ ჯვრებს და ხოცავენ სხვა რწმენის მიმდევრებს.

უფრო მეტიც, **„ხელოვნური“ საზღვარი ერაყსა და სირიას შორის სწორედ ოსმალებმა გაავლეს.** ამასთანავე ტერიტორია, რომელსაც ადრე მესოპოტამია ერქვა, სამ „ვილაიეთად“ გაყვეს — ბასრად, ბაღდადად და მოსულად. „Financial Times“-ში რულა ხალაფი წერს, რომ „სახელწოდებები „სირია“ და „ერაყი“ იმპერიის დანგრევამდე დიდი ხნით ადრეც ერქვა შესაბამის ტერიტორიებს. დიდი უკმაყოფილება განაპირობა დიდი სირიის რამდენიმე მინისახელმწიფოდ დაყოფამ და მისი ერთ-ერთი ნაწილის ლიბანისთვის მიერთებამ, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა და სირია გაერთიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, დედაქალაქით დამასკო. საიკსისა და პიკოს დადანაშაულება მიმდინარე მოვლენებში ნიშნავს იმის იგნორირებას, რომ ტერიტორიული ნაციონალიზმი ღრმადაა ფესვგადგმული თანამედროვე არაბულ სამყაროში, მიუხედავად რელიგიურ ნიადაგზე მიმდინარე ბოლო დროის დაპირისპირებებისა“.

ხალაფის აზრით, რეალური პრობლემა მდგომარეობს „პოსტკოლონიური ხელისუფლებების ტრაგიკულ უუნარობაში — ააშენონ სახელმწიფო ყველა მოქალაქისთვის“. ასი წლის წინათ რუკაზე გავლებული ხაზები გარდაუვალს არ ხდის იმ ამაზრზენ სისხლისღვრებს, რომელთა მომსწრენიც დღეს ვართ. გარდა ამისა, ხალაფის აზრით, **საიკს-პიკოს შეთანხმებაზე აქცენტის გაკეთება ჩრდილში აქცევს ბოლოდროინდელ მოვლენებს და რუკის საკუთარი შეხედულებისამებრ გადახაზვის მცდელობებს,** მაგალითად, 2003 წელს ერაყში აშშ-ის შეჭრას. სწორედ ეს და არა ოსმალეთის იმპერიის დაცემა არის ახალი ხალიფატის გაჩენის სავარაუდო მიზეზიც...

The Washington Post

## ჯიჰადისტებმა ესპანეთის «დაბრუნება» განიზრახეს

**ჯიჰადისტებმა, რომლებიც თავიანთ თავს დაჯგუფება „ერაყისა და შამის (სხვა ვერსიით — ლევანტის) ისლამური სახელმწიფოს“ (ეშის) წევრებს უწოდებენ გამოაქვეყნეს ვიდეომიმართვა, რომელშიც განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ, ომით დაიბრუნონ „ესპანეთი და სხვა ოკუპირებული ტერიტორიები“.** ვიდეომიმართვის ავტორები, რომლებიც თავს ეშის-ის წევრებს უწოდებენ, ესპანურად ლაპარაკობენ. ისინი ამბობენ, რომ ესპანეთი მათი წინაპრების სამშობლოა, რომელიც „ალაჰის ნებით“ უნდა გათავისუფლდეს და რომ ისინი მზად არიან, თავი გაწირონ მსოფლიოს „ისლამური ხალიფატის“ მომავლისთვის.

**„ჩვენ ვცხოვრობთ ისლამის დროშის ქვეშ და ვაპირებთ, გავათავისუფლოთ ოკუპირებული ქვეყნები — ჯაკარტიდან ანდალუსიამდე“,** — ნათქვამია ვიდეომიმართვაში.

არაბებმა პირენეის ნახევარკუნძული VIII საუკუნეში დაიპყრეს და იმჟამინდელი იბერიის ტერიტორიაზე (ამჟამად — ესპანეთი) ისლამური სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. 732 წლამდე არაბები თავს ესხმოდნენ საფრანგეთის სამხრეთ ტერიტორიებს მდინარე ლუარამდე, ვიდრე მათ ფრანგები კარლ მარტელის ხელმძღვანელობით გაანადგურებდნენ.

**ესპანეთის მცირერიცხოვანმა მოსახლეობამ ძალაუფლება შეინარჩუნა მხოლოდ ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მდებარე ორ ძნელად მისასვლელ რაიონში, საიდანაც მოგვიანებით დაიწყო ე. წ. რეკონკოსტა — არაბების მიერ დაპყრობილი მიწის დაბრუნება, რომელიც 1492 წელს გრანადის დაცემით დასრულდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ აუტანელ მოკავშირედ იქცა და ის ქვეყნებიც კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ, ობამას ადმინისტრაციის საქციელის გამო, მის წინააღმდეგ არიან განწყობილნი. არავის სჯერა აღარც მისი მუქარის, აღარც მისი რწმუნების. ავტორიტეტისა და ნდობის დაბრუნება აშშ-ს ძალზე ძვირად დაუჯდება.**

# როგორ კარგავენ მეგობრებს და იშორებენ მოკავშირეებს

**ობამას ადმინისტრაციამ მიაღწია იმას, რაც ადრე შეუძლებლად ითვლებოდა: მან აიძულა ამერიკის მოკავშირეები, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ინატრონ. მას შემდეგ, რაც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუგად მოიხსენია აშშ, ვარშავასა და ვაშინგტონის კავშირებს უსარგებლო უწოდა და შემდეგ უცენზურო გამონათქვამებიც დაახვავა. ეს უგუნური საქციელი მინისტრ სიკორსკის, შესაძლოა, ევროკავშირში საგარეო პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობად დაუჯდეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი ამერიკასთან დაკავშირებით ცდებოდა.**

აშშ აუტანელ მოკავშირედ იქცა და ის ქვეყნებიც კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ, ობამას ადმინისტრაციის საქციელის გამო, მის წინააღმდეგ არიან განწყობილნი. არავის სჯერა აღარც მისი მუქარის, აღარც მისი რწმუნების. ავტორიტეტისა და ნდობის დაბრუნება აშშ-ს ძალზე ძვირად დაუჯდება.

სხვა ქვეყნებისთვის უდავოდ ყოველთვის ძალიან ძნელია აშშ-თან საქმის დაჭერა: მისი პოლიტიკური სისტემა აბსურდული და უსაფუძვლოა. მასში რთულია გზის გაკვლევა. ის ხშირად აოცებს მოკავშირეებს ვაჭრობისა და სანქციების საკითხებში კონგრესის აქტიურობით. ამერიკული საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს უბრალო განმარტებებს და ხშირად დიპლომატების დახვეწილი და მოქნილი ნამუშევრის შესახებ მკვეთრად განსაზღვრულ შედეგებს ითხოვს. **ამერიკელები არიან მოუთმენლები, მომთხოვნი და უყვარით სხვათა სწავლება. ისინი ხშირად ამწვავებენ პრობლემებს, შემდეგ კი ცდილობენ, შეამცირონ საკუთარი დანაკარგები, ხოლო შედეგებში გარკვევას სხვებს უტოვებენ.**

მაგრამ ამერიკელები საკმაოდ გამძლენი არიან ამგვარი დანაკარგების გადასატანად, სხვა ქვეყნები კი, რომელთაც გაცილებით სუსტი თავდაცვის ამორტიზატორები აქვთ, ძალზე განიცდიან მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ბრიტანელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი ყველაზე კარგად აღწერს თვით ამერიკის მეგობარი ქვეყნების მღელვარებას ამერიკის მონაწილეობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, „ამერიკა პატარა ოთახში დამწყვდეული დიდი და მეგობრული ძაღლივითაა — მას იმდენად უნდა, თავი მოგვაწონოს, რომ კუდის ქნევით მთელ ავეჯს აყირავებს“.

**არავის სჯერა, რომ ობამას ადმინისტრაციას მისთვის თავის მოწონება სურს. ყველაზე ხშირად აშშ-ის მეგობრები პრეზიდენტის სრულ განურჩევლობაზე ჩივიან.** მათ აღარ სჯერათ, რომ ამერიკას პრობლემების გადაჭრაში დაეხმარა. ამაში მდგომარეობდა სიკორსკის ჩივილის არსიც. მათ ბედის ანაბარა მიაგდეს ყველა ქვეყანა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამერიკულ პოლიტიკას.

**2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას, როდესაც ობამა კანდიდატის რანგში გამოდიოდა სიტყვით ბერლინში, ჯონ მაკკეინის საიტზე გაჩნდა კარიკატურა, რომელშიც ობამას ბრიტნი სპირსის მსგავსი უსაქმური ფიგურის სახით წარმოაჩენდნენ და დასცინოდნენ.** ამგვარ თვალსაზრისს დღეს ძალიან ბევრი იზიარებს საზღვარგარეთაც: პრეზიდენტი ცნობილი სახეა და არა სახელმწიფო მოღვაწე.

ამ მრისხანებისა და იმედგაცრუების საბაბი პოლიტიკა და მისი რეალიზაციაა. აბსტრაქციის უმაღლეს დონეზე ობამას ადმინისტრაცია რბილი ძალის მომხრეა, მაგრამ იხრება იმ ღირებულებების დაცვისგან, რომლებთანაც აიგივებენ ამერიკას, და არ აღიარებს ამერიკის პოლიტიკური კრედოს უნივერსალურ მიმზიდველობას. ამის გამო მას არ შეუძლია ახსნას ამერიკელების დამოკიდებულება არაბული გაზაფხულისადმი. **ამერიკა მხარს არ უჭერს დამოუკიდებელ მოკავშირეებს, მაგრამ ამავე დროს არ გამოდის იმ პოლიტიკური კულტურისა და ინსტიტუტების მხარდასაჭერად, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფო მმართველობის მეტად პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული სისტემის შექმნას.** ეს გასაგები გახდა ქაიროში პრეზიდენტის გამოსვლისას, მაგრამ მისი მშვენიერი სიტყვები ისევე ჩაიძირა, როგორც ქვა წყალში, რადგან არ იყო გამყარებული პოლიტიკური ქმედებებით. შეეჯახა რა მოვლენათა სწრაფ განვითარებას, თეთრმა სახლმა არათანმიმდევრული და ექსცენტრიული გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო.



**ამერიკელები არიან მოუთმენლები, მომთხოვნი და უყვართ სხვათა სწავლება. ისინი ხშირად ამწვავებენ პრობლემებს, შემდეგ კი ცდილობენ, შეამცირონ საკუთარი დანაკარგები, ხოლო შედეგებში გარკვევას სხვებს უტოვებენ**

**ადამიანები, რომლებიც უდიდეს რისკზე მიდიან, რათა თავიანთ ქვეყნებში ცვლილებებს მიაღწიონ, ადამიანები, რომლებიც აშშ-ის ბუნებრივი მოკავშირეები უნდა იყვნენ, თავს მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობენ. რაც კიდევ უფრო უარესია, მათ ეჩვენებათ, რომ ამერიკელებმა გაწირეს ისინი იმ უდიდესი მოლოდინის შემდეგ, რომელიც ობამას მიმართ გაჩნდა.**

ამიტომ, როდესაც პრეზიდენტი ამბობს: „ავღანეთი არის სუვერენული ქვეყანა, რომელსაც მოუწევს, საკუთარი უსაფრთხოების პრობლემებით თავად დაკავდეს“, მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები ხვდებიან, რომ ეს ქვეყანა ამერიკას აღარ აინტერესებს. უფრო მეტიც, როდესაც თეთრმა სახლმა მიანიშნა, რომ ავღანეთის არჩევნებზე მორიგი წარუმატებლობა ქვეყნიდან ჯარების გაყვანის საფუძველი გახდება, და ამის შემდეგ არჩევნებმა განსაკუთრებული ძალადობისა და ფალსიფიცირების გარეშე ჩაიარა, მან ისარგებლა მდგომარეობით და განაცხადა, რომ ამერიკას უფრო სწრაფად შეუძლია ავღანეთიდან ჯარების გაყვანა, ვიდრე ეს სამხედრო მეთაურების რეკომენდაციებშია.

**ამერიკის ძლევამოსილებაზე დამოკიდებული ქვეყნები ხვდებიან, რომ მათ ასულელებენ. ძლიერს შეუძლია, საკუთარ თავს მისცეს ისეთი ფუფუნების უფლება, როგორიც გაუცნობიერებლობაა, სუსტ სახელმწიფოებს კი უფლება არ აქვთ, ენდონ ესოდენ არასაიმედო ამერიკას.**

პრეზიდენტ ობამას აბსოლუტურად არასწორად ესმის ალიანსების შიგნით ურთიერთობები. იგი მიიჩნევს, რომ სუსტი, ომებით დაუძლურებული საზოგადოებები, რომლებიც რეპრესიული სახელმწიფოების საფუძველზე გაჩნდნენ, იმავე საზომებით უნდა შეფასდნენ, როგორითაც თავად ამერიკა — მათ უნდა გაიგონ გაბედული გადაწყვეტილებები და დათანხმდნენ ფართო პოლიტიკურ კომპრომისებს. მაგრამ ავბედით გარემოებებში მყოფი დაშინებული ხალხები ასე არ იქცევიან.

ამგვარი საზოგადოებების მახასიათებელი შტრიხია ინსტიტუტების სოციალური უნდობლობა და თავშეკავებულობა. თუ ამერიკას გაბედული გადაწყვეტილებების და ფართო პოლიტიკური კომპრომისების საფუძველზე მიღებული შედეგები სჭირდება, ამ ადამიანების მხარდამხარ უნდა იდგეს და გადაწყვეტილების მიღებისას მათ თავდაჯერებულობას ამყარებდეს. ამერიკელებმა მხარი უნდა დაუჭირონ ასეთ ხალხებს საკუთარი მონაწილეობით, უნდა დაეხმარონ ისეთი ხელისუფლების ფორმირებაში, რომელიც შეძლებს რთული არჩევანის გაკეთებას.

ობამას ადმინისტრაცია კი ამის ნაცვლად მოკავშირეებისგან განდგომით იმუქრება — მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკელები მიდიან. ობამას დროის თეთრი სახლი აბსოლუტურად ვერ აცნობიერებს იმ გამაღიზიანებელი პრეზიდენტის პარადოქსულ ქცევას, რომელსაც არ ძალუძს კონგრესთან შეთანხმება და ამავე დროს ქადაგებებს კითხულობს ყოვლისმომცველი და რეპრეზენტაბელური ხელისუფლების შესახებ.

საბოლოოდ ადმინისტრაცია ერთი კრიზისიდან მეორეში ხვდება. მსოფლიო გუშინ არ გამხდარა ესოდენ რთული და დინამიური, ის მუდამ ასეთი იყო. ახალი მხოლოდ ისაა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა ხელს არ უწყობს საგარეო ურთიერთობების დალაგებასა და განვითარებას, რათა უამრავი ნავი არ აყირავდეს.

საუკეთესო მაგალითი ერაყია. პრეზიდენტ ობამას იმდენად სურდა ერაყში ომის დამთავრება, რომ უბრალოდ გააუფერულა ის წარმატებები, რომლებიც დიდ ფასად იქნა მიღწეული. 2010 წელს იგი მოკრძალებულად გადგა განზე, როდესაც პრემიერმინისტრი ნური ალ-მალიკი საპარლამენტო არჩევნებს აყალბებდა, გვერდს უვლიდა საკონსტიტუციო აკრძალვებს, ახორციელებდა უსაფრთხოების სამსახურების პოლიტიზირებას, შემდეგ კი ერაყელ სუნიტებს მიუქსია.

**ახლა, როდესაც ქვეყანა ლამის მოექცა ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტების ზეწოლის ქვეშ, ობამას ადმინისტრაცია მოულოდნელად დაინტერესდა ერაყში წარმომადგენლობითი და ყოვლისმომცველი ხელისუფლების შექმნით.** ამგვარი მიდგომა მისაღები იქნებოდა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ნებისმიერ მომენტში, მაგრამ ადმინისტრაცია დუმდა, როდესაც მალიკიმ თავისი სუნიტი ვიცეპრეზიდენტის დაპატიმრება ბრძანა ობამასთან შეხვედრის შემდეგ.

ბაღდადში ჩასვლისას კერიმ კი დადო პირობა ერაყის საქმეებში ამერიკის ინტენსიური და მდგრადი თანამონაწილეობის შესახებ და, შესაძლოა, ახლა ერაყის თავზე დაფრინავენ კიდეც უპილოტო საფრენი აპარატები, მაგრამ არც ერთი ადამიანი, რომელთაც ახლანდელ ადმინისტრაციასთან ჰქონია საქმე, არ დაიჯერებს კერის დანაპირებს. ერაყის განმეორებითი ოკუპაცია გაცილებით უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე მისი მთლიანობის შენარჩუნება 2008-ში. ეს განსაკუთრებით ძვირად დაუჯდებათ თავად ერაყელებს და ამერიკელები ათწლეულების მანძილზე ვერ ჩამოიშორებენ მათ სიძულვილს.

ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა ბევრს არ მოსწონდა, მათ ადმინისტრაციაც კი არ მოსწონდათ მისი თავხედური გამოხდომებით, მაგრამ უყვარდათ ამერიკა. მათ ბარაკ ობამაც უყვარდათ. **ზიანმა, რომელიც ობამას საგარეო პოლიტიკამ მიაყენა ამერიკის რეპუტაციას, უცხოეთის ქვეყნებს ბუშის ადმინისტრაციის პირდაპირობა მონატრა...**

Foreign Policy

მოკლედ



## გერმანელებმა ამერიკელი ჯაშუში დააკავეს

**გერმანიაში დააკავეს საგარეო დაზვერვის თანამშრომელი, რომელიც აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობაშია ეჭვმიტანილი.** ამ ინციდენტის გამო გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში აშშ-ის ელჩი გამოიძახეს. გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ ცნობით, მომხდარმა აშშ ძალიან გაანაწყენა. თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა შეიძლება შეწყვიტოს ბერლინთან თანამშრომლობა დაზვერვის საკითხებში, რადგან გერმანიის ეს ნაბიჯი ხელს არ უწყობს მუშაობის ნორმალური პირობების აღდგენას კანცლერ ანგელა მერკელის სატელეფონო საუბრების მოსმენის სკანდალის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამერიკელები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ჯაშუშობენ, ხოლო, როცა ამ საქმიანობაში გამოიჭერენ, რაღაც სანქციებზე ალაპარაკდებიან იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც მათი აგენტი გამოააშკარავეს.



**იაპონიაში ცვლილებები ხორციელდება იმავე პერიოდში, როდესაც აშშ-ის მოკავშირეები ახლო აღმოსავლეთში დგამენ ნაბიჯებს, რომლებიც ნამდვილად არ წაადგება აშშ-ს. ეს იმის გამო ხდება, რომ მათ აღარ სჯერათ ამერიკის ლიდერობის.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ დასრულდა პაციფიზმის პოლიტიკა იაპონიაში





**გასულ კვირას იაპონიამ ისტორიული ნაბიჯი გადადგა. ამის შესახებ სააგენტო „The Associated Press" წერდა: „ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების მომენტიდან იაპონიის არმია შებოჭილი იყო შეზღუდვებით, რომლებიც გამარჯვებულმა აშშ-მა დაუწესა. ახლა ბორკილები ეშვება. იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა პაციფისტური ომისშემდგომი კონსტიტუციის ახალი ინტერპრეტაცია, რომელიც ახლა არმიას უფლებას აძლევს, დაეხმაროს მოკავშირეებსა და სხვა სახელმწიფოებს, რომელთაც „ახლო ურთიერთობა" აქვთ იაპონიასთან, იმ კონცეფციის ფარგლებში, რომელიც „კოლექტიური თავდაცვის" სახელითაა ცნობილი.**

რაღაც შეიცვალა იაპონიის გარშემო. წინამორბედი ხელისუფლებები აცხადებდნენ, რომ ომის დენონსირების კონსტიტუციის მეცხრე მუხლი ძალის გამოყენებას ზღუდავ-და მხოლოდ იაპონიის თავდაცვის შემთხვევებით. პრემიერმინისტრმა სინდზო აბემ განაცხადა, რომ ცვლილებები აუცილებელია იაპონელების სიცოცხლის დასაცავად. იაპონური სამხედრო გემები შეძლებენ, დაეხმარონ იმ ამერიკულ გემებს, რომლებიც იაპონიას იცავენ.

ბრუკინგსის ინსტიტუტის წარმომადგენელი მაიკლ ოჰენლონი ხსნის: „ეს სინამდვილეში ეხება მხოლოდ იაპონიის შესაძლებლობას, დაგვეხმაროს თავდაცვაში ერთობლივი ოპერაციებისას მისი ტერიტორიის სიახლოვეს ან გაეროს მისიის მსვლელობისას სხვა ქვეყნების მონაწილეობით მიმდინარე ოპერაციებში — თუ ამ ქვეყნებს საფრთხე დაემუქრებათ, იაპონელები შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ დაცვაში".

და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, როდესაც ქვეყანა ცვლის 70-წლიან პოლიტიკას, ამ ცვლილებების მიზეზებზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს. ინსტიტუტ „American Enterprise"-ის წარმომადგენელი დენიელ ბლუმენტალი წერს: „ჩვენ გვჭირდებოდა ნამდვილი ორმხრივი შეთანხმება თავდაცვის თაობაზე, რომლის ფარგლებშიც ისინიც შეძლებდნენ ჩვენს დაცვას. ჩახლართულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით: თუ ჩრდილოეთ კორეა რაკეტას ჩვენკენ მომართავს, ოფიციალურად იაპონიას არ ექნება უფლება, ეს რაკეტა ჩამოაგდოს".

ამასთანავე, **იაპონიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს საფრთხეს ამერიკის მოკავშირეებისთვის.** „ეს კარგი სიახლეა — იაპონია აკეთებს იმას, რასაც დაჟინებით ვითხოვდით რამდენიმე წლის მანძილზე. ცუდი ამბავი ისაა, რომ იაპონია უდავოდ კარგავს ჩვენდამი რწმენას, — ხსნის ბლუმენტალი. — ისინი თავს ვეღარ იმორჩილებენ სირიაში „წითელი ზოლის" საკითხთან და რუსეთთან დაკავშირებული სიტუაციების გამო და მტრულად განწყობილი ჩინეთის გამოც".

ნათელია, რომ, როგორც ნებისმიერი სხვა მოწინააღმდეგე, ჩინეთი განსაკუთრებული პატივისცემით არაა გამსჭვალული აშშ-ის მიმართ. ბლუმენტალი აღნიშნავს, რომ „რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც ობამამ აზია დატოვა, მიუხედავად ჰეიგელის (თავდაცვის მინისტრი) და კერის (სახელმწიფო მდივანი) ყველა გაფრთხილებისა ტერიტორიული საკითხების მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ, ჩინეთმა ნავთობმომპოვებელი პლატფორმა დააყენა ვიეტნამის მხრიდან სადავო ტერიტორიაზე". გამოდის, რომ სინამდვილეში „ჩვენ მოვუწოდებთ აბეს, იყოს გაბედული ლიდერი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თავად აშშ არანაირ ლიდერობას არ ავლენს".

როდესაც ამერიკის მოკავშირეები საკუთარ თავზე იღებენ თავდაცვის საკითხებზე პასუხისმგებლობის გარკვეულ ნაწილს, ეს კარგის ნიშანია, მაგრამ, როგორც ბლუმენტალი აღნიშნავს, ამერიკას ალიანსში არ სჭირდება ნდობის კრიზისი. უნდა აღინიშნოს, რომ **იაპონიაში ცვლილებები ხორციელდება იმავე პერიოდში, როდესაც აშშ-ის მოკავშირეები ახლო აღმოსავლეთში დგამენ ნაბიჯებს, რომლებიც ნამდვილად არ წაადგება აშშ-ს. ეს იმის გამო ხდება, რომ მათ აღარ სჯერათ ამერიკის ლიდერობის.** ისრაელს, შესაძლოა, მარტოს მოუხდეს ირანთან დაპირისპირება, რადგან ქვეყანას არ შეუძლია, დაეყრდნოს ირანის განიარაღების შეთანხმებას (ამ საკითხში შუამავალი აშშ იყო) და სერიოზულად არ აღიქვას ამერიკული მუქარა.

იაპონია აშშ-ის ერთგულ მოკავშირედ რჩებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და ამერიკის ადმინისტრაცია, როგორც მოსალოდნელი იყო, მიესალმა იაპონიის კონსტიტუციის ახალ ინტერპრეტაციას. მაგრამ აშშ-ის ხელისუფლებამ, ამასთანავე, ყური უნდა უგდოს იაპონიას, სხვა აზიელ მოკავშირეებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, სუნიტ მონარქებს ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში მოფანტული მოკავშირეების მთელ სპექტრს.

**The Washington Post**

## იაპონიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს საფრთხეს ამერიკის მოკავშირეებისთვის



# ამერიკა, შესაძლოა, არმიის გარეშე დარჩეს

**პენტაგონის განცხადებით, 17-დან 24-წლამდე ასაკის ამერიკელი ახალგაზრდების ორ მესამედზე მეტი არმიაში მსახურებისთვის არ გამოდგება ჯანმრთელობასთან, განათლებასთან, ასევე ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.**

რეკრუტინგის ჯგუფის ხელმძღვანელის, გენერალ-მაიორ ალენ ბატშელეტის განცხადებით, ახალგაზრდების მხოლოდ 1% შეესაბამება სრულად არმიაში მსახურების მოთხოვნებს.

მთავარი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის ახალგაზრდა ამერიკელებს, იმსახურონ, სიმსუქნე, ატესტატის არქონა, ნასამართლევობა და ნარკოტიკული დამოკიდებულებაა. არც თუ იშვიათად დაბრკოლებად შეიძლება იქცეს გარეგნობის გარკვეული ცვლილებები, რაც ესოდენ პოპულარულია ახალგაზრდებს შორის, მაგალითად, უზარმაზარი ტატუები ყურის ბიბილოებზე.

**იმ წესების შესაბამისად, რომლებიც ძალაში 1 მაისს შევიდა, ჯარისკაცებს იდაყვებისა და მუხლების დაბლა არაუმეტეს ოთხი ხილული ტატუ უნდა ჰქონდეს.** ტატუს ზომა შედარებით მომცრო უნდა იყოს. გამოცდილი რეკრუტების განცხადებით, ამგვარი შეზღუდვები აუცილებელია, რათა არმია პროფესიონალურად გამოიყურებოდეს. კანდიდატები, რომელთაც შეუსაბამო ადგილას აქვთ ტატუ ან ყურის ბიბილოში „გვირაბი", გასაუბრებამდეც კი ვერ აღწევენ.

**სიმსუქნე, დაბალი მოსწრება და სხვა პრობლემები, რომლებიც არმიაში მსახურებას ეწინააღმდეგება, გახდა იმ მისიის ფორმირების მიზეზი, რომელშიც 90 გადამდგარი სამხედრო მოსამსახურე გაერთიანდა და რომლის მთავარი ამოცანაა, პრობლემისადმი მაღალჩინოსნების ყურადღება მიაპყროს და გამოსავალი მონახოს.** ასევე ისინი ლობირებენ სკოლებში კვების გაუმჯობესების და ზოგადად საშუალო განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამებს.

„გვინდა, ხელისუფლებამ გააცნობიეროს, რომ ეს ნაციონალური უსაფრთხოების პრობლემაა და მას სათანადო ყურადღება მიაქციონ", — ამბობს გადამდგარი გენერალ-მაიორი ალან იანგმენი. მისი თქმით, წარსულში პრაქტიკულად ნებისმიერი სკოლადამთავრებული გამოდგებოდა სამხედრო მომზადების გასავლელად, ახლა კი გაწვევის პუნქტებში მიდიან ბიჭები, რომლებსაც 50 ზედმეტი კილოგრამი აქვთ. გარდა ამისა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების მეოთხედი ვერ ახერხებს უმარტივესი გამოცდის ჩაბარებას სამხედრო სამსახურში ჩასარიცხად.

**mixednews.ru**



მოკლედ



## ციხიდან პოდიუმზე?

**ჯერემი მიქსი კალიფორნიის ქალაქ სტოკტონში მოქმედი ბანდიტური დაჯგუფების წევრი იყო. ის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით დააპატიმრეს. შემდეგ კი მოულოდნელი რამ მოხდა.**

30 წლის მიქსის ფოტოები პოლიციელთა მიერ შედგენილი დოსიედან ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტის „ფეისბუქის" გვერდზე გამოქვეყნდა და მამაკაცს უმალ გამოუჩნდა უამრავი თაყვანისმცემელი, რაც მთავარია, ამ ფოტოებმა მოდის ბიზნესის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო.

„ჯერემის აქვს შესანიშნავი გარეგნობა, რომლის წყალობითაც შეუძლია დიდ წარმატებას მიაღწიოს მოდის ინდუსტრიაში", — მიაჩნია აგენტ ჯინა როდრიგესს, რომელიც უახლოეს მომავალში სისხლის სამართლის დამნაშავე მიმზიდველ მამაკაცთან კონტრაქტის გაფორმებას გეგმავს. მოდის სფეროში მოღვაწე ქალბატონს, რომელიც ჯერემი მიქსს წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებს, სულაც არ ადარდებს, რომ ახალგაზრდა მამაკაცი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს და რომ მას ბრალი წაყენებული აქვს მძიმე დანაშაულებში.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანალიტიკოსები გვეუბნებიან, რომ, თუ ინტენსიურად განვითარებადი ჩინეთი, ბრაზილია, ინდონეზია 5-6 წლის შემდეგ 50 მლნ ავტომანქანის დამზადებას შეძლებენ, არნახულად გააფართოებენ გზების ქსელს, მოაწყობენ ინფრასტრუქტურას, მაშინ ამ სიტუაციის დასაკმაყოფილებლად 3-4 პლანეტა იქნება საჭირო. დღეს 7 მილიარდი ვართ, 50 წლის შემდეგ 8 მილიარდი ვიქნებით და მოთხოვნილება არნახულად გაიზრდება.**

# მესამე მსოფლიო ომი უკვე დაიწყო

**დედამიწის მოსახლეობის აპოკალიფსური პერსპექტივის მიზეზების ამოხსნა ამოვიკითხე ახლახან იტალიელი ჟურნალისტის, წიგნების ავტორის, ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატის — ჟულიეტო კეზას წერილიდან „მესამე მსოფლიო ომი უკვე დაიწყო“.**
**დაიძაბეთ?**
**შემდეგ უარესია. და ეს უარესი, მომავალი არმაგედონი, მოგვევლინება იმ ეპოქის შედეგად, როცა ადამიანების უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იქნება.**
**XXI საუკუნის დასაწყისში, როცა ჩვენ, კაცობრიობა, ინფორმაციის ნაკადის ცენტრში აღმოვჩნდით, მისი გაკონტროლების უნარი დავკარგეთ.**

ასეა რეალურად. სუბიექტურად კი გვჯერა ან თავს ვირწმუნებთ, რომ ვიცით ყველაფერი, რადგან „ეს ჩემი თვალით ვნახე!“,

„ინფორმაციას ახალ ენაზე გვაწვდიან, — წერს კეზა, — ეს არის მოძრავი კადრების ენა“, უსინტაქსო ენა.

ამ ენის გასაგებად მცოდნე გამშიფვრელებია საჭირო, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენს გაუნათლებლობას?

და რჩება „ილუზია, რომ შენ ყველაფერი იცი, სინამდვილეში კი არაფერი გესმის“, ვერაფერს იგებ.

ამ მოსაზრების განმარტებას ჟულიეტო კეზა 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში „ტყუპების“ — ორი ცათამბრჯენის — აფეთქების მაგალითით ცდილობს.

თითქოს ყველამ ყველაფერი ვნახეთ „საკუთარი თვალით“ და ახლაც, 13 წლის შემდეგ გვჯერა, რომ ასე იყო.

მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში?

„სახელმწიფო გადატრიალება დაგეგმა ადამიანების მცირე ჯგუფმა, რომელსაც მსოფლიო ისტორიის კურსის შეცვლა ჰქონდა განზრახული.

ეს ყველაფერი ხდება ამჟამადაც. ნუთუ ფიქრობთ, რომ უკრაინის მოვლენები ამასთან არ არის დაკავშირებული?! ისინი უშუალო კავშირშია, ერთი მეორის გაგრძელებაა“, — წერს იტალიელი ჟურნალისტი და ასკვნის, რომ 11 სექტემბერი იყო დასაწყისი ავღანეთის ომის, შემდეგ ერაყის ომის, ლიბიის, სირიის ომების. ახლა უკრაინაა. „ეს ყველაფერი ერთი და იგივეა“, ისტორიის კურსის შეცვლის მცდელობაა.

## მესამე მსოფლიო ომი რესურსების ნაკლებობის გამო დაიწყება

რა საჭიროა ომი? — თითქოს რიტორიკულ შეკითხვას სვამს ავტორი და იქვე განმარტავს: „ომი აუცილებელია, რადგან რესურსები უკვე ამ საუკუნის ნახევარში ყველასთვის სამყოფი აღარ იქნება. 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორებმა მაშინვე იცოდნენ, რა იქნებოდა დღეს, რადგან მათ ჰქონდათ ინფორმაცია, ჩვენ კი არ გვაქვს. მე-20 საუკუნის ბოლოს მოსახლეობის ზრდა ასეთი არ იყო, ახლა კი ადამიანების რაოდენობა 7 მილიარდამდე გაიზარდა“.

ცნობილია, რომ XX საუკუნეში ბევრმა ქვეყანამ მიზნად დაისახა, მიეღწია ევროპულ ქვეყნებში არსებული ცხოვრების დონისთვის. „დასავლეთს იმ დროს არსებობის მდიდარი შესაძლებლობები ჰქონდა, იგი თავის პირობებს კარნახობდა მთელ მსოფლიოს“, მაგრამ მსოფლიო ასპარეზზე სულ უფრო ძლიერად გამოდის ჩინეთი თავისი ახალი ეკონომიკური პოლიტიკით. იზრდება მისი შესაძლებლობები. ევროპა შეშფოთებულია: „თუ ჩინეთის მილიარდ 300-მილიონიანი მოსახლეობა დაიწყებს იმდენივე ხორცის ჭამას, რამდენსაც ჩვენ, მაშინ არც ჩვენ არც მათ ადგილი აღარ გვექნება ამ პლანეტაზე“, ამიტომ ჩინელები, „შორსმჭვრეტელი ხალხი, იმედოვნებენ იყიდიან აფრიკას“.

**ანალიტიკოსები გვეუბნებიან, რომ, თუ ინტენსიურად განვითარებადი ჩინეთი, ბრაზილია, ინდონეზია 5-6 წლის შემდეგ 50 მლნ ავტომანქანის დამზადებას შეძლებენ, არნახულად გააფართოებენ გზების ქსელს, მოაწყობენ ინფრასტრუქტურას, მაშინ ამ სიტუაციის დასაკმაყოფილებლად 3-4 პლანეტა იქნება საჭირო. დღეს 7 მილიარდი ვართ, 50 წლის შემდეგ 8 მილიარდი ვიქნებით და მოთხოვნილება არნახულად გაიზრდება.**

რესურსები სად ვეძებოთ?

„ასეთ პირობებში, — წერს ჟულიეტო კეზა, — ყველაზე ძლიერები იარაღს გამოიყენებენ, რათა ხელთ იგდონ საარსებო საშუალებები. ჩვენ ამ ფაზაში ვიმყოფებით. საშიშროება დიდია“.

რა ვქნათ, სად ვეძებოთ გამოსავალი?

ავტორი მიიჩნევს, რომ ერთადერთი გამოსავალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების შემცირებაა: „ჩვენ არ შეგვიძლია განვვითარდეთ ისე, როგორც მე-20 საუკუნეში ვვითარდებოდით, რადგან აღარ დაგვრჩება რესურსები — წყალი, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი“, ხოლო განახლებად ენერგიაზე (მაგალითად, მზის ენერგიაზე) გადასვლას დაახლოებით 120 წელიწადი დასჭირდება.

**ომის საშიშროება ილუზია არ არის, კარსაა მომდგარი.** „ილუზიებით დავიწყეთ, ილუზიებით ვამთავრებთ“. ჩვენს სამყაროში ადამიანებს შეიძლება და უნდა ჰქონდეთ სრული ინფორაცია, ყოველგვარ კომუნიკაციაზე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი, რათა მშვიდად იცხოვრონ.

მაგრამ ხდება პირიქით: „ჩვენ გაუნათლებელი ადამიანები ვართ, წერა-კითხვის უცოდინარები, არაფერი ვიცით, ცხოვრებაზე ჩვენმა წარმოდგენებმა მომხმარებლებად გვაქცია. ყოველ წუთს გვეუბნებიან, რომ უფრო მეტი რესურსი უნდა მოვიხმაროთ“.



## ვინ განაგებს ჩვენს ბედს?

სააკაშვილმა ვირტუალურ გარემოში ცხოვრებას მიგვაჩვია. ეს პოლიტგაბითურების მეთოდი იყო.

ჟულიეტო კეზას მიხედვით, დემოკრატიის ილუზიას ჰქმნიან ადამიანები, რომლებიც „თვეში ერთხელ იკრიბებიან მანჰეტენში და ნახევარ საათში წყვეტენ, სად დააბანდონ 3-5 მილიარდი დოლარი. ეს ადამიანები პრაქტიკულად უსახელონი არიან, მაგრამ ჩვენ ვიცით, ვინ მართავს მათ — მერილ ლინჩი, ჟიპი მორგანი, ბილ გეიტსი. ისინი არიან... სამყაროს ბატონ-პატრონები“.

მასმედია მათ ხელშია, ინფორმაციას სრულად მხოლოდ ისინი ფლობენ და ასევე სრულად გვიმალავენ.

ვინც ფლობს ინფორმაციას, განმკარგველიც ისაა!

კეზა ამტკიცებს: „მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, რომლებიც ინფორმაციას გაწვდით, რუსულის (მასმედიის) ჩათვლით, ამ ადამიანების ხელშია. როგორც კი მოხდება სახელმწიფო გადატრიალება, ისინი მთელ მედიას იპყრობენ“.

**ავტორი იმეორებს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, რომ ინტერნეტი სპეცსამსახურებისთვის ყველაზე უფრო მომგებიანი სივრცეა.** „ინტერნეტის 98 პროცენტი არის YouTube, მაშასადამე, ტელევიზიაც, თანაც ყველაზე უარესი. უამრავი ვიდეოკლიპი დეგენერატული ხასიათისაა, არადა, ბავშვები უყურებენ!“, ბავშვებისთვის კი ის, რასაც ნახულობენ, ერთადერთი რეალობაა, ამიტომაც ხდება მათი გადაგვარება“.

და ზუსტი დასკვნა, რომელიც ახსნის, თუ რატომ იზრდება მომავალი თაობა გამოთაყვანებული: „თანამედროვე ადამიანის ტვინის ფორმირება რეკლამისა და გართობის საშუალებით ხდება — ეს არის ფუნდამენტური ორი ელემენტი ადამიანის მანიპულირებისთვის“.

**ამიტომაც გაქრა ქართული ტელესივრციდან შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო თოქშოუები გართობის საუკეთესო საშუალებად იქცა, რომელთა ზოგიერთი მონაწილე, რეზო ამაშუკელისა არ იყოს, „ყურიდან ენას გვიყოფს“.**

## უკრაინის შესახებ

ეს-ესაა გავრცელდა ინფორმაცია, რომ სლავიანსკი ხელთ იგდეს უკრაინის რეგულარულმა ჯარებმა. პრეზიდენტმა პოროშენკომ ტელეეკრანიდან დაუფარავი სიამაყით გვახარა, რომ „ტერორისტთა ეს ბუდე“ დაემხო, რომ ქალაქი გათავისუფლდა „ამ არაადამიანებისგან“.

თანამემამულეებზე თქვა არაადამიანებიო — ნელრჩეორვეკმ. წამოსცდა? ვაი, რომ არა: პრეზიდენტმა წარმოთქვა არაერთხელ შემოწმებული და ჩასწორებული სიტყვა. ტელეეკრანზე სხვაგვარად ვერც წარმოჩნდებოდა.

მაშ, რა ხდება, საიდან გაჩნდა უკრაინის ლექსიკაში რასისტულ-ევგენიკური „უნტერმენშენი“ — „მდაბალი ადამიანები“, არაადამიანები? ფაშისტები თავიანთ ამ კონცეფციას ავრცელებდნენ ებრაელებზე, ბოშებზე, სლავებზე.

ნაცისტების რასობრივი პოლიტიკის კონტექსტში „მდაბალ ადამიანებს“ უპირისპირდებოდნენ „ზეადამიანები“, არიელები, რომლებსაც სუფთა სისხლის გერმანელები წარმოადგენდნენ.

სლავი, უკრაინელი, პოროშენკო ზეადამიანის როლმორგებული „უნტერმენშენებად“ — არაადამიანებად მოიხსენიებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქე რუსებს — სლავებს, რომლებსაც მისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ.

ნეოფაშიზმის აჩრდილი გადაეფარა უკრაინას...

ევროპაში, ამერიკასა და საერთოდ დასავლეთში აგორდა რუსოფობიის ტალღა, — მიიჩნევს იტალიელი ჟურნალისტი. „მე არ ვარ რუსი, მე რუსეთის მეგობარი ვარ“, — აცხადებს ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატი.

„ევროკომისიამ და ევროპულმა სტრუქტურებმა, აშშ-თან ერთად მოაწყვეს გადატრიალება კიევში... შეტევა წარმატებული გამოდგა: ხელთ იგდეს უკრაინა, გარკვევით ვამბობ, უკრაინის ყველა სტრუქტურა, რომლებიც გაზთანაა დაკავშირებული, დღეს აშშ-ის ხელშია. იწყება ომი გაზისთვის, ენერგიისთვის ნამდვილი შეტევა მიმდინარეობს“.

უკრაინა მესამე მსოფლიო ომის პირველი ეპიზოდია, მაგრამ რუსეთს მშვიდობიანი თავდაცვის დიდი შესაძლებლობა აქვს, რადგან ამ საქმეში კიდევ ერთი დიდი მოთამაშეა ჩართული – ჩინეთი, რომლის მილიარდ 700-მილიონიან მოსახლეობას სჭირდება ენერგია. ენერგიის წყარო კი რუსეთია. რუსეთიდან ჩინეთში გაზსადენის გაყვანას 7-8 წელიწადი სჭირდება. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა რეალურია. „ერთი მხრივ, იქმნება რუსეთისა და ჩინეთის ალიანსი, მეორე მხრივ, დასავლეთის გიგანტებია ამერიკა და ევროპა. სამწუხაროდ, ისინი განსაზღვრავენ ჩვენს მომავალ ცხოვრებას“.

## საიდან აქვს ამერიკას ნეოფაშიზმის დასაფინანსებელი ფული?

კიევის მაიდანზე გამოსული „მარჯვენა სექტორი“, „სვობოდა“ ფაშისტები რომ არიან, კეზას ეჭვი არ ეპარება. მაგრამ ისინი არაფერს წარმოადგენენ, მხარდამჭერები რომ არ ჰყავდეთ. თავისი ამ დებულების გასამაგრებლად ავტორი იმოწმებს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის ასისტენტს ვიქტორია ნულანდს, რომელმაც შარშან, შუა დეკემბერში თქვა: „ჩვენ 15 მილიარდი დოლარის ინვესტირება მოვახდინეთ, უკრაინელი ხალხისთვის რომ მიგვეცა ის მომავალი, რომელსაც იმსახურებს“.

საიდან ეს ფული?

ამ მთავარ კითხვას ჟულიეტო კეზა საინტერესო მსჯელობით უპასუხებს, რომელსაც ჩვენს მკითხველს სრულად გთავაზობთ.

**„აშშ ყოველდღიურად 85 მილიარდ დოლარს აწარმოებს არაფრიდან. მას *(ფულის ამ მასას)* ქმნის კომპიუტერები. ისინი *(ამერიკელები)* თავიანთ ვალებს ისტუმრებენ ფულით, რომელსაც ხელოვნურად, ნულიდან ქმნიან. ასდოლარიანი ბანკნოტები იბეჭდება... ჩრდილოეთ კორეაში!** ფხენიანის მახლობლად. ეს არის მთელი ქალაქი, რომელიც გარშემორტყმულია ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებით, 69-ე დივიზიით. იქაა შექმნილი დოლარების საწარმოებელი ბაზა, ნამდვილი ამერიკული დოლარების. თუმცა ვერ იტყვი, რომ მართლაც ნამდვილია... ყალბი არ არის, ამავე დროს ყალბია.

რატომ ბეჭდავენ ამერიკელები ამ დოლარებს მაინცდამაინც იქ?

იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კორეა მსოფლიოში ყველაზე უფრო იზოლირებული ქვეყანაა. უმთავრესი კი ისაა, რომ ამით ახდენენ აშშ-ის ყველა საიდუმლო სამსახურის საიდუმლო დაფინანსებას. ამისთვის საჭირო არ არის, ხარჯის გასაზრდელად ეახლონ ამერიკის სენატს. შეიძლება პრეზიდენტი ობამაც არ ჩააყენონ საქმის კურსში. ასე, კონგრესის მხრიდან გაუკონტროლებლად, თავისუფლად აფინანსებენ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს.

საიდანაა ეს ფული უკრაინისთვის? სირიის „თავისუფალი“ არმიის დასაფინანსებლად? **იქიდანაა — ჩრდილოეთ კორეიდან! არის კრიმინალი, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას, აქვს ფული, შეუძლია დახოცოს ან იყიდოს მთელი მთავრობა“.**

ჟულიეტო კეზა თავის პუბლიკაციას გულახდილი და მკაცრი დასკვნით ამთავრებს, რომელიც ჩვენს უახლეს წარსულს სრულად მიესადაგება:

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ ელცინის დროს რუსეთმა ცოდნისა და დამოუკიდებლობის გიგანტური დანაკარგი განიცადა. გულახდილად გეუბნებით, ელცინმა უღალატა და მიჰყიდა თქვენი ქვეყანა ამერიკელებს, – ეუბნება ავტორი რუსებს, — მე დავწერე წიგნი „მშვიდობით, რუსეთო!“ მას შემდეგ, რაც ვნახე, რა ემართებოდა რუსეთს ელცინის ათწლეულში. **დღეს სხვა რამ ხდება: მიმდინარეობს თქვენი ფასეულობების აღდგენისა და შენარჩუნების პროცესი. მიმაჩნია, რომ ისტორიულ ფასეულობათა და ენის შენარჩუნების იდეა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია...** თქვენი თაობა უნდა ჩამოყალიბდეს დასავლეთის იდეებისგან საკუთარ ღირებულებათა დაცვის სულისკვეთებით, რომლებსაც (დასავლურ იდეებს) დემოკრატიულობის აღარაფერი სცხია“.

რჩევა გონივრულია.

**არმაზ სანებლიძე**
**AIF.RU-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მიხედვით**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაოდენ სამწუხაროა, ბატონო გუბერნატორო, რომ თქვენ ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევთ, თითქოს რეგიონში არც არსებობდეს ასეთი ისტორიული ადგილი, სადაც დავანებულია 1625 წლის 1 ივლისს დაღუპული 10 000 ქართველი, გმირი ქართველები, რომლებიც ლეგენდარულ ცხრა ძმა ხერხეულიძესთან, მათ დედასა და უმცროს დასთან ერთად, ყველანი, ვიმეორებ, 10 000 გმირი, დედა-ეკლესიამ წმიდანად შერაცხა, მაგრამ თქვენ, დღეს რეგიონის პირველ პირს, არც კი გინახავთ გმირთა ეს სავანე, არ გინახავთ-მეთქი, იმიტომ გეუბნებით ასე კატეგორიულად, რომ ლოგიკურია — თუ ნახავდით, ასე იავარქმნილი აღარ იქნებოდა იქაურობა.**

# ღია წერილი

## ქვემო ქართლის გუბერნატორს, ბატონ გიორგი მღებრიშვილს

# რა მიზნით იქმნება მარაბდის აკადემია



ბატონო გიორგი,

ექვსი წლის წინათ აღვადგინეთ „მარაბდობის“ მივიწყებული სახალხო დღესასწაული თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში მდებარე „ცხრა ძმა ხერხეულიძის“ მემორიალთან და ის ტრადიციულ დღესასწაულად ვაქციეთ, რათა ღირსეულად გავიხსენოთ მამულისთვის თავდადების სიმბოლოდ ქცეული ჩვენი სახელოვანი წინაპრები: ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და გუნდი და გუნდი სახელოვან რაინდთა — ეს არის სწორედ მარაბდის ბრძოლის უმთავრესი ზნეობრივი მონაპოვარი.

რაოდენ სამწუხაროა, ბატონო გუბერნატორო, რომ **თქვენ ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევთ, თითქოს რეგიონში არც არსებობდეს ასეთი ისტორიული ადგილი, სადაც 1625 წლის 1 ივლისს დაღუპული 10 000 ქართველი, გმირი ქართველები, რომლებიც ლეგენდარულ ცხრა ძმა ხერხეულიძესთან, მათ დედასა და უმცროს დასთან ერთად, ყველანი, ვიმეორებ, 10 000 გმირი, დედა-ეკლესიამ წმიდანად შერაცხა, მაგრამ თქვენ, დღეს რეგიონის პირველ პირს, არც კი გინახავთ გმირთა ეს სავანე,** არ გინახავთ-მეთქი, იმიტომ გეუბნებით ასე კატეგორიულად, რომ ლოგიკურია — **თუ ნახავდით, ასე იავარქმნილი აღარ იქნებოდა იქაურობა.** სირცხვილით, **ბავშვები, მოსწავლეები, სტუდენტები, სტუმრები ვერ წაგვიყვანია ოდესღაც ამ მართლაც აყვავებულ ბაღნარში, დღეს რომ ოთხფეხა და „ორფეხა“ საქონლის ბოსლად ქცეულა და, ჩვენი ძალებით, მხოლოდ დღესასწაულის წინა დღეებში თუ მოვაწესრიგებთ ცოტაოდენ:** არა ჭიშკარი, არა წყალი, არა სინათლე, არა სკამი და ა.შ და ა.შ. აქ არ არის, სრულიად **გაპარტახებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში შექმნილი ეს დიდებული და საამაყო ძეგლი.**

შარშან რომ არ მობრძანდით ღონისძიებაზე არც რაიონის გამგებელი და არც გამგეობის წარმომადგენელი ვინმე, ფრიად გაგვიკვირდა და ამიტომაც წლეულს, ჯერ კიდევ 27 ივნისს დილით გამოგიგზავნეთ ჩვენს ოფიციალურ ბლანკზე მოწვევის წერილი — ღმერთმა ხომ იცის, არაფერს გთხოვდით, მობრძანების გარდა. ეს ჩვენი რაინდული პატივისცემის გამოხატვა იყო ოდენ. სხვა თუ არაფერი, უხერხულია, გუბერნიის ხელმძღვანელობას არ შეატყობინო, ასეთ დიდ სახალხო დღესასწაულს რომ ატარებ მის რეგიონში — სტუმრები მოდიან არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. წლეულს, მაგალითად, მარტოხაშურიდან ჩამოვიდა 50-კაციანი დელეგაცია და უდიდესი წარმატებით წარმოადგინა ნახევარსაათიანი პროგრამა...

რა უნდა გვექნა მეტი, როგორც კი ოფიციალური წერილი გამოგიგზავნეთ, უმალ თქვენს მდივანს, ქალბატონ ანას **ორჯერ**, დიახ, ორჯერ ველაპარაკე პირადად, რაც თავადაც განუცხადა თქვენს პირველ მოადგილეს, მაგრამ რა? **თქვენი პირველი მოადგილე გვარწმუნებდა, 2 ივლისს მივიღე თქვენი წერილი და მარაბდობა 1-ში ყოფილაო (ე. ი. მასაც არ სცოდნია, როდისაა მარაბდობა (ვაი, სირცხვილო!).**

კი, მაგრამ, **ბატონო გუბერნატორო, თქვენს ელექტროფოსტაში რომ ჯერ კიდევ 27 ივნისს, 12:07 სთ-ზე, მიღებული ჩვენი წერილი თქვენს პირველ მოადგილეს თუ მართლა 6 დღის შემდეგ — 2 ივლისს მიუტანეს, ეს ვისი ბრალია — ჩვენი დასის თუ თქვენი ადმინისტრაციის?** მე რომ ვიცოდი თანამედროვე მაღალჩინოსნების დაუდევრობა, ამიტომაც ორჯერ ვთხოვე თქვენს მდივანს 27 ივნისს, რომ როგორმე იმ დღესვე მოეწოდებინა თქვენთვის ეს წერილი, მაგრამ ხომ ხედავთ, ამაოდ. 4 ივლისს თავად ჩამოვედი რუსთავში პროფესორ ჰენრი კუპრაშვილთან ერთად, რათა შეგვემოწმებინა ჩვენი წერილის ბედი... თქვენი პირველი მოადგილე სულ იმას იმეორებდა, მხოლოდ 2 ივლისს მივიღეთ თქვენი წერილიო. **თუ მართლაც 2 ივლისს მოვიდა ეს წერილი, რატომ მაშინვე არ გაარკვიეს, რა მოხდა — თქვენმა ადმინისტრაციამ თქვენივე ელექტროფოსტიდან ადრესატამდე წერილის მიწოდებას რატომ მოანდომა 6 დღე?! ან იმ 2 ივლისს მაინც დაგერეკათ ჩვენს ნომრებზე და რაღაც სინანული გამოგეთქვათ — ჩვენს ოფიციალურ წერილში ხომ ყველა კოორდინატია ზუსტად მითითებული?!**

მაგრამ, როგორც უნდა ვივარაუდოთ, **თქვენს ადმინისტრაციაში არც არავინ იცის მარაბდობის თარიღი და, რაც მთავარია, თვით არსი ამ ისტორიულ ბრძოლისა...**

აი, ეგ არის, ბატონო გუბერნატორო, უბედურება — წინა მთავრობა ისე გვექცეოდა, როგორც ოპოზიციონერებს და ეს მარაზმი იქამდეც კი მივიდა, რომ ჩვენი პირველი მასპინძელი, თეთრიწყაროს რესურსცენტრის იმჟამინდელი დირექტორი, ქალბატონი გულნაზ აფციაური, არც მეტი, არც ნაკლები, სამსახურიდან გააგდეს ჩვენთან შეხვედრის გამო! **თქვენ რა, ბატონო გუბერნატორო, წინამორბედის გზას განაგრძობთ?**

სულაც არ ვაპირებთ თქვენთვის ჭკუის სწავლებას, გარემოცვას მიხედე-მეთქი და ა. შ. მაგრამ ერთ რამეს კი გპირდებით — ჩვენი დასი აღარასდროს შეგაწუხებთ...

საქართველოს ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩოხოსან რაინდთა დასში გაერთიანებულია თანამედროვე ქართული ინტელექტუალური ძალის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი და ძალიანაც კარგად ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ღირსეულად დავაფასოთ ჩვენი გმირი წინაპრები და ავაღორძინოთ „ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალი“. ისიც კარგად ვიცით, როგორ გავხსნათ მარაბდის აკადემია, ცხადია, საზოგადოებრივ საწყისებზე და ეს იქნება ჩვენი მოზარდი თაობის შეხვედრების მეტად საინტერესო ცენტრი. იმასაც გაგიმხელთ, რომ სწავლის დაწყებისთანავე ჩავატარებთ (უკვე მომზადებულიც გვაქვს) პირველ მეცადინეობას, სხვათა შორის, რუსთავის ერთ-ერთი სკოლის მონაწილეობით (ამ სკოლას ვერ დაგისახელებთ, ვინძლო, არ დატუქსოთ ჩვენთან თანამშრომლობისთვის), თემასაც აქვე წარმოგიდგენთ: „რაინდის სახე ქართულ ლიტერატურაში“, მას საფუძვლად დაედება შესანიშნავი ქართველი მწერლის — რევაზ ინანიშვილის ნაწარმოები. ერთი სიტყვით, **ღირსეულად აღვადგენთ „ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალს“, მაგრამ ეს მოხდება უთქვენოდ, ბატონო გუბერნატორო, რაკი თქვენი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომ იტყვიან, ცივ ნიავსაც არ გაკარებენ და ახლა ისღა აკლიათ, ჩოხოსანთა წერილებით გადაგლალონ...**

**ნუთუ ყმაწვილკაცობაში ლადო ასათიანის მგზნებარე სიტყვები მაინც არ წაგიკითხავთ: „მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა!“.**

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ბატონო გუბერნატორო, თქვენს გზაზე, რომელიც თქვენი ადმინისტრაციის პატრონს, სამწუხაროდ, ვერანაირ ტაძართან ვერ მიგიყვანთ.

**პატივისცემით,**

**საქართველოს ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის მეთაური, აკ. წერეთლის პრემიის ლაურეატი, პროფესორი**

**გოგი დოლიძე**







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ტანგოს“ შექმნის რამდენიმე ვერსია არსებობს. პირველის მიხედვით, ეს ცეკვა ესპანური „ფლამენკოსგან“ წარმოიშვა და შემდეგ არგენტინის ეროვნულ ცეკვას შეერწყა. მეორე ვერსიით, იგი აფრიკული ცეკვა „ტანგანოსგან“ წარმოიშვა. არსებობს კუბური ვერსიაც, რომლის თანახმადაც, „ტანგო“ კუბური ცეკვა „ჰაბანერას“ რომანტიკული ვარიანტია.



# ყველაფერი «ტანგოს» შესახებ

**„ტანგო“ კლასიკური ცეკვის ყველაზე რომანტიკული სახეობაა. მისი ცეკვისას ქალი და მამაკაცი ყოველთვის შეყვარებულ წყვილად აღიქმება. „ტანგოს“ შეყვარებულთა არისტოკრატიულ ცეკვასაც უწოდებენ, თუმცა, თუ მის ისტორიას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ ის ამერიკაში ევროპიდან ემიგრირებული ღარიბებისა და მონების ცეკვა იყო. დღეისთვის „ტანგოს“ სამშობლოდ არგენტინაა მიჩნეული, თუმცა ისტორია სხვას გვეუბნება.**

ბრაზილიელებს, მექსიკელებს, ბოლივიელებს, პარაგვაელებსა და ესპანელებს რომ ჰკითხოთ, დაუფიქრებლად გიპასუხებენ, რომ „ტანგო“ მათი ეროვნული ცეკვაა. ასე რომ, მისი წარმომავლობა ბუნდოვანია, თუმცა ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში გაჩნდა, უდავოა.

პირველად სიტყვა **ტანგო** ცეკვასთან დაკავშირებით 1890 წელს გამოიყენეს და დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭდა.

„ტანგოს“ შექმნის რამდენიმე ვერსია არსებობს. პირველის მიხედვით, ეს ცეკვა ესპანური „ფლამენკოსგან“ წარმოიშვა და შემდეგ არგენტინის ეროვნულ ცეკვას შეერწყა. მეორე ვერსიით, იგი აფრიკული ცეკვა „ტანგანოსგან“ წარმოიშვა. არსებობს კუბური ვერსიაც, რომლის თანახმადაც, „ტანგო“ კუბური ცეკვა „ჰაბანერას“ რომანტიკული ვარიანტია.

ყველაზე გამოკვეთილი კი მაინც ესპანური წარმომავლობაა, კერძოდ, მავრიტანიული. მე-15 საუკუნეში მავრიტანიელები დღესასწაულს „ტანგოს“ გარეშე არ მართავდნენ. როდესაც მათ ბოშებთან ერთად პირინეის ნახევარკუნძულიდან წასვლა დაიწყეს, დიდი ნაწილი არგენტინაში დასახლდა. იქაურ ხალხს ძალიან მოეწონა „ტანგო“ და მას „შეყვარებულთა როკვა“ უწოდა. სულ მალე „ტანგო“ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მთავარი ცეკვა გახდა და თავის სამშობლოს, ევროპას, იქედან დაუბრუნდა, ოღონდ უკვე ახალი სახელწოდებით — „არგენტინული ტანგო“.

ევროპაში „ტანგომ“ ეროტიკული ხასიათი დაკარგა. სწორედ იქ შეუცვალეს მას იერ-სახე, ანუ წესად დაუდგინეს ქალისა და მამაკაცის ისეთი გაყინული სახეები, როგორიც დღეს აქვთ მოცეკვავეებს. ერთადერთი, რაც დღეისათვის თანამედროვე „ტანგოს“ წინაპართაგან შემორჩა, ეს თეძოების რხევა და როკვაა.

ხშირად ტანგოს პარიზის დამახასიათებელ ცეკვად მიიჩნევენ, თუმცა სიყვარულის ქალაქში ამ ცეკვამ მხოლოდ 1907 წელს შეაღწია. მსოფლიოს დაპყრობა სწორედ აქედან მოხდა, რადგან ტანგო სულ მალე იქცა არისტოკრატული სალონების წამყვან ცეკვად. თანდათანობით მუსიკას, რომელსაც ადრე ფლეიტით და სხვა სპეციფიკური საკრავებით ასრულებდნენ, ვიოლინო და გიტარა დაემატა. უკვე მე-20 საუკუნის 40-იან წლებში „ტანგო“ პოპულარობის ზენიტში იყო.

1930-1950-იანი წლები, გამეფებული დიდი დეპრესიის მიუხედავად, „ტანგოს“ ოქროს ხანად იქცა. ჩამოყალიბდა უამრავი ანსამბლი, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ ნიჭიერი და პერსპექტიული კომპოზიტორები და „ტანგოს“ შემსრულებლები, რომელთა შემოქმედებაც დღეს კლასიკადაა აღიარებული (ანიბალ ტრიო, ოსვალდო პუგლიეზე, ასტორ პიაზოლა და სხვა მრავალი). „ტანგოს“ ხელახლა დაბადებად 1983 წელია მიჩნეული, როცა ნიუ იორკში გაიხსნა შოუ სახელწოდებით „forever Tango“.

სალონის „ტანგო“ გამოირჩევა მოცეკვავეების უფრო გახსნილი პოზიციით და „ტანგოს“ სხვა მიმდინარეობებზე გაცილებით იმპროვიზაციულია, დატვირთულია სხვადასხვა მოძრაობითა და მკვეთრი ილეთებით, მრავალფეროვანი ნაბიჯებით, ბრუნებით, მანერითა და პოზებით.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მსოფლიოში სამხრეთული, განსაკუთრებით ლათინური, ცეკვების ბუმი დაიწყო. ეს ჭეშმარიტად სახალხო ცეკვები არისტროკრატულ წრეებში შეიჭრა და პრესტიჟული და მოდური გახდა.

არგენტინაში სამხედრო დიქტატურის დამყარების შემდეგ ცეკვის ეს სახეობა აკრძალეს და მისი ღიად შესრულება მხოლოდ 20 წლის შემდეგ — 60-იან წლებში გახდა შესაძლებელი. ამ პერიოდში იგი პოპ-მუსიკას შეეჯახა და კლასიკის რანგში გადავიდა. ახალგაზრდობა, რა თქმა უნდა, თანამედროვე მუსიკას დაეუფლა, თუმცა „ტანგოს“ სწავლა სავალდებულო იყო.









**„ტანგოს“ არაერთი მიმდინარეობა არსებობს, მათ შორის: არგენტინული, ურუგვაული, სამეჯლისო, ფინური და ძველებური „ტანგო“.**

„ტანგოს“ ყველა გამოჩენილი მოცეკვავე აღნიშნავდა, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე, უბრალოდ, ცეკვა, მას აზარტსაც კი ადარებდნენ. საკმარისია, ადამიანმა „ტანგო“ ერთხელ იცეკვოს, რომ მისთვის დამახასიათებელი ვნების ალი მოსვენებას აღარ მისცემს და მუდამ ნოსტალგია ექნება.

მთავარია, „ტანგოს“ ცეკვისას დაიცვა ის ეტიკეტი, რომელიც ამ ცეკვას ახასიათებს. მოცეკვავეები იმდენად ვნებიანნი ხდებიან, რომ ხშირად აღნიშნავენ, ცეკვისას ქალმა და მამაკაცმა სიყვარულზე არ უნდა იფიქრონ. **ცეკვისას მთავარია, მამაკაცმა ქალი თავისი მიმართულებით ატაროს. თუ ქალმა ინიციატივა ხელში ჩაიგდო, მაშინ ეს ცეკვა აღარ არის.** ისიც თვალშისაცემია, რომ ცეკვისას არის მომენტები, როცა წყვილს შორის აშკარა უთანხმოებაა. ამას სპეციალისტები შემდეგნაირად ხსნიან: „ტანგო“ ეს არის ცხოვრება სიყვარულში. სიყვარული კი არ არსებობს მცირედი კონფლიქტების გარეშე.

„ტანგოს“ კოსტიუმები გადატვირთული და ძვირფასი არ არის. მამაკაცს შავი კოსტიუმი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია, ხოლო ქალს — წითელი, ტანზე შემოტმასნილი კაბა. სპეცილაისტების აზრით, მოცეკვავეების თვალებში ვნებასთან ერთად შურისძიებაც უნდა იგრძნობოდეს, თითქოს ისინი დუელში იწვევენ ერთმანეთს.

**ყოველ წელს ბუენოს-აირესში ტანგოს ფესტივალი იმართება. დღესასწაულზე დასასწრებად მთელი მსოფლიოდან ასობით მონაწილე და უამრავი ტურისტი ჩადის. მოცეკვავე წყვილების ნახვა ქუჩებსა და მოედნებზეც შეიძლება.** ქუჩებშივე ტარდება ტანგოს გაკვეთილები. ერთკვირიან ფესტივალს ბუენოს აირესის მერია მასპინძლობს. არგენტინის ხელისუფლება ამბობს, რომ ცეკვა მათი ეროვნული საგანძურია. „ტანგო“ იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

**ბუენოს-აირესში არის ტანგოს მსოფლიო მუზეუმიც, რომელიც 2003 წლის დეკემბერში გაიხსნა.** ▶







## ასაკოვნებს facebook-ი მოსწონთ

**თანამედროვე ადამიანს სოციალური ქსელის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.** ალბათ, დღეში რამდენიმეჯერ ამოწმებთ „ფეისბუქის“ პროფილს და ინტერესდებით რამდენი კომენტარი, ან შეარი აქვს თქვენს ფოტოსა თუ პოსტს. კვლევაში, რომელიც Pew Research Center-მა წარმოადგინა, წერია, რომ „ინსტაგრამის“ მომხმარებელთა ასაკი 35 წელს ქვევითაა, მაშინ, როცა„ფეისბუქს“ უფრო ასაკიანები სწყალობენ. „ტვიტერის“ მომხმარებელთა 50% 20-დან 30 წლამდე ასაკის ადამიანები არიან.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტანგოს მუსიკის საუკეთესო ავტორად დღემდე ასტორ პიაცოლაა მიჩნეული. ბანდონეონზე დაკვრის პარალელურად მისმა კომპოზიციებმა რევოლუცია მოახდინა ტრადიციულ „ტანგოში“ თანამედროვე სტილის შემოღებით — ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ელემენტების „ტანგოში“ შერწყმით ჩაისახა სტილი, რომელსაც „ნუევო ტანგო“ შეარქვეს. პიაცოლა მის მშობლიურ არგენტინაში ცნობილია, როგორც „El Gran Astor“ („დიდი ასტორი“).

11 დეკემბერი „ტანგოს“ საერთაშორისო დღეა. ამ დღეს დაიბადა „ტანგოს“ უბადლო შემსრულებელი, არგენტინელი მსახიობი და მომღერალი კარლოს გარდელი. ტანგოს მუზეუმი ბუენოს-აირესში სწორედ იმ სახლშია გახსნილი, რომელშიც მან სიცოცხლის უდიდესი ნაწილი გაატარა.

**როდესაც კინოფილმის სცენარში ტანგოს ეპიზოდს ხედავენ, მასში მონაწილე მსახიობები, როგორც წესი, არ ჩქარობენ დუბლიორებად პროფესიონალი მოცეკვავეების მოწვევას და ცდილობენ, თავად აითვისონ ილეთები. უმეტეს შემთხვევაში, მათ ეს საუკეთესოდ გამოსდით — ვარსკვლავების ტანგო ფილმის ერთ-ერთი გამორჩეული და ამაღელვებელი მომენტი ხდება, რისი მაგალითიც „ქალის სურნელში“ ალ პაჩინოს ცეკვაა.**

ფილმის „მისტერ და მისის სმიტები“ გადაღებისას ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა დაამტკიცეს, რომ „ტანგო“ სიყვარულის გამოხატულებაა.

მართალია, „ტანგომ“ დიდ აღიარებასა და წარმატებას მიაღწია, მაგრამ ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, რომელთა წყალობითაც ის მალევე გაეხვა კრიტიკის ქარცეცხლში.

პაპმა ბენედიქტ მეოთხემ „ტანგო“ უღირს, აღვირახსნილ ცეკვად გამოაცხადა და აკრძალა. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ „ტანგო“ ანგრევს ოჯახებს და კლავს კეთილგონიერებას.

ბენედიქტ მეოთხეს მხარი დაუჭირა პარიზის არქიეპისკოპოსმა ლეონ ადოლფ ამეტმა. მან თავის მრევლს ამ უზნეობაში მონაწილეობის მიღება აუკრძალა.

„ტანგოს“ მოწინააღმდეგე იყო, ასევე, კაიზერ ვილჰემ მეორე. მან თავის სასახლეში აკრძალა ეს ცეკვა. მისი აზრით, მამაკაცი, რომელიც „ტანგოს“ იცეკვებდა, ერის ღირსებას შეარცხვენდა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ფაქტია, რომ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ბრენდი „ტანგო“ არგენტინის ეკონომიკას წელიწადში 180 მილიონი აშშ დოლარით ამდიდრებდა. „ტანგოს“ ფესტივალის დროს კი ბიუჯეტი ნახევარი მილიონი აშშ დოლარით ივსება.

თუ გადაწყვეტთ, „ტანგო“ შეისწავლოთ, მზად იყავით სიყვარულისთვის. შესაძლოა, ბოლომდე დახვეწილად არ გამოგივიდეთ რომელიმე მოძრაობა, მაგრამ მთავარია, მიენდოთ პარტნიორს და ცეკვაც თავისთავად გამოგივათ. ცეკვის დროს არ იფიქროთ ნაბიჯებზე, სხეულის პროპორციებზე, დახუჭეთ თვალები და მთლიანად აჰყევით გრძნობებს, ყოველივე ამის შემდეგ კი „ტანგოს“ მაგია მოგნუსხავთ.

# პირველი ხუთკარიანი MINI

**ბოლო წლებია, კომპანია MINI Cooper პოპულარობის პიკზეა მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. მან მიიღო უზარმაზარი საფინანსო მარაგი და ახლა უკვე გაბედულად ატარებს სხვადასხვა ექსპერიმენტს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ კომპანიამ წარადგინა პირველი ხუთკარიანი ავტომობილი MINI MINI 5.**





ხუთკარიან მოდელზე გადასვლამ კომპანია MINI Cooper-ისგან მოითხოვა დიდი ძალისხმევა. ამისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ავტომობილის სამკარიანი ბაზის დაჭიმვა, საჭირო იყო მთელი კონსტრუქციის გადაკეთება. ავტომობილის დიზაინი ძალიან არ შეცვლილა — MINI-ს სტილი უმალ იგრძნობა.

MINI 5-ს უკვე ველარ ვუწოდებთ „მინიატურულს“. მისი ზომები გაიზარდა არამხოლოდ სიგრძეში, არამედ სიმაღლესა და სიგანეშიც. ავტომობილის სალონში მოიძებნება ადგილი საკმარისად მაღალი ადამიანებისთვისაც კი, რომლებიც MINI-ს ძველ ვერსიაში დიდი წვალებით ძვრებოდნენ ან საერთოდ ვერ თავსდებოდნენ.

**ხუთკარიანი MINI 5 აღჭურვილია 2-ლიტრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრეც არის 192 ცხენის ძალა. ის მანქანას საშუალებას აძლევს, რომ 6,8 წამში გაიაროს 100 კილომეტრი. ამ ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე შეადგენს 230კმ/სთ.**

თუკი მომხმარებელს სურვილი ექნება, MINI 5 დაკომპლექტებული იქნება დამატებითი საჭით, დაჯახებებისგან დაცვის ინტელექტუალური სისტემით, ადაპტური სინათლის სისტემით, საგზაო ნიშნების კონტროლერით, უკანა კამერით და პარკტრონიკით.

MINI 5 გაყიდვაში გამოვა 2015 წელს. საბაზო კომპლექტაციის ფასი იქნება 15900 ბრიტანული ფუნტი.





# 16 მილიონი ფერი ერთ კალამში




**ოცნებები სრულდება და ის სანუკვარი ოცნებაც, რომელიც აერთიანებდა მხატვრებსა და დიზაინერებს მთელი მსოფლიოდან, ასრულდა. ახალი უნიკალური გამოგონება, რომელიც თითქოს არაფრით განსხვავდება ერთი ჩვეულებრივი კალმისგან, საშუალებას გაძლევთ, გადააკოპიროთ ნებისმიერი ფერი საგნიდან და არჩეული ფერით დაწეროთ ჩვეულებრივ ფურცელზე.**



ეს უნიკალური კალამი შექმნეს მარკ ბარკერმა და რობერტ ჰოფმანმა. ზომით ის ოდნავ დიდია პლანშეტის სტილუსზე. კალამი მუშაობს RGB-ის და ARM 9-ის მიკროპროცესორებზე — ფერების 16-ბიტიან გადამცემებზე, რათა მოახერხოს ფერის გარჩევა პრაქტიკულად ნებისმიერი ზედაპირიდან. ახალი უნიკალური კალმის მთავარი უპირატესობა არის ჩვეულებრივ ქაღალდზე ან პლანშეტზე ნებისმიერ ფერში წერა.

შემქმნელების თქმით, ამ მოწყობილობას შეუძლია 16 მილიონი ფერის გადმოცემა, ამისთვის საჭიროა, მხოლოდ მივუახლოვოთ პრაქტიკულად ნებისმიერ ნივთს.

Scribble+ არის სპეციალური მობილური აპლიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, შეინახოთ და გამოსახოთ ფერები, მათი მომავალი გამოყენებისთვის პლანშეტზე ან მობილურზე.

# რომელია საუკეთესო ქალაქი ცხოვრების პირობების მხრივ?



**ბრიტანულმა ჟურნალმა Monocle-მა, რომელიც დიზაინის, კულტურისა და მეწარმეობის თემებს აშუქებს, საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქების სია გამოაქვეყნა.**

სარეიტინგო სიის პირველ სამეულში მოხვდნენ კოპენჰაგენი (დანია), ტოკიო (იაპონია) და მელბურნი (ავსტრალია).

ბრიტანელი ექსპერტების აზრით, დანიის დედაქალაქი ტოლერანტულობისა და მაღალი კულტურის მქონე ქალაქია. იგი მნახველებს ალაფრთოვანებს შესანიშნავი არქიტექტურით. გარდა ამისა, აქ შესანიშნავად მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვილა LA LEOPOLDA მდებარეობს საფრანგეთის პატარა საკურორტო ქალაქ ვილფრანშ-სიურ-მერის ტერიტორიაზე, ნიცასა და მონტე-კარლოს შორის. ვილა ცნობილია ულამაზესი ხედებით ზღვაზე და უზარმაზარი ბაღით, რომელიც გაშენებულია 10 აკრზე, ანუ 4 ჰექტარზე და რომელსაც 50 მებაღე უვლის.**







# LA LEOPOLDA — ყველაზე ძვირადღირებული ვილა



**ვილა La Leopolda მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ კერძო სახლად ითვლება. ბრიტანეთის გაზეთი „Daily Express“ იტყობინება, რომ ჩუკოტკის ყოფილი გუბერნატორი, რომან აბრამოვიჩი ყიდულობდა ვილას Villa La Leopolda საფრანგეთის რივიერაზე 500 მილიონ ამერიკულ დოლარად. მოგვიანებით კიდევ ერთმა ბრიტანულმა გაზეთმა — „The Independent“-მა მოიძია ინფორმაცია ვილის გაყიდვაზე და ადრე მოძიებული ინფორმაცია ეჭვქვეშ დააყენა, ბრიტანელმა ჟურნალისტმა გამოიყენა ოლიგარქ აბრამოვიჩის წარმომადგენელის წყარო მოსკოვში. მანამდე ვილა ეკუთვნოდა ბილ გეიტსს, რომელმაც ის 250 000 000 ევროდ შეიძინა.**

ვილა La Leopolda მდებარეობს საფრანგეთის პატარა საკურორტო ქალაქ ვილფრანშ-სიურ-მერის ტერიტორიაზე, ნიცასა და მონტე-კარლოს შორის. ვილა ცნობილია ულამაზესი ხედებით ზღვაზე და უზარმაზარი ბაღით, რომელიც გაშენებულია 10 აკრზე, ანუ 4 ჰექტარზე და რომელსაც 50 მებაღე უვლის. ვილაში განთავსებულია 15 საძინებელი ოთახი და 14 სააბაზანო, საცურაო აუზი, ავტოფარეხები, გოლფის სათამაშო მოედანი, ბაღები, ასევე სახლის შემადგენლობაში შედის იქვე მდებარე სანაპიროს ნაწილიც....

საინტერესოა ის, რომ **ამ ვილას სახელი ბელგიის მეფის, ლეოპოლდ II-ის პატივსაცემად ეწოდა — მან ამ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი სულ რაღაც ერთ ფრანკად შეიძინა და აქ ვილა 1902 წელს ააშენა თავისი საყვარელი ადამიანისთვის.** ერთ დროს ამ ვილაში „ფიატის“ იმპერიის დამაარსებელი, ჯოვანი ანიელი ცხოვრობდა. მამულის მფლობელი თავის დროზე იყო ბილ გეიტსიც, ხოლო ამჟამად აქ მისი მფლობელი ლილი საფრა, ლიბანური წარმოშობის შვეიცარიელი ბანკირის ედმონ საფრას ქვრივი, ცხოვრობს.

ასევე ცნობილ და ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენსაც — მიხეილ პროხოროვსაც დიდი სურვილი ჰქონდა, შეეძინა ვილა, მაგრამ მილიარდერი ოლიგარქი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აშკარად დააშინა, რაც ბოლო ხანებში „The Times“-ის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამაც დაადასტურა: „ბიზნესმენმა გადაიფიქრა ფრანგულ რივიერაზე Villa Leopolda-ს — მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სახლის შეძენა, რომელიც 500 მილიონ ევროდ არის შეფასებული“. უძრავ ქონებაზე ფასმა ბოლო დროს მსოფლიოს მასშტაბით ძალიან დაიკლო, ამიტომ ამ სახლში ფულის დაბანდება მან არახელსაყრელად მიიჩნია. პრესაში ისიც კი გაცხადდა, რომ ახალგაზრდა ბიზნესმენი შევაჭრებასაც შეეცადა. მას სურდა, ამ სახლში 200 მილიონი ევროთი ნაკლები გადაეხადა, რაც არ გამოუვიდა.

ამჟამად ოლიგარქის ადვოკატები ცდილობენ, უკან დაიბრუნონ ამ სახლში წინასწარ გადახდილი 39 მილიონი ევრო, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ფრანგული კანონების მიხედვით, საქმიანი გარიგების ხელმოწერის შემდეგ, იმავე გარიგებაზე უარის თქმის შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი ფული გადამხდელს უკან არ უბრუნდება.









## მსოფლიოში საკვების მესამედი ნაგავში იყრება

**გაერომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმადაც აშშ-ში წარმოებული პროდუქტების 40% ნაგავსაყრელზე ხვდება, ხოლო ევროპაში ყოველწლიურად ნაგავსაყრელზე 100 მილიონი ტონა საკვები პროდუქტი იყრება. ამასთან, მსოფლიოში იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებიც შიმშილობენ, მილიარდს მიაღწია.** გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს მონაცემების თანახმად, მთლიანობაში მსოფლიოში წარმოებული საკვების დაახლოებით მესამედი იკარგება ან გამოიყენება არადანიშნულებისამებრ. მოხსენებაში ექსპერტები ასკვნიან, რომ მიუხედავად პრობლემის გლობალური ხასიათისა, ის მხოლოდ ადგილობრივ დონეზე შეიძლება გადაიჭრას. ამ პრობლემის საფუძველში დევს ბევრი სხვადასხვა მიზეზი და სხვადასხვა ქვეყანას უწევს მისი განსხვავებულად მოგვარება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# შინაური ვეფხვები



**ვეფხვები ველურობის, მრისხანების, სისასტიკისა და ულმობელობის სიმბოლოები არიან, მაგრამ არა ორლანდოელი 57 წლის ჯენის ჰეილისთვის. მისი თვალთახედვით, ვეფხვები იგივე კატები არიან, უყვართ ბურთით თამაში, ნავარდი და ბალახზე „ცელქობა“.**

საერთოდ, ვეფხვს თვალის ფორმა მრგვალი აქვს, კატებისგან განსხვავებით. კატები ღამის ცხოველებად ითვლებიან, ვეფხვები კი — ბინდის, როგორც წესი, ისინი ნადირობას გამთენიისას ან საღამოს იწყებენ. ჯენის ჰეილის ამ მტაცებელი ცხოველების განსაკუთრებული სიყვარული აქვს. ის თავის ველურ კატებთან ერთად პოზირებს. როდესაც ნახავთ, როგორ ატარებს დროს თავის ორ საყვარელ ცხოველთან — 12 წლის მდედრ ბენგალის ვეფხვთან და 7 წლის თეთრ მამრ ბენგალის ვეფხვთან, მიხვდებით, რომ ისინი ისეთივე მოსიყვარულე ცხოველები არიან, როგორც მათი პატარა შინაური „კოლეგები“.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ლომების, ავაზების, ლეოპარდებისა და განსაკუთრებით ვეფხვების რაოდენობა გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა. აზიურ მედიცინაში ვეფხვის ძვლები და ორგანოები ძვირფასი მასალაა სამკურნალოდ, თუმცა ეს ცხოველები იმდენად გაიშვიათდნენ, რომ ისინი ლომებმა ჩაანაცვლეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვეფხვის კანზე გამოსახული ზოლები უნიკალურია — ეს ერთგვარად „თითის ანაბეჭდია“, ხოლო ვეფხვის შუბლზე გამოსახული ნიმუში ძალიან წააგავს ერთ-ერთ ჩინურ იეროგლიფს, რომელიც „მეფეს“ აღნიშნავს, ამიტომაც ამ ცხოველებს ჩინურ კულტურაში გარკვეული სტატუსი აქვთ.





# 77 წლის მსოფლიო ჩემპიონი

**ამ საოცარ პენსიონერს სახელად დოროთი მაკ'ლენანი ჰქვია. წარსულში დოროთი ბანკის კლერკი იყო, ახლა კი, 77 წლის ასაკში, რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, ჭოკით სიგრძეზე ხტომაში, სპრინტში (რბოლა მოკლე დისტანციაზე) და შვიდჭიდშიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა...**

დოროთიმ 50 წლის ასაკში დაიწყო პროფესიონალური მომზადება მსუბუქ ათლეტიკაში და არაერთი ოქროს მედალი მოიპოვა.

გამოსვლებში მონაწილეობის მისაღებად პენსიონერ ქალბატონს ეხმარება ვაჟიშვილი სტივენი, რომელიც კარგი სპორტსმენიც არის და დედის მწვრთნელიც. სტივენი არამხოლოდ კარგი შვილი და სპორტსმენი, არამედ ყველაზე ნიჭიერი და დაუღალავი მწვრთნელიც აღმოჩნდა. ხოლო თვით დოროთი თავს არ ზოგავს და მსუბუქი ათლეტიკის ცენტრში ყოველდღიურად 4 საათის განმავლობაში ვარჯიშობს.

**დოროთი მაკ'ლენანი მონაწილეობდა მსოფლიო (World Masters) და ევროპის (European Master) შეჯიბრებებზე და თითოეულზე, მინიმუმ, ერთ მედალს მაინც იღებდა. დღესდღეობით მას 43 მედალი აქვს და მათგან 35 ოქროსია.**

ბებია დოროთი პირველად 1991 წელს გახდა ჩემპიონი ჭოკით სიგრძეზე ხტომაში, მაგრამ მან ისევ მოიგო ოქროს მედალი 2012 წელს და გახდა მსოფლიო ჩემპიონი 75-80 წლის ასაკის ჯგუფის კატეგორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ დოროთი თითქმის 80 წლისაა, მონაწილეობის მიღებას აპირებს 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში და იმედოვნებს, რომ დაამყარებს ახალ რეკორდს British Masters-ის ჩემპიონატზე.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დოროთი თავისუფლად ჯდება შპაგატზე (აღმოსავლეთის ტექნიკა) და გადმოაქვს ფეხი თავს ზემოდან გულმკერდამდე. შპაგატი დოროთის შემთხვევაში უნაკლოა — ორივე ფეხი მთელ სიგრძეზე ეხება იატაკს.

როგორც „the Daily Mail“ იტყობინება, დღესდღეობით დოროთი ცხოვრობს მანჩესტერში, ჩრდილო-დასვლეთ ინგლისში მეუღლესთან და შვილიშვილებთან ერთად.





# Di Welt: ნატო განხეთქილების პირასაა

**„უკრაინის კრიზისის პერიოდში რუსეთის მოქმედება ნატოსთვის მოულოდნელი იყო. ახლა სამხედრო ბლოკი „ციებცხელებიანივით“ ამუშავებს საპასუხო სტრატეგიას, რომელიც შეიძლება სწრაფი რეაგირების ძალების გაძლიერებას ითვალისწინებდეს,“ — წერს გერმანული გაზეთის — Di Welt-ის ჟურნალისტი კრისტოფ შლიტცი.**



შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ნატოს უელსის სამიტზე იგეგმება, ეს მარტივი საქმე არ არის: **„ალიანსში განხეთქილებაა, მასში შემავალი არც ერთი ქვეყანა მზად არ არის შეიარაღების მოდერნიზაციისა და სამხედრო მოსამსახურეთა ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად დაფინანსების გაზრდისთვის,“** — აღნიშნულია სტატიაში.

სავარაუდოდ, ალიანსი დაავალდებულებს ევროპის ქვეყნებს თავდაცვაზე ხარჯების გაზრდას, რომლისთვისაც ბევრი სახელმწიფო, მათ შორის, გერმანია, მზად არ არის. მიუხედავად ამისა, **აშშ, რომელიც ნატოს ბიუჯეტს 70 პროცენტით უზრუნველყოფს, ითხოვს, რომ სწორედ ისეთმა მდიდარმა სახელმწიფომ, როგორიც არის გერმანია, გაზარდოს თავისი წილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.** გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები „შესაბამის დაცვას ითხოვენ“. მაგალითად, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „არ წავა კომპრომისზე თავდაცვის საკითხებში. ესტონეთი თვლის, რომ მის ტერიტორიაზე ნატოს ძალები აუცილებლად უნდა განლაგდეს, ვიდრე ევროპაში უსაფრთხო ვითარება არ გახდება. ამისთვის კი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ნატოს ქვეყნების კოლექტიურ ბრძოლისუნარიანობასა და სოლიდარობას“.

თავის მხრივ, გერმანია, საფრანგეთი და სამხრეთი ევროპის სახელმწიფოები, პირიქით — არ მიისწრაფვიან რუსეთის პროვოცირებისკენ და აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს სამხედრო ძალების განლაგების წინააღმდეგ გამოდიან. ამ საკითხში თავშეკავებულია თვით ვაშინგტონიც.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების სურვილის საწინააღმდეგოდ, „აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს სამხედრო ძალების განლაგება არ იგეგმება, — მოჰყავს კრისტოფ შტოლცს ალიანსის წარმომადგენლის ფრაზა, — **„ამის ნაცვლად ნატო რეგიონში მასშტაბურ სწავლებებს ჩაატარებს. ალიანსის წევრ ქვეყნებს კი, რომლებიც თითქოს ერთსულოვანნი არიან, სიმტკიცეზე გამოცდის ჩაბარება მოუწევთ,“** — ასკვნის სტატიის ბოლოს გერმანელი ჟურნალისტი.




მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69


# ამერიკელი ჟურნალისტები თავისიანებმა დაღუპეს

**აშშ-ის სამხედრო დაზვერვას დიდი წვლილი მიუძღვის 1973 წელს ჩილეში სახელმწიფო გადატრიალებისას დაღუპული ორი ამერიკელი ჟურნალისტის — ჩარლზ ჰორმანისა და ფრენკ ტერუჯის მკვლელობაში. ასეთი დასკვნა გამოიტანა ჩილეს სასამართლომ.**



1973 წლის 11 სექტემბერს ჩილეში აშშ-ის მხარდაჭერით სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს. სოციალისტი პრეზიდენტი სალვადორე ალიენდე გენერალმა აუგუსტო პინოჩეტმა შეცვალა. ხუნტამ გადატრიალების პირველი დღიდანვე დაიწყო მოწინააღმდეგეების დევნა და მათი გამომწყვდევა საკონცენტრაციო ბანაკებში. ყველაზე დიდი საკონცენტრაციო ბანაკი კი იყო სანტიაგოს ეროვნულ სტადიონზე, სადაც 40 ათასი კაცი ჰყავდათ გამომწყვდეული. 17 სექტემბერს იქ ჰორმანი მიიყვანეს, 20-ში — ტერუჯი.

ისინი საკურორტო ქალაქ ვინია-დელ-მარიში საკუთარი სახლებიდან გაიტაცეს. აშშ-ის საელჩო დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ჰორმანი და ტერუჯი ჩილეს ახალმა ხელისუფლებამ დააკავა, მაგრამ დაკითხვის შემდეგ გაუშვა, და რომ ჰორმანი იმალებოდა, ხოლო ტერუჯი სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ გაუჩინარებიდან ერთი თვის შემდეგ ჟურნალისტთა გვამები მორგში იპოვეს. ორივენი საკონცენტრაციო ბანაკში მიყვანიდან 2 დღის შემდეგ დასაჯეს, შესაბამისად — 19 და 22 სექტემბერს.

ჟურნალისტების დაღუპვის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მხოლოდ 1999 წელს გავრცელდა, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა დოკუმენტს, რომელშიც აშშ-ის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები მსჯელობენ ჰორმანის სიკვდილში აშშ-ის დაზვერვის როლზე. მოხელეები ვარაუდობენ, რომ აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, რომელმაც იცოდა, რომ ჟურნალისტებმა შეიტყვეს სახელმწიფო გადატრიალებაში ამ სპეცსამსახურის როლის შესახებ, ჩილეს ხელისუფლებას ჰორმანის შესახებ გადასცა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი რეპორტიორის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღეს.

როგორც კი დოკუმენტი გამოქვეყნდა, ჰორმანის ქვრივმა პინოჩეტს სასამართლოში უჩივლა. გამოძიება 10 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა და 2011 წლის ბოლოს საქმის სამ ფიგურანტს ბრალდება წაუყენეს. გამომძიებლებმა ჟურნალისტების მოტაცებაში დაადანაშაულეს ჩილეს გადამდგარი პოლკოვნიკი პედრო ესპინოსა და ყოფილი კონტრმზვერავი რაფაელ გონსალესი, აგრეთვე, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტანი რეი დევისი. ჩილეს სასამართლო დევისის ექსტრადაციასაც მოითხოვდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, დევისი, რომელიც მალულად ცხოვრობდა ჩილეში, 2013 წელს მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა, გვამი კი დაწვეს. თუმცა ჩილეს სასამართლოს ეჭვი ეპარება დევისის გარდაცვალებაში, რადგან მისი გვამი არ არსებობს.

# ანზორ გაბიანის ხსოვნას



**ჩვენ ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები ვიყავით, ვამაყობდით ჩვენი მთაწმინდელობით, იმით, რომ ომისდროინდელი თაობა ვართ, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას შორის განსხვავებას ჯერ კიდევ ბავშვობაში პრაქტიკულად ვეზიარეთ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეშიც რამდენიმე წრეში ერთდროულად დავდიოდით, ყველაფერი გვაინტერესებდა და იმიტომ.**

ვთამაშობდით ფეხბურთს, თითქმის ზეპირად ვიცოდით აკადემიური თეატრების რეპერტუარი და, საერთოდ, რუსთაველის პროსპექტი თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით იყო ის სივრცე, რომელშიც ყალიბდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა და რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრება თან გაგვყვა.

ჭარმაგობის ჟამს რუსთაველზე იშვიათად მოსეირნენი აუცილებლად დავსხდებოდით ჩვენი სკოლის წინ, სკვერში და იქ ვაგრძელებდით საუბარს ქვეყნის ჭირვარამზე.

ბევრი სახელოვანი კაცი გამოვიდა ამ სკოლიდან, თავი არც ჩვენს თაობას შეურცხვენია.

ანზორ გაბიანი ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული იყო ჩვენს თაობაში. საზოგადოება მას იცნობდა, როგორც გამოჩენილ, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერ-იურისტსა და სოციოლოგს, როგორც შესანიშნავ პუბლიცისტსა და ქვეყნის ბედ-იღბალზე მოფიქრალ კაცს. ჩვენთვის კი ანზორ გაბიანი დარჩა პირველსკოლელად, ჩვენიანად, ჭირისა და ლხინის გამზიარებელ მეგობრად.

ბოლო შეხვედრის დროს ვიგონებდით წარსულს, გვაფიქრებდა ქვეყნის აწმყო, ვწუხდით, რომ ასაკი არ გვაძლევდა ქვეყნის აღმშენებლობაში უფრო აქტიური მონაწილეობის საშუალებას...

დროს, მხოლოდ დროს ვერ ერევა ადამიანი, ასეა ქვეყანა მოწყობილი... ეს პატარა წერილიც, რომელიც ანზორ გაბიანის ხსოვნას მივუძღვენით, მისი მეგობრების გულისტკივილის მკრთალი ანარეკლია.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
**არმაზ სანებლიძე**


# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**


ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის 1955 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელ ჯამლეტ მორგოშიას მეუღლე, ქალბატონი

ეთერ პარმენის ასული ბერია-მორგოშია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ოპერისა და ბალეტის თეატრი 162-ე სეზონს გალაკონცერტით დახურავს

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი) 162-ე თეატრალურ სეზონს 20 ივლისს 19 საათზე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო თეატრში გალაკონცერტით დახურავს.**




გალაკონცერტზე იმღერებენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მაყვალა ასპანიძე, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, მარიკა მაჩიტიძე, ელენა პუტილოვა, ირინე რატიანი, მარიამ ქობალიანი, ნინო ჩაჩუა, ხათუნა ჭოხონელიძე, ელენე ჯანჯალია, სალომე ჯიქია, სულხან გველესიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, კახაბერ თეთვაძე, ზურაბ იაშვილი, ლევი იმედაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ირაკლი მურჯიკნელი, ტარიელ ჭიჭინაძე, ზაალ ხელაია, ვახტანგ ჯაშიაშვილი, ოთარ ჯორჯიკია.

**გალაკონცერტში მონაწილეობს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი შალვა შაორშაძე) და ორკესტრი (კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე). კონცერტს წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.**

გალაკონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია: შესრულდება სცენები გაეტანო დონიცეტის, ჯუზეპე ვერდის, რუჯერო ლეონკავალოს, ჟორჟ ბიზეს, ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან.


საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894